პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმის თაობაზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივნის 10—55

ხელისმომწერის ფასი: [illegible] 75 კ. [illegible] 1 მ. [illegible] 1 მ. 25 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადების [illegible] სტრიქონი—20 კ. [illegible]—25 კ. [illegible] 50 კ. [illegible]

ადმინისტრაციის ტელეფ. 6—43, სტამბის ტელეფონი 13—50.

კვირა, 20 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 216 (1371)

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

## დღიური

— [illegible] თეთრგვარდიელები [illegible] თა სრულუფლებიან წარმომადგენლად.
— შანდუნისა და ჩჟილის პროვინციებში დიდი წყალდიდობაა.
— გადადგა ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი—პუსტა.
— დასრულდა გერმანიის ს.-დ. პარტიის ყრილობა.

# ოცდაექვსის ხსოვნას

1918 წლის 20 სექტემბერი მუდამ სამახსოვრო თარიღია ამიერკავკასიის მშრომელთათვის, კერძოდ ბაქოს პროლეტარიატისათვის. ამ დღეს ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების ჯალათური ხელით კასპიის ზღვის უდაბნოებში ვერაგულად დახვრეტილ იქნა ბაქოს 26 კომუნარი, ამ. ამ. სტ. შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე და მათი ახლო თანამებრძოლნი.

ფრიად მძიმე იყო ბაქოს მუშათა კლასის მდგომარეობა ამ შვიდი წლის წინედ. საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ უცხოეთის ბურჟუაზიის აქტიური დახმარებით ამხედრდენ დამხობილი წყობილების ყველა შავი ძალები. ამიერ-კავკასიაში მოიკალათეს ნაციონალისტებმა და სოციალ-შეთანხმებლებმა. ამავე დროს ჩვენი მხარე გადაქცეული იყო გერმანია-ოსმალეთის და ინგლისის იმპერიალისტური ჯარების ბრძოლის ასპარეზად. მხოლოდ ბაქოს პროლეტარიატს ეჭირა მაღლა ოქტომბრის რევოლუციის წითელი დროშა. იგი ფრთას უმაგრებდა სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეულ რუსეთის მშრომელ მასებს.

მაგრამ ბაქოს დასაპყრობად მიიწევდა ორი მოპირდაპირე ძალა—ერთი მხრით ოსმალეთის, მეორე მხრით ინგლისის ურდოები. თავდაპირველად ოსმალეთის ჯარი მიადგა მას. ბაქოს მუშათა კლასი გმირულად იცავდა თავს. უთანასწორო იყო ეს ბრძოლა. გაწვრთნილი შეიარაღებული ძალების ნაკლებობა, იარაღის და საომარი მასალის სიმცირე, უსურსათობა და უწყლობა ნავთის ქალაქის პროლეტარიატს მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებდა.

მუდამ მხნე და მებრძოლი, იგი ერთგვარად შედრკა, უიმედობამ მოიცვა. ამით ისარგებლეს მენშევიკებმა, ესერებმა, დაშნაკელებმა, რომელნიც ვერ ითმენდნენ ბოლშევიკების ჰეგემონიას და ამ მოღალატეების წინადადებით ბაქოს საბჭოს უმრავლესობამ დაადგინა ინგლისელების მოწვევა, ვითომცდა ოსმალეთის ბრჭყალებისაგან თავის გადასარჩენად. ნამდვილად კი ცხადი იყო, რომ ინგლისელებს სურდათ ბაქოს ხელში ჩაგდება, მთელ ამიერ-კავკასიაში დამკვიდრება, მისი სამხედრო ბაზად გადაქცევა როგორც მოპირდაპირე კოალიციის, ისე რევოლუციონური რუსეთის წინააღმდეგ.

ეს მშვენივრად იცოდნენ მენშევიკ-დაშნაკელებმა. მით უფრო ცხადი იყო ეს ბოლშევიკებისათვის. თუ ბაქო იმპერიალისტებს ჩაუვარდებოდა ხელში, ამით რუსეთს გადაეჭრებოდა მისი ეკონომიკის სასიცოცხლო არტერია (ნავთის სახით) და საბჭოთა ხელისუფლება საფრთხეში ჩავარდებოდა. აქედანვე იმპერიალისტები მოემზადებოდენ შეტევისათვის მშრომელთა ბატონობის დასამხობად.

ამიტომაც ბოლშევიკები არაფერს ზოგავდენ, რომ ბაქო შეენარჩუნებინათ. მაგრამ მათმა ცდამ არ გასჭრა. როგორც ვსთქვით, სოციალ-გამცემლების გავლენით ბაქოს საბჭომ გადასწყვიტა ინგლისელების მოწვევა. ამით გადასწყდა ბაქოს კომუნის ბედი. სახალხო კომისართა საბჭო გადადგა. კომუნარები დატყვევებულ იქნენ და შემდეგ ასხაბადში გადაყვანილნი. სოციალ-შეთანხმებლებისაგან შემდგარმა, იმიერ-კასპიის აღმ. კომიტეტმა კომუნარები, ს.-რევ. ჯუნკანის ზეგავლენით, გადასცა ინგლისის სამხედრო მისიის მეთაურს ასხაბადში, ვითომდა ინდოეთში გადასაგზავნად, ნამდვილად კი გზაში დასახვრეტად.

1918 წ. 20 სექტემბერს კომუნარები გზაზე გამოიყვანეს ვაგონიდან, დახვრიტეს და უდაბნოს ქვიშაში ჩაფლეს.

ასეთია ჭეშმარიტ რევოლუციონერებზე ინგლისის იმპერიალიზმის შურისძიების და მუშათა კლასისადმი მენშევიკ-დაშნაკ-ესერების მოღალატეობის ეს მატიანე. ისინი გრძნობდენ, რომ მუშათა კლასის მეთაურების განგმირვით ჩაფუშავდენ მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. მაგრამ ამაოდ.

დაღუპულ კომუნარების მოღვაწეობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ბაქოს და მთელი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი გამოფხიზლდა, მან კარგად შეიცნო თავისი მტერი და მოყვარე და სამაგიერო გადაუხადა ყველა მოღალატეებს და მტრებს.

ორი წელიც არ იყო გასული 1918 წ. 20 სექტემბრის ტრაგედიიდან, რომ აზერბეიჯანში მოსპობილ იქნა როგორც ადგილობრივი კონტრრევოლუციონერების, ისე უცხოელ იმპერიალისტების ბატონობა და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, შემდეგ იგი გავრცელდა სომხეთში და მოვიდა საქართველოშიც.

ბაქოს და მთელ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი მიდის 26 კომუნარის დროშის ქვეშ. ის დღეს ერთმანეთთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, ჩაბმულია უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობაში და მედგრად მიიწევს სოციალიზმის სამეფოსაკენ.

დღესაც მტრები ბლომად გვარტყია გარშემო. საგულისხმოა, რომ ის იმპერიალიზმი, რომლის მსხვერპლი გახდენ შვიდი წლის წინედ ბაქოს კომუნარები, დღეს ისევ უდგას სათავეში ანტისაბჭოთა კამპანიას. მაგრამ, ცხადია, რომ ჩვენმა მშრომელებმა, რომლებმაც მოიპოვეს თავისუფლება ისეთი მძიმე მსხვერპლის გაღებით, როგორიცაა, სხვათა შორის, 26 კომუნარი, შესძლებენ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას.

# პარტიის ზრდა

სავსებით გამორკვეულია, რომ საქართველოს კომპარტია თანდათან იზრდება, მაგრამ ეს ზრდა სწარმოებს მუშების ხარჯზე. საილუსტრაციოთ მოვიყვანოთ ციფრები:

1924 წ. 1 იანვრისათვის საქართველოს კომპარტიის (ბ) წევრების და კანდიდატების რიცხვი უდრიდა 11.787 კაცს, 1925 წ. 1 იანვრისათვის—16.364 კ., 1925 წ. 1 მაისისათვის—17.362 კ., 1925 წ. 1 ივლისისათვის—18.483 კ.

ეს ცნობები ნათლად მოწმობენ, რომ პარტია იზრდება თანდათანობით. ეხლა ვნახოთ, როგორ იზრდება აქ მუშური შემადგენლობა.

1924 წ. 1 იანვრისათვის საქართველოს კომპარტიაში მუშები შეადგენდენ პროცენტების მიხედვით 25,1 პროც. 1925 წ. 1 იანვრისათვის 44,5 პროც. 1925 წ. 1 ივლისისათვის 47,7 პროც.

ეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს კომპარტიის (ბ) ზრდა ხდება მუშების ხარჯზე. ეს ძალიან საღი მდგომარეობაა და წარმოადგენს კომპარტიის გამარჯვების საუკეთესო თავდებს.

ეხლა განვიხილოთ როგორ იზრდებოდა სოფლის პარტიული ორგანიზაცია.

უჯრედების რაოდენობის მიხედვით იყო: 1924 წ. იანვრისათვის—658 უჯრ. 1925 წ. 1 იანვრისათვის—648, 1925 წ. 1 ივლისისათვის—689.

წევრების და კანდიდატების რიცხვის მიხედვით: 1923 წ. 1 მარტისათვის—6.309 კ. 1924 წ. 1 იანვრისათვის—6,258 კ. 1925 წ. 1 იანვრისათვის—5,679 კ. 1925 წ. 1 ივლისისათვის—6.233 კ.

აქედან მკითხველს შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომ სასოფლო ორგანიზაციაში ადგილი არა აქვს მნიშვნელოვან ზრდას, მაგრამ, ეს რასაკვირველია, გარეგნული მხარეა. ფაქტიურად ჩვენ საქმე გვაქვს სასოფლო ორგანიზაციის თვისობრივ ზრდასთან. სასოფლო ორგანიზაციაში რევოლუციონური აღტყინების პერიოდში მოხვდა ბევრი უვარგისი ელემენტი. კომპარტიას კი, რომელიც თავისი მუშაობის ქვა-კუთხედად სთვლიდა ლოზუნგს—„უმჯობესია ცოტა და კარგი, ვინემ ბევრი და ცუდი“, არ შეეძლო შეგუებოდა ასეთ მდგომარეობას და ამიტომ ის დაუზოგავად წმენდდა თავისი რიგებიდან ამ უვარგის ელემენტებს. გარდა ამისა, მე-12-ე პარტიული ყრილობის დირექტივამ მუშური ნაწილის გადიდების შესახებ შეაჩერა სასოფლო ორგანიზაციის ზრდა. 1925 წელს ჩვენ უკვე ვამჩნევთ სასოფლო ორგანიზაციის თანდათან და სწორ ზრდას. არის ცნობები სხვადასხვა მაზრებიდან, რომ გლეხებს ათასობით სურთ კომპარტიაში შესვლა, მაგრამ კომპარტიის მათი ერთბაშად მიღება არ შეუძლია. ეს უნდა მოხდეს თანდათან.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა პარტიაში შემოსვლის მსურველთა სისტემატიური შერჩევისათვის და, ყოველმხრივი შემოწმების შემდეგ, ხდება მათი პარტიაში მიღება. ეს უსათუოდ არის სწორი ხაზი, აღებული პარტიის მიერ.

ეხლა ისმება კითხვა, შეაჩეროს პარტიამ უკვე შემჩნეული ზრდა და ხელი მიჰყოს მუშაობის თვისების გაუმჯობესებას, თუ გამოიყენოს გლეხობის ლტოლვა პარტიისაკენ, არ შეაჩეროს ზრდა? ამაზე პასუხს იძლევა რუსეთის კომპარტიის (ბ) სახელმძღვანელო დირექტივა „არ შევზღუდოთ გლეხების მიღება პარტიაში“, ე. ი. სასოფლო ორგანიზაცია უნდა იზრდებოდეს შეუჩერებლად რიცხვობრივად და თვისობრივად მიწის მუშა ღარიბ გლეხების ხარჯზე. სასოფლო ორგანიზაციას, რომელშიაც ითვლება 6283 წევრი და კანდიდატი, ერთად აღებული, არ შეუძლია გასწვდეს მრავალრიცხოვან გლეხობას და უხელმძღვანელოს მას, ე. ი. უხელმძღვანელოს სოფელს, რომელიც აღორძინების გზაზეა პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად.

კომპარტიაში უმეტესობას 47,7 პროცენტს შეადგენს მუშური ნაწილი, რაც საშუალებას გვაძლევს გავადიდოთ რიცხვობრივად სასოფლო ორგანიზაცია, დავიცვათ სოციალური შემადგენლობის პროპორცია და ხელმძღვანელობის საშუალება.

სასოფლო ორგანიზაციას ჰყავს საკმაო კადრი რევოლუციონური სტაჟის მქონე წევრებისა 40-დან 45 პროცენტამდე (2.500-დან 3.000-მდე, რომლებიც პარტიაში შევიდენ გასაბჭოებამდე).

საქართველოს კომპარტიაში 2,913 წევრია, რევოლუციონური სტაჟით 1917—18 წლამდე, რაც შეადგენს მთელი პარტიის 14,6 პროცენტს. ამ კადრს აქვს საკმაო ბოლშევიკური გამოცდილება და მომზადება.

თუ ჯამს გაუკეთებთ ზემოდ აღნიშნულ მოსაზრებებს, შეიძლება თამამად ითქვას: საქართველოს სასოფლო ორგანიზაციის შეუძლია რიცხვობრივად ზრდა მუშათა ნაწილის ზრდასთან ერთად პარტიაში, თუ სავსებით დაცული იქნება ხაზი, რომელიც მოგვცა მე-12-ე პარტიულმა ყრილობამ.

ვ. შოვრიძე.

# ბრიტანეთის იმპერია

## 2

ბრიტანეთის იმპერიის კრიზისი ნათელი ხდება მისი წარმოების პროდუქციის შემცირებით და სავაჭრო პასიური ბალანსით. 1925 წ. მაისის თვეში 80.000 ტონით შემცირდა თუჯის წარმოება, 150.000 ტონით ფოლადის, თითქმის შეჩერდა სავაჭრო გემების შენება, 1914 წელთან შედარებით ინგლისის სავაჭრო გემების ტონაჟი 1925 წელს არ გაზრდილა (ამავე პერიოდში ამერიკის ტონაჟი 6-ჯერ გაიზარდა, საფრანგეთის სამჯერ, იაპონიის 2-ჯერ, ბრიტანეთის დომინიონების 1-ნახევარჯერ).

ინგლისის პასიური ბალანსი თანდათან იზრდება. 1913 წ. ის უდრიდა 150 მილ., 1921 წ. 203 მილიონს, 1924 წ. 341 მილიონს, 1925 წლის მაისისათვის ერთი წლის განმავლობაში 395 მილიონს. წარმოებისა და ვაჭრობის ასეთი მდგომარეობა ჰქმნის მასიურ უმუშევრობას. ინგლისის 1.300.000 უმუშევარი, ეს ყოველკვირეულად გაზრდის თვისების მქონე რიცხვია.

მსოფლიო ისტორიაში უკვე დასრულდა ის ხანა, რომელიც ინგლისის ბატონობის თარიღით აღინიშნება. ინგლისი დღეს თავისი მემკვიდრეობით, დაგროვილი სიმდიდრით, პოლიტიკური გამოცდილებით, მართველობის უნარითა და კომბინაციებით აპირებს ფონს გასვლას. თუ წინედ ინგლისის ბურჟუაზია ევროპის ქვეყნებში მოძრაობის დროს ამშვიდებდა თავის მუშათა კლასს რეფორმებით, კომპრომისებით,—დღეს მას ამ გზით სიარულისათვის აღარ გააჩნია ქონებრივი საშუალებანი. პირიქით, ის იძულებულია გამოიმუშაოს კანონპროექტი, რომლითაც 6-ნახევარ მილიონით შემცირდება უმუშევართა დასახმარებელი თანხა. ინგლისის მუშათა კლასის გამემარცხენება ლოღიკური აუცილებლობით გამოდის ინგლისის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობიდან. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, დროებითი აღტყინება, რევოლიუციონური ილიუზიების წარმავალი ქროლვა. კომინტერნის აგიტაციით ინგლისის მუშათა კლასის გამემარცხენების ახსნა პოლიტიკურად გონებადაბნელებულ და დამფრთხალ ბურჟუაზიას შეუძლია. უებრო წუწუნი, მაკდონალდის პარტიის ბუტაფორული მუშტები ოპოზიციისათვის, ლოიდ ჯორჯის „გონიერი წერილები“ მუშათა მასის სიღრმეში დაგროვილი პროტესტის მკრთალი ასახვაა. ეს ესმის ბურჟუაზიას. მას უფრო აშინებს უკანასკნელი მოვლენა, მუშათა რევოლიუციონური განწყობილება, ვიდრე საკუთარი მაჩანჩალების წუწუნი.

ამიტომ ინგლისის იმპერიალიზმი ყოველმხრივ ჰკრებს ძალებს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ. ინგლისის ბურჟუაზიამ კარგად იცის, რომ ვიდრე აზიის და ევროპის ხიდი რევოლუციის არენაა, ვიდრე ინდოეთისაკენ ხმელეთის გზა წყდება კომუნისტების ტერიტორიაზე, ვიდრე ეკონომიურად მოღონიერებულ, დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ კოლონიებსა და ნახევარ კოლონიებს მეგობრული დამხმარე ჰყავთ დიდი კავშირი, მანამ შეუძლებელი გახდება როგორც კოლონიების დაწყნარება, ისე შიგნით მუშათა კლასში გამემარცხენობისათვის ზღვარის დადება.

ამიტომ ინგლისი საგარანტიო ხელშეკრულებით გერმანიას ეფიცება სიყვარულში, რომ ეს უკანასკნელი გადაიბიროს და გამოიყენოს დასაყრდენ ბაზათ შესაძლებელ ომისათვის საბჭოთა კავშირთან. ის ნიადაგს სინჯავს პოლონეთში, რომ შეარიგოს იგი დანციგის კარების დაკარგვის მემელის გასავლის გადაცემის იმედით. ინგლისი ჰქმნის პატარა სახელმწიფოთა ჯგუფებს ჩვენს წინააღმდეგ. ერთი მხრივ ლატვია, ესტონია და ფინეთი, მეორე მხრივ რუმინია, უნგრეთი, ალბანია და ბულგარეთი ხდება მისი ყურადღების საგანი. ინგლისი სპარსეთსაც „ლმობიერათ“ ეპყრობა, ავღანისტანს თავისაკენ იზიდავს, ოსმალეთს მოსულის საკითხში „უთმობს“, რომ ჩაითრიოს თავის კავშირში—ჩვენს წინააღმდეგ.

ამრიგად ინგლისი სცდილობს შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასაყრდენი ბაზა და მებრძოლი ქვეყნები დასავლეთით და აღმოსავლეთით. ამ გეგმის სისწორით გატარებას უმთავრესად ხელს უშლის ის გარემოება, რომ ინგლისს გარდა ევროპაში საფრანგეთიც არსებობს, ხოლო ევროპის გარეთ აზიასთან ახლო მდგომი, ინგლისის გუშინდელი მონა და დღევანდელი ბატონი, ამერიკის შეერთებული შტატები.

როგორი პერსპექტივა იქმნება ამ სამ დიდ სახელმწიფოთა წონასწორობაში ბრიტანეთის იმპერიისათვის?

ს. ამაღლობელი.

# რადიო-დეპეშები

## რეაქციის თარეში

### ბესარაბიელ გლეხების „გასამართლება“

ვენა, 18 სექტემბერი. ბესარაბიელ აჯანყებულ გლეხების პროცესზე დასასწრებლად კიშინიოვში ჩავიდენ დამცველები ტორეზი და რიბელდი. მიუხედავათ იმისა, რომ სასამართლომ დაადგინა საჯაროთ ყოფილიყო საქმის განხილვა, სხდომები მაინც დახურულ კარებში იმართება. ბრალდებულთა ნათესავებს უხეშად ეპყრობა ციხის ადმინისტრაცია და ემუქრება მათ დაპატიმრებით. აგენტები თვალყურს ადევნებენ ყველას, ვინც დაინტერესებულია დაპატიმრებულთა ბედით.

### ცანკოვის შურისძიება

ვენა, 18 სექტემბერი. ბულგარეთის უზენაესმა სამხედრო სასამართლომ დაამტკიცა განაჩენი ქალაქ აიტოსში აღმოჩენილ არალეგალურ ორგანიზაციის საქმის შესახებ. 11 ბრალდებულს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, 34-ს დიდი ხნით თავისუფლების აღკვეთა.

### პოლონეთის პოლიციის მხეცობა

მინსკი, 19 სექტემბერი. დასავლეთ ბელორუსიიდან იუწყებიან მასიურ დაპატიმრებათა და პოლონეთის პოლიციის სიმხეცეთა შესახებ.

ბელოსტოკში უკანასკნელ ხანებში დაპატიმრებულ იქნა 700 კაცი. დაპატიმრებულებს ბორკილებს უყრიდენ და ამგზავრებდენ ბელსკში, სადაც მათ აწამებდენ და ეკითხებოდენ: სთვლიან თუ არა თავს კომუნისტებად. წამების ზეგავლენით დაპატიმრებულები ამხელენ თავიანთ მახლობელ პირებს. გამომძიებელი უმეტეს შემთხვევაში ანთავისუფლებს მათ, როგორც უსაფუძვლოთ დაპატიმრებულებს.

ბელსკის მცხოვრებლები გარბიან ქალაქიდან.

### უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიის დევნა

ვენა, 18 სექტემბერი. უნგრეთის პოლიცია სასტიკათ სდევნის ს.-დ. პარტიიდან გამოყოფილ მემარცხენე ფრთის სოც. მუშ. პარტიას. ბურჟუაზიული პრესის ცნობით, მუშათა პარტიას ფინანსიურ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირიო; იმავე გაზეთების ცნობით, ვითომ პოლიციაში უპოვიათ რუსული ყალიბის ყუმბარა და ამტყუნებენ მუშათა პარტიას, თითქოს ის ამზადებდეს თავდასხმას პოლიციაზე.

### საკლატვალას აუკრძალეს ამერიკაში შესვლა

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა განკარგულება მისცა ამერიკის კონსულს ლონდონში გააუქმოს ნებართვა, რომელიც ამერიკაში ჩასვლის უფლებას აძლევდა ინგლისის პარლამენტის კომუნისტ წევრს საკლატვალას, რომელიც მიწვეულია საპარლამენტო კონფერენციაზე ვაშინგტონში. ეს განკარგულება განხილული და მოწონებული იყო პრეზიდენტ კულიჯის მიერ.

### ცანკოვი მიემგზავრება მუსოლინისთან

ვენა, 18 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, ცანკოვის მოგზაურობა საზღვარგარეთ გაგრძელდება ერთ თვეს. წასვლის წინეთ ცანკოვმა განაცხადა, რომ კაბინეტის შეცვლის საკითხს წამოაყენებს პარლამენტში ოქტომბრის გასულს.

გაზეთების ცნობით, ცანკოვი რომში ინახულებს მუსოლინის, რომ საფუძვლიანათ შეისწავლოს ფაშიზმი. ჟენევაში ცანკოვი დაესწრება რუმინეთ-ბულგარეთის ხელშეკრულების დადებას და მიიღებს მონაწილეობას ბულგარეთისა და ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებაში. ჩემბერლენთან, ბრიანთან, ბენეშთან, დუკასთან და რადიჩთან ცანკოვს ექნება მოლაპარაკება ბალკანეთის მდგომარეობის შესახებ. ასეთივე მოლაპარაკება ექნება პაშიჩთან და ვენიზელოსთან.

ბულგარეთის უმაღლეს წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ ცანკოვის მოგზაურობას და იმედოვნებენ, რომ ამით ბოლო მოეღება ბულგარეთის განმარტოებით ყოფნასო.

## გერმანიის ს.-დ. პარტიის ყრილობა

### უკანასკნელი სხდომა

ჰეიდელბერგი, 18 სექტ. საჩივართა გამრჩევი კომისიის ანგარიშში ეხება პირველი სამედიატორო სასამართლოს განაჩენს ბაუერის საქმის გამო (პარტიიდან გამორიცხვა) და ურჩევს ყრილობას გამოუცხადოს ბაუერს მხოლოდ საყვედური. საკმაო უმრავლესობით გაიდა ველსის წინადადება, რომელიც მოითხოვს ბაუერის საქმის გარჩევა მიენდოს პარტიის პრეზიდიუმს.

ბაუერს—გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილ ბელადს, ამას წინად დაუმტკიცდა ბავარიელ მონარქისტებისათვის მხარის დაჭერა და სპეკულანტ ბარმატისაგან ქრთამების აღება.

ხანმოკლე კამათის შემდეგ ყრილობამ ხმების უმრავლესობით 6-ის წინააღმდეგ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა.

მოხსენებაში ახალი პროგრამის შესახებ ჰილფერდინგმა ხაზგასმით აღნიშნა, ის დიდათ განსხვავდება ბოლშევიკების პროგრამისაგან. მომხსენებელი უარჰყოფს იმ აზრს, რომ კლასობრივი წინააღმდეგობანი გადაჭრილი უნდა იქნენ რევოლუციის ჯოხებით ხელში, მაგრამ აღიარებს, რომ დემოკრატიას დასჭირდება თავდაცვა იმ შემთხვევაში, თუ მას თავს დაესხა რეაქცია.

ველსი აქვეყნებს პრეზიდიუმში შემოსულ წინადადებებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ რელიგია ჩაითვალოს მოქალაქეების კერძო საქმეთ, და აგრეთვე ომის წარმოშობის შემთხვევაში გამოცხადებული იქნეს გენერალური გაფიცვა, მიუხედავათ იმისა, თუ რანაირი მდგომარეობა იქნება ფრონტზე. ეს უკანასკნელი წინადადება შემოტანილია პაულ ლევის მიერ.

შეიდემანი სურვილს გამოსთქვამს, რომ პარტიულ პოლიტიკას მიეცეს კიდევ უფრო მეტი ოპორტიუნისტული ხასიათი.

ველსი გამოვიდა საბოლოო სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ კონგრესმა დაადგინა ითანამშრომლოს რესპუბლიკანურ გერმანიასთან.

ყრილობა იხურება. დელეგატები მღერიან სოციალისტურ მარშს.

## გერმანიის საგარეო პოლიტიკა

### ლიუტერი გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ბერლინი, 18 სექტემბერი. ესენში გამართულ ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა რეიხსკანცლერმა ლიუტერმა, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობის საგარეო პოლიტიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში მიზნათ ისახავს ერთ ამოცანას—რა გზით შეიძლება რურის ოლქის განთავისუფლება, რომელიც დაკავებულია უფლების, კანონის და სამართლიანობის წინააღმდეგ.

„ჩვენს საერთაშორისო ამოცანებს, განაცხადა ლიუტერმა, ჩვენ მომავალში მივუდგებით დაკავებულ ოლქების ინტერესების თვალსაზრისით. თუმცა რურის ოლქის განთავისუფლება იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის დაბრკოლებები დაძლეულია. რურის ოლქის და მთელი გერმანიის ხალხის ბედის განუყოფლობა კიდევ უფრო ცხადი ხდება ჩვენთვის. ჩვენთვის ეხლა სავსებით ცხადია, რომ რურის ოლქის შემდგომი სამრეწველო განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მთელი გერმანიის სამეურნეო ცხოვრების გაჯანსაღების ნიადაგზე.

თავის სიტყვის დასასრულს კანცლერმა დალია რურის ოლქის სადღეგრძელო.

### იტალია-გერმანიის ხელშეკრულება ავსტრიის შესახებ

ვენა, 18 სექტ. ავსტრიის ოფიც. ორგანო „რეიხსპოსტი“ სწერს, რომ იტალიისა და გერმანიის შორის დადებულია ხელშეკრულება ავსტრიის გერმანიასთან შეერთების შესახებ. სხვათა შორის აღნიშნულია მუსოლინის უარყოფითი შეხედულება ამ საკითხის შესახებ. ამასთან გაზეთი ამბობს, რომ გერმანელ გენერალ კრამოვის დაბეჭდილი ცნობა, თითქოს მუსოლინის წინადადება მიეცეს გერმანიისთვის სამხედრო კავშირის შესახებ, აქამდის ოფიციალურათ არ არის უარყოფილი.

## რას მოითხოვენ ავსტრიისაგან

ვენა, 18 სექტ. ანტანტის სახელმწიფოების ელჩთა კონფერენციამ დაადგინა მოსთხოვოს ავსტრიას, ვერსალის ხელშეკრულების ძალით დამტვრევა 7000 მანქანის, რომლებითაც, ვითომცდა სამხედრო მასალები მზადდება. ნამდვილად კი ავსტრიას არავითარი სამხედრო მრეწველობა არა აქვს.

# ბაქოს კომუნარების ხსოვნას



1. ა. ჯაფარიძე, 2. ს. შაუმიანი, 3. ტ. ამიროვი, 4. აზიზბეკოვი, 5. ბოგდანოვი, 6. ვეზიროვი, 7. ბასინი, 8. ყორგანოვი, 9. ბოგდანოვი, 10. ფიოლეტოვი, 11. მიშინი, 12. ზევინი, 13. ავაქიანი, 14. ოსეპიანი, 15. ამიროვი, 16. კოსტანიანი.

# ჩინეთის ამბები

### საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის თავმჯდომარე ჩინეთის პროლეტარიატის შესახებ

პეკინი, 18 სექტ. საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია იაპონიის პროფესიონალურ ორგანიზაციების მიპატიჟებით გაემგზავრა პეკინიდან იაპონიაში.

დელეგაციის თავმჯდომარემ ლეპსემ გამგზავრების წინ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ჩინეთის პროლეტარიატმა უკანასკნელი ამბების დროს გამოიჩინა დიდი სიმტკიცე და კლასიური ნებისყოფა. ჩინეთის პროლეტარიატის მოძრაობა ცხადყოფს ჩინეთის მუშების უდიდეს ორგანიზაციულ შესაძლებლობას და მათი კლასობრივი შეგნების ზრდას. ჩინეთის მუშა უკვე წარმოადგენს პოლიტიკურ ძალას და სათავეში უდგება ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლას.

ლეპსემ განაცხადა, რომ შანხაის გაერთიანებულ მუშების უკანასკნელმა ბრძოლამ ხელი შეუწყო სხვა ქალაქების მუშების დარაზმვას. ჩინეთის მუშების კავშირები ეწყობა საწარმოო საფუძველზე, რაც აადვილებს ყველა ცალკე წარმოების მუშების გაერთიანებას.

პროფინტერნთან შეერთებით ჩინეთის პროლეტარიატი უკავშირდება მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას და სდგამს სწორ ნაბიჯს პროფმოძრაობის მსოფლიო მთლიანობისაკენ.

### საბაჟო კონფერენციის შესახებ

პეკინი. 18 სექტ. პეკინის „კომუნისტური ყოველკვირეული ჟურნალი“ აქვეყნებს წერილს საბაჟო კონფერენციის შესახებ, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციის მოწვევა ეხლა, ვაშინგტონის კონფერენციიდან 3 წლის გასვლის შემდეგ, უშუალო შედეგია ჩინეთის ხალხის ბრძოლისა იმპერიალისტების წინააღმდეგ. იმპერიალისტები უმნიშვნელო დათმობებით ცდილობენ ჩინეთის მთავრობის მოსყიდვას, რათა უკანასკნელმა ჩააქროს სახალხო მოძრაობა. ამიტომ საბაჟო კონფერენციის ხალხთა მასები შეხვდებიან სიძულვილის გრძნობით იმპერიალისტებისა და ჩჟან-ცზო-ლინის მიმართ.

### ჩემბერლენი ჩინეთის საკითხის შესახებ

ლონდონი, 18 სექტემბერი. ჩემბერლენმა სიტყვა წარმოსთქვა ნადიმზე, რომელიც გამართული იყო საბაჟო კონფერენციაზე მიმავალ ინგლისის დელეგაციის საპატივცემლოდ. ჩემბერლენმა ხაზი გაუსვა ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის სირთულეს.

„ჩინეთის ხალხი, სთქვა ჩემბერლენმა, ვერ გაუძლო დასავლეთის აზრის გავლენას და დასავლეთის ახალი ღვინო, ჩასხმული აღმოსავლეთის ძველ გუდაში, ადუღდა და გვემუქრება ჩვენ კატაკლიზმით. ზოგიერთი ჩინური წრეები სარგებლობენ ამ მღელვარებით და აღვივებენ ჩინეთის ხალხში შუღლს სხვა ერების მიმართ, რომელთაც, ისევე როგორც ინგლისს, სურთ მხოლოდ მშვიდობიანი ცხოვრება ჩინეთთან და ხელის შეწყობა ამ ქვეყნის აყვავებისათვის, რაც ჩვენთვისაც ხელსაყრელია“.

შეეხო რა საკითხს უთანასწორო ხელშეკრულებათა შესახებ, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისი მზად არის უარი სთქვას სპეციალურ უფლებებზე იმდენად, რამდენად ჩინეთის მთავრობა შესძლებს უზრუნველყოს ინგლისელი ქვეშევრდომების ჩვეულებრივი უფლებები, რომლითაც სარგებლობენ უცხოელები თითეულ ქვეყანაში.

ჩემბერლენის აზრით, იმ ვალდებულებათა ნაყოფიერად განხორციელებისათვის, რომლებიც იკისრეს უცხოეთის სახელმწიფოებმა ვაშინგტონის კონფერენციაზე ჩინეთის მიმართ, აუცილებელია ორი პირობა: ურთიერთ პატივისცემის ატმოსფერა და ჩინეთის გაერთიანება საქმიან ცენტრალურ მთავრობის მეთაურობით.

### ჰონკონგელი ვაჭრები და კანტონის საგაფიცვო კომიტეტი

პეკინი, 18 სექტემბერი. ჰონკონგის ჩინელ ვაჭრების კავშირმა მიმართა საგაფიცვო კომიტეტს კანტონში მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მართალია ის მხარს უჭერს საგაფიცვო მოძრაობას და ბოიკოტს, მაგრამ საერთო მდგომარეობა მოითხოვს ერთგვარ დროებით კომპრომისს. კავშირი თანახმაა გაგზავნოს კანტონში დელეგაცია იმ პირობების განსახილველად, რომელთა ნიადაგზე შესაძლებელი იქნება კომპრომისის მიღწევა.

საგაფიცვო კომიტეტი დათანხმდა დელეგაციის ჩამოსვლაზე.

### ჩინურ გაზეთების რედაქტორების დაპატიმრება

პეკინი, 18 სექტ. დააპატიმრეს რამოდენიმე ჩინური გაზეთის რედაქტორი ტიან-ცზინში. რედაქტორებს ბრალად სდებენ დახმარებას ჩჟილის ჯგუფისათვის, რომელიც ბრძოლას აწარმოებს პეკინის ეხლანდელი მთავრობის წინააღმდეგ.

### კონფერენცია ექსტერიტორიალობის უფლებათა შესახებ

ტოკიო, 18 სექტ. გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობების თანახმად, ამერიკა თანახმაა იაპონიის წინადადებაზე მოწვეულ იქნეს დაუყოვნებლივ კონფერენცია, რომელიც განიხილავს უცხოელ სახელმწიფოების ექსტერიტორიალობის უფლებებს ჩინეთში, და კონფერენციის მოწვევის დღეთ დანიშნული იქნეს 16 დეკემბერი.

### წყალდიდობა

პეკინი, 18 სექტ. შანდუნსა და ჩჟილის პროვინციებში, დიდი წყალდიდობაა. ყვითელ მდინარეზე ჯებირი დანგრეულია. 8000 კვ. მილი წყალითაა დაფარული, 900 სოფელს წალეკვა მოელის. მთელი მოსავალი დაიღუპა.

# ვალების საკითხი

### რუმინეთის ვალები

ვენა, 18 სექტ. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ფინანსთა მინისტრ ბრატიანუს განცხადებით—8 ოქტომბერს ამერიკაში გაემგზავრება რუმინეთის დელეგაცია ვალების საკითხის მოსაგვარებლად. ამავე დროს საფრანგეთთან, ინგლისთან და იტალიასთანაც დაიწყება მოლაპარაკება.

ბრატიანუს აზრით რუმინეთის ვალების საქმე გადაწყდება მოკავშირეთა ურთიერთო ვალდებულების გამორკვევასთან ერთად. მისივე აზრით საფრანგეთი და ინგლისი შეამცირებენ თავიანთ მოთხოვნილებებს რუმინიისადმი. ამერიკისაგან კი მოსალოდნელია არა თვით ვალების შემცირება, არამედ შეღავათიანი პირობების მიღება.

რუმინეთს მართებს ამერიკის 45 მილ. დოლარი. ინგლისისა—21 მილ. გირ. სტერლინგი. საფრანგეთისა—1 მილიარდი ფრანკი და იტალიისა—2 მილიარდი ლირა. რუმინეთს გადაწყვეტილი აქვს ყველა ამ ვალების გასტუმრება, მხოლოდ იმ პირობით, რომ არ შეირყეს მისი ფულის კურსი. ვალების გადახდის დროს რუმინეთი თხოულობს მხედველობაში იყვეს მიღებული სარეპარაციო ხარჯებიდან კუთვნილი მისი წილი.

გაზ. „[illegible]“ ცნობით, საფრანგეთმა განთავისუფლა რუმინეთი ომის დროს ნასესხებ 39 მილ. ოქროს ფრანკიდან.

## ბულგარეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის კრიზისი

ვენა, 18 სექ. ბულგარეთის ს.-დ. პარტიის გახრწნაში უდიდეს როლს თამაშობს მის ბელადებს შორის გამეფებული პირადი შუღლი და უთანხმოება.

ცეკამ და ოპოზიციამ ცალ-ცალკე გამოუშვეს მიმართვა პარტიის წევრებისადმი, სადაც ისინი ამტყუნებენ ერთმანეთს და ნდობას უკარგავენ.

საპარლამენტო ს.-დ. ფრაქციამ დიდის უმრავლესობით გამოიტანა რეზოლიუცია, რითაც ჰგმობს ორთავე ჯგუფის ქცევას და [illegible] ცეკას, რაც შეიძლება ჩქარა იქნეს მოწვეული უმაღ. პარტსაბჭო. ცეკამ დაადგინა 1 ოქტომბრისათვის მოწვეულ იყვეს საბჭო და 5 ოქტომბრისთვის კი პარტყრილობა.

ოპოზიციონერი ჩერნოკოლევი გამორიცხულია ფილიპოპოლის ს.-დ. ორგანიზაციიდან. მაინც ისეთი აზრი ტრიალებს, რომ მიუხედავათ შინაპარტიული განხეთქილებისა, ერთიანობა მაინც არ იქნება დარღვეული.

## ამხ. ზინოვიევის სიტყვა

### სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის საზეიმო სხდომაზე

**მოსკოვი, 19 სექტემბერი.** სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის საზეიმო სხდომაზე 16 სექტემბერს სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ზინოვიევმა.

ზინოვიევმა გააკეთა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მიმოხილვა და შეჩერდა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის შედეგებზე.

„რეზოლიუცია, მიღებული ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის მიერ კოლონიალური საკითხის შესახებ,—სთქვა ზინოვიევმა,—არის ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა. ყრილობამ მიიღო ლენინის ფორმულა—ერთა თვითგამორკვევის უფლება სრულ გამოყოფამდე. [illegible], ეს რეზოლიუცია დიდ გავლენას იქონიებს დასავლეთ ევროპის მთელს მუშათა მოძრაობაზე. ინგლისის პროფმოძრაობაში, პირველად დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის ისტორიაში, შეიჭრა ლენინიზმის ხმა.

ამჟამად ინგლისში ჩვენ უკვე გვყავს ორის ათასამდე მუშა, რომლებიც იმყოფებიან კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ. ეს არის ლენინიზმის ერთ-ერთი დიდი გამარჯვება. ლენინი იდგა ინგლისის ახლანდელი კომპარტიის აკვანთან. ლენინი სამოქალაქო ომის დღეებში ასწავლიდა ინგლისის კომპარტიის ერთ მუჭა ხელმძღვანელებს, როგორ გეწარმოებინათ სწორი მასიური მუშაობა. ამ სწავლებას ფუჭად არ ჩაუვლია“.

ეხება რა უცხოეთის სხვა პარტიების მდგომარეობას, ზინოვიევი აღნიშნავს, რომ მიუხედავათ იმ დიდი დაბრკოლებებისა, რომელსაც ეხლა განიცდიან კომუნისტური პარტიები დასავლეთში (რომლებიც დაყენებული ჰყავთ სასტიკი ტერორის ქვეშ), მათი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უმჯობესდება.

შემდეგ ზინოვიევი გადადის ჩვენი შინაური მდგომარეობის დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრები—ეს დიდი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში.

„მაგრამ—განაგრძობს ზინოვიევი—ჩვენ უნდა ვხედავდეთ ახალ საფრთხეს, რომელთა წინაშე ვდგავართ.

მთავარი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს შინაპარტიულ მუშაობაში ჯერ კიდევ სრულებით ვერ შევითვისეთ პოლიტიკა სოფლის მიმართ. ზოგიერთ ამხანაგს კიდევ არ ესმის საშუალო გლეხის როლი. უნდა გვახსოვდეს, რას გვასწავლიდა ლენინი საშუალო გლეხობის საკითხის შესახებ. ჩვენ გვესაჭიროება კავშირი საშუალო გლეხობასთან, მასთან შეთანხმებული მუშაობა. იმ ამხანაგებს, რომელთაც ეს არ ესმით, არ ესმით აგრეთვე მე-14-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა დედაარსი. აგრეთვე არიან ამხანაგები, რომლებიც ვერ თვალისწინებენ კულაკურ მეურნეობათა გაძლიერების საფრთხეს.

ჩვენი პარტიის წინაშე იჭრებიან ახალი საკითხები. ჩვენ ახალი შინაარსი უნდა მივცეთ პროფკავშირების მუშაობას. საჭიროა ყურადღება მიექცეს ჩვენი პროფკავშირების მუშაობის დიდ სისუსტეს,—[illegible] პროფკავშირებში.

ჩვენს შინაპარტიულ მუშაობაში ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ფორმულას „ყველაფერი რიგზეა“.

[illegible] საქმეები გვაქვს გასაკეთებელი. მუშათა კლასი ამჟამად ინსტინქტიურად თვალყურს ადევნებს იმას, თუ რომელი ხაზით წავა ჩვენი შემდეგი განვითარება. მუშათა კლასს სურს, რომ ეს განვითარება მიდიოდეს ლენინური ხაზით. ბრძოლას ჩვენი განვითარების „ხაზებისათვის“ ეძლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამიტომ თქვენ, სვერდლოველებს, ეხლა, როგორც არასოდეს, გესაჭიროებათ ლენინიზმის შესწავლა. ავიღოთ ლენინიზმი ორგანიზაციულ საკითხებში,—ეს მთელი მეცნიერებაა; ავიღოთ ლენინიზმი გლეხობის საკითხში,—ესეც მთელი მეცნიერებაა. ჩვენ ჯერ თვითონაც არ ვიცით, ცოდნათა როგორი საგანძური გვაქვს ლენინის ნაშრომებში. ამიტომ დეე თქვენ ლოზუნგს დამდეგ სამოსწავლო წლისათვის წარმოადგენდეს: „ყოველი წუთი ლენინიზმის შესასწავლად“.

## ინგლისში

### მოლაპარაკება სამთომადნო მუშებსა და მადაროების მეპატრონეებს შორის ინგლისში

**ლონდონი, 18 სექტემბერი.** მოლაპარაკება სამთომადნო მუშების, მადაროების მეპატრონეების და მთავრობის წარმომადგენლების კონფერენციაზე მოიმწყვდა ჩიხში, როცა ირჩეოდა მუშებსა და მწარმოებლებს შორის შეთანხმების პირობები. მადაროების მეპატრონეები მოითხოვდენ ძირითადი სამუშაო ხელფასის შემცირებას ზოგიერთ რაიონში. მწარმოებლები აცხადებენ, რომ ისინი თანახმა არიან არ შეამცირონ პროცენტული მომატება, დაწესებული ზოგიერთ რაიონში, მაგრამ ძირითად ხელფასს ვერ დასტოვებენ შეუმცირებლად. მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

## პუსტას გადადგომა

**რევალი, 18 სექტემბ.** გაზეთების ცნობით, გადადგა ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი პუსტა. მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო თხოვნა გადადგომის შესახებ და გადასცა კაბინეტს განსახილველად. გაზეთების აზრით, პუსტას გადადგომა, თუ ეს დაამტკიცა მთავრობამ, მოხდება დაახლოვებით ოქტომბრის დასაწყისში.

**რევალი, 18 სექტ.** თხოვნა პუსტას გადადგომის შესახებ განხილულ იქნა მთავრობის სხდომაზე. გადაწყდა, კონსტიტუციის თანახმად, საკითხი გადაეცეს გადასაწყვეტად სახელმწიფო კრებას, რომელიც მოწვეული იქნება ოქტომბრის დასაწყისში.

## თეთრგვარდიელები „მუშაობენ“

### მზადდებოდა თავდასხმა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე ვენაში.

**ვენა, 18 სექტ.** ავსტრიის კანცლერის კანცელარიამ აცნობა ვენის პოლიციის სამმართველოს, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად მზადდებოდა თავდასხმა სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე და სრულუფლებიან წარმომადგენელზე—ბერზინზე.

სრულუფლებიან წარმომადგენლობის ცნობების მიხედვით, ვენის პოლიციამ დააპატიმრა რამოდენიმე კაცი. დაპატიმრებულია ორი რუსი, რომლებიც ამას წინად დაბრუნდნენ ბულგარეთიდან ყალბი პასპორტებით. დაპატიმრებულ იქნა აგრეთვე მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი ბოროდინი, რომელზედაც ეჭვი იყო მიტანილი.

დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ დაპატიმრებულები ჩამოსულან ვენაში უცხოელთა ერთი ჯგუფის დავალებით ბერზინზე თავდასხმის მოსაწყობად.

## რა ხდება უცხოეთში.

### ინგლისელ მეზღვაურთა გაფიცვა

ის ამბები, რომლებიც ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში მოხდა ავსტრალიაში, სახელოვან ფურცელს შეადგენენ ავსტრალიის მუშათა კლასის ისტორიაში.

აგვისტოს ათ რიცხვებში ლონდონში და ინგლისის სხვა ნავთსადგურებში გაიფიცა მეზღვაურების ნაწილი. გაფიცვა გამოაცხადეს ნიშნად პროტესტისა იმ შეთანხმების გამო, რომელიც დადებული იქმნა გემების მეპატრონეებთან მეზღვაურთა და ცეცხლის გამჩაღებელთა კავშირის სათავეში მდგომ შეთანხმებლების მიერ. ამ შეთანხმების ძალით მეზღვაურებს თვიური ჯამაგირი დაუკლეს ერთი თუმანით.

მეზღვაურებმა მოაწყვეს საგაფიცვო კომიტეტები და გემების ნაწილი დააკავეს ნავთსადგურებში. მიუხედავად იმისა, რომ კავშირის თავმჯდომარე, ცნობილი შეთანხმებელი ჰაველოკ ვილსონი ყოველმხრივ ცდილობდა როგორმე ჩაეშალა გაფიცვა, მეზღვაურები მედგრად განაგრძობდნენ ბრძოლას.

როცა ავსტრალიის ნავთსადგურებში მდგომ ინგლისურ გემების მეზღვაურებმა მიიღეს ცნობა ინგლისში მათი ამხანაგების მიერ დაწყებული ბრძოლის შესახებ, მათაც უარი სთქვეს მუშაობაზე. მარტო სიდნეიში გაიფიცა 2000 მეზღვაური ათი გემიდან. ასევე მოხდა მელბურნში და შემდეგ მოძრაობა გავრცელდა ახალი ზელანდიის სხვა ნავთსადგურებზე.

ინგლისელ მეზღვაურებს უდიდესი დახმარება აღმოუჩინა ავსტრალიის მეზღვაურთა კავშირმა. რადგან გაფიცულებს სამშობლოში დაბრუნების საშუალება არ ქონდათ და უცხოეთში უგროშ-კაპიკოდ დარჩენილები მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, ავსტრალიელმა ამხანაგებმა პირველყოვლისა უზრუნველყვეს ისინი ბინებით და სურსათ-სანოვაგით. ავსტრალიის მეზღვაურთა კავშირმა ფართო კამპანია დაიწყო გაფიცვის სასარგებლოდ როგორც პრესაში, ისე დანარჩენ ინგლისურ გემების მეზღვაურთა შორის. კავშირმა თავისი შენობები დაუთმო მეზღვაურებს კრებების და მიტინგების მოსაწყობად.

შეშინებულმა გემების მეპატრონეებმა გადასწყვიტეს ძალით ჩაეშალათ გაფიცვა. ინგლისელ გემების მეპატრონეთა კავშირმა ინგლისის მეზღვაურთა კავშირის ყვითელ ბელადებთან ერთად ავსტრალიის მთავრობის თავმჯდომარეს, რეაქციონერ ბრიუსს გაუგზავნეს დეპეშა თხოვნით დახმარების შესახებ. უკანასკნელმა ყურადღო მათი მუდარა და გასცა განკარგულება „ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ იმ პირებს, რომლებიც მოისურვებენ მუშაობის განახლებას“, ე. ი. შტრეიკბრეხერებს. მაგრამ ბრიუსს შტრეიკბრეხერების ნაკლები იმედი ჰქონდა და გადასწყვიტა ბრძოლის დაწყება ავსტრალიის მეზღვაურთა კავშირთან. ბრიუსი ერთის დაკვრით ორი კურდღლის მოკვლას ფიქრობდა: გაფიცულებისათვის ხელმძღვანელისა და დამხმარის ჩამოშორებას და ამავე დროს მუშათა და მძლავრი კავშირის სამუდამოდ დანგრევას.

ავსტრალიაში არსებობს კანონი, რომელიც უფლებას აძლევს მთავრობას გააძევოს სახელმწიფოდან ის პირები, რომლებიც ავსტრალიაში არ დაბადებულან და „შემჩნეული არიან ტრანსპორტის ნორმალური მუშაობისათვის ხელის შეშლაში“. შემთხვევით აღმოჩნდა, რომ ავსტრალიის მეზღვაურთა უშიშარი და შეუდრეკელი ბელადი ტომ უოლში, რომელიც საშინლად სძავს ავსტრალიის ბურჟუაზიას, და აგრეთვე მეზღვაურთა კავშირის მეორე გამოჩენილი მუშაკი ჯონსონი, არ ყოფილან ავსტრალიაში დაბადებული და ამ კანონის თანახმად ავსტრალიიდან უნდა გაეძევებიათ. ბრიუსი და მისი კოლეგები სიხარულით ცას ეწივნენ. მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ისე იოლი როდი აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ პოლიცია, რომელსაც „არასასურველი პირები“ უნდა გაეძევებინა, იმყოფება ავსტრალიის შემადგენელ ცალკე შტატების განკარგულებაში. 6 შტატიდან, ხუთში ძალა-უფლება მუშათა პარტიის ხელშია და უკანასკნელმა, მთელი ამ ისტორიით აღშფოთებული მუშათა მასების შეგულიანებით, უარი სთქვა ბრიუსისათვის მეზღვაურთა კავშირთან ბრძოლაში მხარის დაჭერაზე. ბატონი ბრიუსი, რომელიც სათავეში უდგას ავსტრალიის ბურჟუაზიულ მთავრობას, იძულებული შეიქნა სასწრაფოდ შესდგომოდა სპეციალური პოლიციის შედგენას „ნავთსადგურებში წესრიგის აღსადგენათ“.

მაგრამ მთავრობის დაბრკოლებები ამით არ ამოიწურა. ავსტრალიის მეზღვაურებმა გადასწყვიტეს ხელი შეეშალათ თავისი ბელადების გაძევებისათვის. 25 აგვისტოს სიდნეიში გაიმართა მეზღვაურთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზეც ერთხმად გადაწყდა გამოცხადებულ იქნეს საერთო გაფიცვა, თუ მთავრობა გაბედავს უოლშის და კავშირის სხვა რომელიმე მუშაკის დაპატიმრებას ან გაძევებას. ამავე და მეორე დღეს ასეთივე მიტინგი გაიმართა ავსტრალიის სხვა ნავთსადგურებში და ყოველგან იქნა მიღებული რეზოლიუციები გაფიცვის გამოცხადების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია რეპრესიებს მიმართავს.

ასე დაიმსხვრა ყვითელ ბელადების და ავსტრალიის ბურჟუაზიული მთავრობის ვერაგული ცდები და განზრახვები გაერთიანებულ მეზღვაურთა რკინის ნებისყოფაზე.

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**პურის ექსპორტი ნორვეგიაში.**

**ლენინგრადი, 19 სექტ.** დაიწყო პურის ექსპორტი ნორვეგიაში. ლენინგრადიდან ოსლოში წავიდა პურით დატვირთული გემი „ბრისკ“. პურით იტვირთება აგრეთვე გემები დანიაში გასაგზავნად.

**მანქანების მიწოდების გეგმა.**

**ლენინგრადი, 19 სექტ.** ლენინგრადში ჩამოსულმა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სინდიკატის თავმჯდომარემ ბრუნომ აცნობა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს, რომ მთელი საბჭოთა კავშირისათვის მანქანების მიწოდების გეგმა, დამყარებული გლეხობის მოთხოვნილებაზე, განისაზღვრება 25—26 წლის 120 მილიონი მანეთით.

ჩვენი შინაური მრეწველობა შესძლებს ერთი წლის განმავლობაში გამოუშვას 82 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. ამ რაოდენობიდან ბაზარზე თავის დროზე გატანილი იქნება 65 მილიონი მანეთის მანქანები და იარაღები. საჭირო იქნება 35 მილიონი მანეთის მანქანების შესყიდვა უცხოეთში.

**ნახევარკაპეიკიანების მოჭრა**

**ლენინგრადი, 19 სექტემბერი.** ზარაფხანამ მოსჭრა 30 მილიონი ცალი სპილენძის ნახევარკაპეიკიანი 150.000 მანეთის ღირებულების. სპილენძის ნახევარკაპეიკიანები გამოშვებული იქნება ბაზრებში, როცა მოიჭრება ნახევარკაპეიკიანების პირველი პარტია 40 მილიონი ცალი—200.000 მანეთის ღირებულების.

**ფხვნილი შაქარი ინგლისიდან**

**ლენინგრადი, 19 სექტემბერი.** ლენინგრადის ნავთსადგურში მიღებულია ინგლისიდან 100.000 ფუთი ფხვნილი შაქარი.

### უკრაინა

**ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია**

**ხარკოვი. 19 სექტ.** 18 სექტემბერს მოსკოვიდან ჩამოვიდა ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია.

### ყირიმი

**ქარიშხალი**

**სევასტოპოლი, 19 სექტ.** სევასტოპოლის ნაპირებთან საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ქარიშხალმა მოუსწრო ზღვაში მეთევზეებს. მათ შესახებ არავითარი ცნობები არ არის.

## სახელმწიფო პურის ფონდი

**მოსკოვი, 19 სექტ.** სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე 17 სექტემბერს მოწონებული იქნა სახელმწიფო პურის ფონდის შექმნის პროექტი.

დაარსებულია სახელმწიფო პურის ფონდი, რომელიც იქნება საბჭოთა კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში. ფონდი მოხმარდება მცხოვრებთა სასურსათო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მოუსავლიანობის ან სხვა სტიქიურ უბედურების დროს, სახელმწიფო საგეგმო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სამომხმარებლო რაიონებისათვის პურის თავის დროზე მიწოდებას, პურის ფასების მოწესრიგებას, როდესაც პურის ფასები ძალიან გაიზრდება, და საექსპორტო პურის ოპერაციების წარმოებას ავანსის სახით მომავალი წლის მოსავლის ანგარიშში.

ფონდის რაოდენობა 1925—26 წ. განსაზღვრულია 50 მილ. ფუთით.

## განსაკუთრებული სატარიფო განაკვეთი

### სპეციალისტებისათვის

**მოსკოვი, 19 სექტ.** საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიკის და შრომის განყოფილებასთან გამართულმა თათბირმა საჭიროთ სცნო შემოღებული იქნას სპეციალისტებისათვის განსაკუთრებული განაკვეთი, რომელშიაც იქნება 16 ხარისხი, შეფარდებით 1:4. ხარისხებს შორის განსხვავება იქნება 0,2.

## საბჭოთა ნაღმოსნები იტალიაში

**მოსკოვი, 19 სექტ.** იტალიის საელჩოს ცნობით, საბჭოთა კავშირის ნაღმოსნებს „პეტროვსკი“-ს და „ნეზამოჟნიკ“-ს ნეაპოლში მოელიან 24 სექტემბერს. საბჭოთა ნაღმოსნებს შესახვედრათ გაიგზავნებიან იტალიის საესკადრო ნაღმოსნები. საბჭოთა მეზღვაურებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ იტალიის ფლოტს და იტალიელ მეზღვაურების ყოფა-ცხოვრებას.

## შეღავათები გლეხობას

**მოსკოვი, 19 სექტემბერი.** საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსთან შემდგარმა სპეციალურმა თათბირმა შეისწავლა საკითხი მშრომელ გლეხობისათვის მიწათმოწყობაზე და გადასახადებზე შეღავათების მიცემის შესახებ. გამორკვეულად არის ცნობილი, რომ სახელმწიფომ თავის თავზე მიიღო ყველა ხარჯები, რომლებიც ესაჭიროება მშრომელ გლეხობის უღარიბეს ნაწილის მიწათმოწყობას. პირველ რიგში სახელმწიფო ხარჯით უნდა იქნეს შესრულებული მშრომელი მოსახლეობის იმ უღარიბესი ნაწილის მიწათმოწყობა, რომელიც გადადის მიწით სარგებლობის კოლექტიურ ფორმებზე (კომუნებში, არტელებში, ამხანაგობებში მიწის საერთოდ დამუშავების გზით). მოსახლეობის საშუალო ნაწილისათვის თათბირმა მიზანშეწონილად მიაჩნია გრძელვადიანი კრედიტის დაწესება. თათბირმა საჭიროდ სცნო აგრეთვე დაწესდეს სპეციალური შეღავათიანი ტარიფი იმ გლეხებისათვის, რომლებიც სახლდებიან სხვა ადგილას. ტარიფი წესდება არა მარტო ქონების, არამედ საშენ ხე-ტყის გადატანაზედაც. გადასახლებულ მეურნეობათათვის ფინანსების მიწოდების მიზნით თათბირს საჭიროთ მიაჩნია სპეციალური გრძელვადიანი საკრედიტო ფონდის შექმნა საკავშირო რესპუბლიკებში.

## მილოლის და მასსარენტის წერილი

როგორც მკითხველებმა იციან, ამ თვენახევრის წინად საქართველოს ესტუმრენ გლეხთა ინტერნაციონალის იტალიელი დელეგატები მილოლი და მასსარენტი, რომელთაც სოც. უზრ.-ყოფის სახ. კომისარის ამხ. ხომერიკის მონაწილეობით შემოიარეს საქართველოს ზოგიერთი კუთხეები.

ამხ. ხომერიკმა მილოლისა და მასსარენტისაგან მიიღო ბარათი, სადაც ისინი მას დიდ მადლობას უძღვნიან საქართველოს გაცნობისათვის და ამავე დროს სთხოვენ მიაწოდოს მათ ცნობები, ფოტოგრაფიული სურათები, ანგარიშები, პასუხები შეკითხვებზე და სხვ.

ეს მასალები, როგორც იტყობინებიან იტალიელი ამხანაგები, მათ სჭირიათ იმ ინტერვიუსთვის საქართველოს შესახებ, რომელიც მოსთხოვა მათ გლეხთა ინტერნაციონალის აღმასკომის პრეზიდიუმმა [illegible] მოსათავსებლად. [illegible] იტალიაში,—სწერენ ამხანაგები, გრძელი წერილი, სადაც რამოდენიმედ გადმოცემულია თბილისში თქვენთან გამართული საუბრის შინაარსი. ერთი სიტყვით ჩვენ გვსურს ჩვენი მტრების ბანაკი გაწითლდეს სირცხვილით იმ ცილისწამების გამო, რომელთაც ისინი ასე გულმოდგინეთ ავრცელებენ. ამავე დროს ჩვენ გვსურს ღირსეულად დავაფასოთ ქართველი მშრომელი ხალხის სიმტკიცე და რევოლიუციონური შეგნება.

მიიღეთ ჩვენგან მხურვალე სალამი. მოკითხვა ძვირფასს ამხანაგებს.

მილოლი.

მასსარენტი.

## ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება

### საკავშირო ფინსახკომის კოლეგიის სხდომაზე

**მოსკოვი, 19 სექტემბერი.** საკავშირო ფინსახკომის კოლეგიის 10 სექტემბრის სხდომაზე, რომელზედაც განხილული იქნა სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრები, სიტყვით გამოვიდა ამხ. სოკოლნიკოვი. სოკოლნიკოვის აზრი მოკლეთ ასეთია:

სახელმწიფო საგეგმო კომისიის ციფრებს აქვთ მხოლოდ დამხმარე პერსპექტიული მნიშვნელობა და არ შეიძლება მიღებული იქნენ, როგორც პრაქტიკული დირექტივა სამეურნეო და ეკონომისტ მუშაკებისათვის.

სოკოლნიკოვი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის რაოდენობის სახალხო-სამეურნეო პროდუქციისა და მისი ქონებრივი ნაწილის სიდიდის მიხედვით განსაზღვრა არ არის სწორი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ თავის მუშაობაში ბიუჯეტის სიდიდის გამოსარკვევათ მხედველობიდან გამოუშვა ადგილობრივი ბიუჯეტი. ამასთან ერთად, ადგილობრივი ბიუჯეტის ხასიათი ეხლა სულ სხვაა, ვიდრე ომის წინადროინდელ ხანებში. მთელი რიგი ხარჯებისა, რომლებიც ომის წინადროინდელ ხანაში შედიოდენ სახელმწიფო ბიუჯეტში, შეტანილია ეხლა ადგილობრივ ბიუჯეტში.

შემდეგ,—საკონტროლო ციფრებში ფული გათვალისწინებულია როგორც ბრუნვის საშუალება. ეს მიდგომა სრულებით არაა სწორი. ფულის მასა ყოველთვის უნდა იყოფოდეს ორ ნაწილად: ფული ბრუნვაში და დაგროვებული ფული. ორ მილიარდ ნახევარ მანეთიდან, რომელიც შეადგენდა ფულის მასას 1914 წლის ომის მომენტისათვის, მნიშვნელოვანი ნაწილი დაგროვებული იყო. დღეს მთელ სახელმწიფოში დაგროვილია არა ნაკლებ 250 მილიონისა ოქროთი და უცხო ვალიუტით. სახელმწიფო საგეგმო კომისია კი ამას უშვებს მხედველობიდან.

„ჩემი ვარაუდით,—ამბობს ამხ. სოკოლნიკოვი—1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის, კარგ მოსავლის შემთხვევაში, ფულის ტრიალის საერთო ჯამი უნდა შეადგენდეს 1.600—1.650 მილიონ მანეთს. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მოყვანილი ციფრი კი—1,950 მილიონი მანეთი უნდა ჩაითვალოს მეტად გაზვიადებულათ“.

მაგრამ სოკოლნიკოვი ფიქრობს, რომ მაინც უნდა ვერიდოთ მეორე შეცდომას, რომელიც გამოიხატება იმის მტკიცებაში, რომ თითქო ფულის მასას, საერთოდ, შემდეგში არ შეუძლია ზრდა. ის გაიზრდება, ალბად, უფრო სწრაფად, ვიდრე საქონლის მასა.

ამხ. სოკოლნიკოვი შეეხო ფასების პოლიტიკას და აღნიშნა, რომ საბითუმო სამრეწველო ფასების დაკლება თუმცა არ უზრუნველჰყოფს საწვრილმანო ფასების დაკლებას, მაგრამ მაინც წარმოადგენს გზას ფასების საერთოდ დაკლებისაკენ. მხოლოდ იმის წყალობით, რომ 1923 წელში დაწყებული იქნა ფასების დაკლების პოლიტიკა, დაიწყო საერთო პროცესი მრეწველობის განვითარებისა და მოწესრიგებისა.

არაა სწორი სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულება, რომ ფულის ტრიალი უნდა დაექვემდებაროს კრედიტის განვითარების ამოცანებს პირიქით—კრედიტი უნდა დაექვემდებაროს მას.

„ჩვენი მრეწველობის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება—ხაზს უსვამს ამხ. სოკოლნიკოვი—შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კეთილდღეობის აწევით. ჩვენ რომ იმედი გვქონდეს უცხოეთში სესხის მიღების, მაშინ [illegible] სამრეწველო მოწყობილობათა განახლებისა და მისი გაძლიერებისა გადაწყვეტილი იქნებოდა ამ მიმართულებით. მაგრამ რამდენადაც სესხის მიღების შესაძლებლობა ისპობა, იმდენად მტკიცედ უნდა დავადგეთ ჩვენ სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის განვითარების გზას“.

პირველი, მთავარი ამოცანა—ათავებს თავის მოხსენებას ამხ. სოკოლნიკოვი,—რომელიც ამჟამად წამოჭრილია მთავრობის წინაშე, ესაა—საბჭოთა კავშირის გადაქცევა ისეთ ქვეყნად, რომელსაც [illegible] ექნება დამზღვევი ხაზინეობა. სანამ ქვეყნის მეურნეობა არაა უზრუნველყოფილი ამ მხრივ, მანამ სამეურნეო გეგმები მოკლებულნი იქნებიან ყოველგვარ სიმტკიცეს. სინამდვილეში კი ამ საკითხებმა სახელმწიფო საგეგმო კომისიის საპერსპექტივო ციფრებში სუსტი გამოხმაურება ჰპოვეს.

## ამხ. ტროცკის წერილი

### ისტმენის წიგნის გამო: „ლენინის გარდაცვალების შემდეგ“*)

სოხუმიდან მოსკოვში დაბრუნებისთანავე ლონდონის „სანდეი უორკერ“-ის რედაქტორის ამხ. ჯექსონის დეპეშიდან მე შევიტყვე ამბავი ისტმენის წიგნის გამოცემის შესახებ, რომლის სათაურია: „ლენინის გარდაცვალების შემდეგ“. ამ წიგნს ბურჟუაზიული პრესა იყენებს ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი პასუხი ჯექსონის მიმართ თავის დროზე გამოქვეყნებული იყო პრესაში, მე საჭიროთ მიმაჩნია აღვადგინო აქ მისი პირველი ნაწილი: „ისტმენის წიგნი, რომელზეც მე თქვენ მელაპარაკებით, ჩემთვის უცნობია. ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებსაც მოჰყავთ ადგილები ამ წიგნიდან, ხელში არ ჩამვარდნია. თავისთავად ცხადია, რომ მე კატეგორიულათ ვგმობ ყოველგვარ გამოსვლებს, რომელიც მიმართულია რუსეთის კომპარტიის წინააღმდეგ“. ჩემი დეპეშის შემდეგ ნაწილში მე პროტესტს ვაცხადებ იმ ინსინუაციის წინააღმდეგ, თითქოს მე ვიჩენდე ორჭოფობას ბურჟუაზიულ დემოკრატიისა და ვაჭრობის თავისუფლების საკითხში.

შემდეგ ინგლისის კომპარტიის მდივნის ინკპინისაგან მე მივიღე ხსენებული ბროშიურა: „ლენინის გარდაცვალების შემდეგ“. ამხ. ინკპინმა გამომიგზავნა თითქმის ისეთივე შინაარსის წერილი, როგორიც ჯექსონის დეპეშა იყო. მე არ მსურდა, ფრიად საპატიო მიზეზის გამო, წამეკითხა ან გამოვხმაურებოდი ისტმენის წიგნს და ვფიქრობდი, რომ ჯექსონისადმი გაგზავნილი დეპეშა, რომელიც გამოქვეყნდა ინგლისის პრესაში და საერთოდ საზღვარგარეთულ პრესაში, სავსებით საკმარისი იქნებოდა. მაგრამ პარტიულმა ამხანაგებმა, რომლებიც ამ წიგნის შინაარსს გაეცნენ, ის აზრი გამოსთქვეს, რომ, რადგან წიგნის ავტორი ემყარება ჩემთან საუბარს, ამიტომ ჩემს სიჩუმეს ჩასთვლიან, როგორც არაპირდაპირ მონაწილეობას ჩვენი პარტიის წინააღმდეგ გამოსვლაში. სწორეთ ამან მაიძულა მე დიდი ყურადღებით მოვეპყრობოდი ისტმენის ბროშიურას და უწინარეს ყოვლისა ზედმიწევნით გავცნობოდი მას.

შინაპარტიულ დისკუსიის ყველასათვის ცნობილ ეპიზოდებიდან დემოკრატიის მეთოდების და სახელმწიფოს ეკონომიკის შესახებ, ისტმენს გამოჰყავს დასკვნები, რომლებიც მთლიანად მიმართულია ჩვენი პარტიის წინააღმდეგ და რომელთაც შეუძლიათ სახელი გაუტეხონ საბჭოთა ხელისუფლებას, თუ ამ დასკვნებს დაიჯერებდა ვინმე.

შევჩერდეთ უწინარეს ყოვლისა ისტორიულ მნიშვნელობის ერთ-ერთ საკითხზე, რომელსაც აქვს აგრეთვე უაღრესი აქტუალური მნიშვნელობა. მე ვლაპარაკობ წითელი არმიის შესახებ. ისტმენი ამბობს, რომ არმიის სარდლობის შეცვლის მომენტიდან, არმია გაიყო, დაჰკარგა თავისი ბრძოლის უნარი და სხვა... მე არ ვიცი საიდან ამოკრიბა ისტმენმა თავისი ცნობები, მაგრამ ამ ცნობების უაზრობა სავსებით ცხადია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ურჩევთ იმპერიალისტურ მთავრობებს დაამყარონ თავიანთი ანგარიშები ისტმენის „აღმოჩენაზე“. ის თვითონაც კი ვერ ამჩნევს, რომ ასეთი დახასიათებით საკვებს აძლევს მენშევიკურ ლეგენდას ბონაპარტიზმის, ჩვენი არმიის პრეტორიანულ ხასიათისა და სხ. შესახებ, რადგან ცხადია, რომ არმია, რომელიც „გაიყო სარდლობის შეცვლის“ გამო, არ არის კომუნისტური, პროლეტარული არმია, არამედ იგი არის ბონაპარტისტული, პრეტორიანული არმია.

ავტორს მთელი თავის წიგნის მანძილზე მოჰყავს მრავალი დოკუმენტები და მთელი რიგი ეპიზოდებისა, რომელთა შესახებ მას ცნობები აქვს მიღებული მესამე და კიდევ უფრო დაშორებულ პირებისაგან. ამ პატარა წიგნაკში ბლომათ მოიპოვება აგრეთვე საერთო ადგილები; ყოველგვარ სიმართლეს მოკლებული. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ უმთავრეს შემცდარ მსჯელობაზე და ტყუილებზე.

თავის წიგნის რამდენიმე ადგილას ისტმენი ლაპარაკობს, რომ „ცეკამ დაუმალა პარტიას მთელი რიგი მნიშვნელოვან დოკუმენტებისა, რომელიც ლენინმა დასწერა სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში“. (ლაპარაკია წერილებზე ეროვნული საკითხის შესახებ, ცნობილ ანდერძზე და სხვა). ეს რა თქმა უნდა, ყველაფერი ცილისწამებაა ჩვენი პარტიის ცეკას მიმართ. ისტმენის სიტყვებიდან შეიძლება გამოიყვანოთ დასკვნა, რომ თითქოს ის წერილები, რომლებსაც ჰქონდათ რჩევა-დარიგების ხასიათი შინაპარტიული ორგანიზაციის შესახებ, ლენინს განზრახული ჰქონდა გამოექვეყნებია პრესაში... ნამდვილათ კი ეს მართალი არ არის.

თავის ავადმყოფობის შემდეგ, ლენინმა რამდენჯერმე გაუგზავნა პარტიის მმართველ ორგანიზაციებს და ყრილობებს წერილები და წინადადებანი. თავისთავად ცხადია, რომ ეს წერილები და წინადადებანი ყოველთვის მიდიოდა დანიშნულებისამებრ, მათ ეცნობოდენ პარტიის მე-12 და მე-13 ყრილობის წევრები და ეს წერილები ყოველთვის გავლენას ახდენდა პარტიის გადაწყვეტილებებზე. ეს წერილები არ გამოქვეყნებულა, რადგან ლენინს არ ჰქონია განზრახვა მათი პრესაში მოთავსება. ლენინს არავითარი ანდერძი არ დაუტოვებია. პარტიისადმი მისი დამოკიდებულების ხასიათი და აგრეთვე ჩვენი პარტიის ხასიათი შეუძლებლად ხდის ასეთ ანდერძს. „ანდერძათ“ ბურჟუაზიული და მენშევიკური პრესა ჩვეულებრივათ სთვლის ლენინის ერთ-ერთ წერილს (იგი მათ მიერ იმდენათ დამახინჯებულია, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი პირვანდელი აზრის აღდგენა), რომელიც შეიცავს დარიგებებს პარტიის ორგანიზაციის შესახებ. პარტიის მე-13 ყრილობამ მთელი თავისი ყურადღება მიაქცია ამ წერილს და სხვა წერილებსაც და გამოიყვანა იქიდან ისეთი დასკვნები, რომლებსაც მოითხოვდენ აღნიშნული პერიოდის პირობები და გარემოებანი. ყველაფერი ის, რაც ნათქვამია დამალულ თუ დამახინჯებულ „ანდერძი“-ს არსებობის შესახებ,—არის უსინდისო სიცრუე, რომელიც მიმართულია ლენინის ნამდვილ სურვილის და მის მიერ შექმნილ პარტიის ინტერესების წინააღმდეგ.

სწორეთ ასეთივე სიყალბეა ისტმენის მტკიცება იმის შესახებ, რომ ცეკას უნდოდა მიეჩქმალა (ე. ი. არ გამოექვეყნებია) ლენინის წერილი მუშათა და გლეხთა ინსპექციაზე. აზრთა სხვადასხვაობას, რომელიც ამის გამო წარმოიშვა ცეკაში,—თუ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი „აზრთა სხვადასხვაობის“ შესახებ, ჰქონდა მხოლოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა, რადგან ლაპარაკი იყო იმაზე, საჭიროა თუ არა ლენინის წერილის გამოქვეყნებას დაურთოთ ცეკას დეკლარაცია, რომელიც დაადასტურებდა, რომ განხეთქილების შიში უსაფუძვლოა. მაგრამ ეს საკითხი ერთხმად იქნა გადაჭრილი იმავე სხდომაზე. ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ ისტმენის ყალბი გაგება ლენინის წერილის გამო პარტიაში მომხდარ აზრთა სხვადასხვაობის მნიშვნელობისა იმ ფაქტის მიხედვით, რომ ცეკას პოლიტბიუროს და ორგბიუროს ყველა წევრებმა იმავე სხდომაზე ხელი მოაწერეს პარტიულ ორგანიზაციებისადმი მიმართვას. ამ მიმართვაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„არ შეიძლება რა ამ საინფორმაციო წერილში, იმ შესაძლებელ ისტორიულ საფრთხის განხილვაში, რომლის შესახებაც ლენინმა თავის დროზე წამოაყენა საკითხი თავის წერილში, ცეკას პოლიტბიუროს და ორგბიუროს წევრები, შესაძლებელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლათ, საჭიროთ სთვლიან ერთხმად განაცხადონ, რომ ცეკას შინაურ მოღვაწეობაში არაფერი არ გვაძლევს საბაბს ვეშინოდეს რაიმე „განხეთქილებისა“.

ამ დოკუმენტს სხვებთან ერთად ხელს აწერს მეც და თვით მისი ტექსტი ჩემს მიერ არის შედგენილი (1923 წ. 27 თებერვალში).

და თუ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე იმას, რომ ამ წერილს, რომელიც გამოხატავს ცეკას ერთსულოვან აზრს ლენინის წინადადებებზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ, ხელს აწერს აგრეთვე ამხ. კუიბიშევი,—ამით ბათილდება ისტმენის მტკიცება, რომ თითქოს კუიბიშევი დანიშნული იქნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელათ, როგორც ლენინის საორგანიზაციო გეგმის „მოწინააღმდეგე“.

ისტმენის განცხადება, რომ ცეკამ კონფისკაცია უყო ჩემ ბროშიურებს ან ჩემ წერილებს 1923 ან 1924 წელს, ან სხვა დროს,—სიყალბეა და დამყარებული „ფანტასტიურ ხმებზე“.

ასეთივე სიყალბეა ისტმენის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ლენინმა მომთავაზა მე სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა. პირველათ ეს ამბავი მე ისტმენის ბროშიურიდან გავიგე.

ბროშიურის უფრო ყურადღებით გადაკითხვის დროს შეიძლება სხვა სიყალბეთა და დამახინჯებათა აღნიშვნა, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მათ მნიშვნელობას ჰქონდეს რაიმე ინტერესი.

სარგებლობს რა ისტმენის განცხადებით და ათავსებს რა მის კრიტიკულ შენიშვნებს, ბურჟუაზიული პრესა—და განსაკუთრებით მენშევიკური—მე მაცხადებს ჩემი ბიოგრაფიის დამწერის მეგობრად და ამით სცდილობს მეტი წონა მისცეს თავის დასკვნებს, რომელიც თავის თავად მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას. მე შევჩერდები იმაზე, რაც ამის შესახებ დავწერე. ჩემ მიერ დაწერილი და ქვემოთ მოყვანილი წერილი, რომელიც დაწერილი იყო მაშინ, როდესაც ლაპარაკიც არ ყოფილა ბროშიურაზე „ლენინის გარდაცვალების შემდეგ“, საუცხოვოთ ახასიათებს ჩემს დამოკიდებულებას ისტმენთან.

სოხუმში ყოფნის დროს მოსკოვიდან ერთი ჩემი მეგობრისაგან, რომელმაც იკისრა ჩემი ბროშიურის გამოცემა, მივიღე ერთ-ერთი ამერიკელ ჟურნალისტის ბ-ნ ისტმენის ხელნაწერი, სათაურით: „ლევ ტროცკის ახალგაზრდობის სურათი“. მასთან დართულ წერილში ჩემმა მეგობარმა მაცნობა, რომ ხელნაწერი, რომელიც გამოგზავნილია „სახელგამი“-ს მისამართით დასაბეჭდათ რუსულ ენაზე, ახდენს რაღაც უცნაურ სენტიმენტალობის შთაბეჭდილებას. მე უპასუხე ამაზე წერილში 1925 წ. 3 აპრილის თარიღით:

„არც კი გავეცნობივარ ისტმენის ხელნაწერს და სავსებით გეთანხმებით თქვენ, რომ მისი გამოცემა ნაადრევია. მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ იგი გამომიგზავნეთ, მე არ შემიძლია მისი წაკითხვა; არავითარი სურვილი არა მაქვს ამისი. მე სიამოვნებით გეთანხმებით, რომ იგი მოკლებულია ჩვენებურ რუსულ, კომუნისტურ გემოვნებას. ისტმენი დიდი ხანია სცდილობს დამარწმუნოს მე იმაში, რომ ძალიან ძნელია ამერიკელების დაინტერესება კომუნიზმით, მაგრამ შეიძლება მათი დაინტერესება კომუნისტებით. მისი არგუმენტები საკმაოდ დამარწმუნებელი იყო. ამის გამო მე აღვუთქვი მას დახმარება, თუმცა ძალიან მცირე: მისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნულია ამ დახმარების ფარგლები*).

მე არ ვიცოდი, რომ მას განზრახული ჰქონდა ამ წიგნის გამოცემა რუსეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე თავის დროზედ ურჩევდი მას არ გამოექვეყნებია იგი. მე არ შემიძლია აუკრძალო ისტმენს თავისი შრომის გამოქვეყნება საზღვარგარეთ: ის არის „თავისუფალი მწერალი“. ის სცხოვრობდა რუსეთში, მან შეკრიბა მასალები, ის ამჟამად იმყოფება საფრანგეთში და არა ამერიკაში. ვთხოვე მას, პირადი პატივისცემისათვის, არ გამოექვეყნოს ეს წიგნი... მაგრამ მე არც ისე დაახლოვებული ვარ მასთან და ეს „უადგილოც“ იქნებოდა.

ეს წერილი, ვიმეორებ, ეხება ბიოგრაფიულ ცნობებს ჩემი ახალგაზრდობის ხანიდან, დაახლოვებით 1902 წლამდე. მაგრამ ჩემი წერილის კილო არ სტოვებს არავითარ ეჭვს ისტმენთან ჩემი დამოკიდებულების შესახებ. ეს დამოკიდებულება არაფრით არ განსხვავდება დამოკიდებულებისაგან უცხოეთის სხვა კომუნისტებისა ან „თანამგრძნობებისადმი“ რომლებიც მთხოვდენ დახმარებას ოქტომბრის რევოლიუციის, ჩვენი პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გასაცნობათ.

ისტმენი ვულგარული აპლომბით დასცინის ჩემს „დონკიხოტობა“-ს ჩემი ამხანაგების, ცეკას წევრების მიმართ, რომლებსაც მე მეგობრულად [illegible] თვით გაცხოველებულ დისკუსიის დროსაც. ისტმენი, ალბათ, თავის თავს სთვლის მოწოდებულად გამოასწოროს „შეცდომები“ და ცილს სწამებს ჩვენი პარტიის მეთაურებს, რომლებსაც ის თავისებურად ახასიათებს.

ჩვენ ზევით დავინახეთ, თუ როგორ დამპალ საძირკველზე ფიქრობს ისტმენი ააშენოს თავისი შენობა. ის სარგებლობს განცალკევებულ ეპიზოდებით პარტიაში წარმოებულ დისკუსიის დროიდან, რათა დაამციროს ჩვენი პარტია ფაქტების დამახინჯებით და პროპორციის დარღვევით, რათა დაუკარგოს მას ნდობა, რომლითაც იგი სარგებლობს.

მიუხედავად იმისა მე მგონია, რომ სერიოზულ მკითხველს და მით უმეტეს მოაზროვნეს არ ესაჭიროება ისტმენის განცხადებათა და მისი „დოკუმენტების“ შემოწმება, რაც ყველასათვის ადვილი საქმე არ არის. საკმარისია მხოლოდ შეეკითხონ თავის თავს: „თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი პარტიის ბელადების შეფასებას ისტმენის მიერ,—როგორ შეეძლო ამ პარტიას ეწარმოებინა ხანგრძლივი არალეგალური ბრძოლა, როგორ შეუძლია მას მრავალ მილიონების მიმხრობა და სხვა ქვეყნებში რევოლიუციონურ პარტიების წარმოშობისათვის ხელის შეწყობა“. არც ერთი სინდისიერი მუშა არ დაიჯერებს, რომ ისტმენის მიერ დახატული სურათი სინამდვილეს შეეფერება. ის თავის თავს თვითონვე აბათილებს. როგორიც არ უნდა იყოს ისტმენის ზრახვები, მისი წიგნი, რომელიც ობიექტიურად წარმოადგენს კონტრ-რევოლიუციის იარაღს, სამსახურს გაუწევს მხოლოდ კომუნიზმის და რევოლიუციის მოსისხლე მტრებს.

ლ. ტროცკი.

---

*) [illegible] ეს წერილი გაზ. „ლეიბორ მანთლი“-დან (ინგლისის კომპარტიის ცენტრალური ორგანო). რედ.

*) 1923 წ. 22 მაისს მე გაუგზავნე შემდეგი პასუხი ისტმენის განმეორებით თხოვნაზე: „მე ყოველგვარ ღონეს ვიხმარ, რათა დაგეხმაროთ თქვენ კეთილსინდისიერი ინფორმაციით, მაგრამ მე არ შემიძლია დაგეთანხმოთ თქვენი ხელთნაწერის წაკითხვაზე, რადგან ეს მე დამაკისრებს პასუხისმგებლობას არა მარტო ფაქტებისათვის. ცხადია, რომ ეს არ შეიძლება. მე მზად ვარ ვიკისრო პასუხისმგებლობა,—ამასთანავე არასრული პასუხისმგებლობა,—იმ ფაქტებისათვის, რომლებსაც მე გაცნობებთ თქვენი თხოვნის თანახმად. ყველაფერი დანარჩენისათვის პასუხისმგებელი იქნებით თქვენ. თქვენი წიგნაკი თავდება 1902 წლის ამბებით“.

# ეორე სახელმწიფო მოგებიანი სესხის მეოთხე ტირაჟი

## ოფიციალური ცხრილი

19 სექტემბრის დილის სხდომაზე გათამაშებული იქნა თუთხ- ი 500 მანეთიანი მოგება, 83 ათას მანეთიანი მოგება. მოგება ა ქვემოთ ჩამოთვლილ ნომრებს ობლიგაციებისა და სერიებისას:

**ხუთას მანეთიანი მოგებანი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.018 | სერ. 19 | 0.431.321 | სერ. 7 | 0.657.285 | სერ. 7 | 0.906.483 | სერ. 6 |
| 38.175 | „ 18 | 0.447.304 | „ 5 | 0.680.368 | „ 14 | 0.949.370 | „ 9 |
| 20.090 | „ 4 | 0.477.826 | „ 11 | 0.804.065 | „ 13 | 0.969.239 | „ 19 |
| 56.021 | „ 2 | 0.593.605 | „ 16 | 0.824.342 | „ 18 | | |

**1000 მანეთიანი მოგებანი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.544 | სერ. 3 | 0.254.766 | სერ. 12 | 0.492.898 | სერ. 6 | 0.744.744 | სერ. 9 |
| 59.096 | „ 7 | 0.258.136 | „ 9 | 0.514.636 | „ 15 | 0.745.317 | „ 16 |
| 59.597 | „ 14 | 0.269.266 | „ 4 | 0.548.811 | „ 19 | 0.747.073 | „ 5 |
| 66.750 | „ 4 | 0.276.072 | „ 16 | 0.550.064 | „ 8 | 0.771.151 | „ 6 |
| 70.511 | „ 10 | 0.276.740 | „ 16 | 0.555.015 | „ 1 | 0.781.678 | „ 18 |
| 72.468 | „ 15 | 0.280.529 | „ 5 | 0.559.710 | „ 11 | 0.800.288 | „ 3 |
| 77.417 | „ 19 | 0.282.083 | „ 18 | 0.586.261 | „ 16 | 0.805.824 | „ 1 |
| 80.419 | „ 2 | 0.312.122 | „ 20 | 0.590.121 | „ 15 | 0.811.763 | „ 18 |
| 84.254 | „ 9 | 0.357.010 | „ 19 | 0.591.507 | „ 15 | 0.831.051 | „ 1 |
| 89.716 | „ 10 | 0.364.970 | „ 5 | 0.592.041 | „ 10 | 0.836.971 | „ 2 |
| 98.452 | „ 18 | 0.386.188 | „ 9 | 0.651.483 | „ 13 | 0.846.555 | „ 2 |
| 12.958 | „ 3 | 0.408.581 | „ 10 | 0.661.712 | „ 8 | 0.850.334 | „ 17 |
| 19.294 | „ 12 | 0.416.862 | „ 13 | 0.678.792 | „ 9 | 0.854.552 | „ 14 |
| 34.957 | „ 4 | 0.428.132 | „ 3 | 0.684.336 | „ 17 | 0.864.911 | „ 12 |
| 40.605 | „ 11 | 0.428.169 | „ 8 | 0.693.410 | „ 7 | 0.901.073 | „ 8 |
| 48.461 | „ 3 | 0.429.745 | „ 3 | 0.694.821 | „ 14 | 0.924.702 | „ 11 |
| 53.619 | „ 18 | 0.445.197 | „ 6 | 0.699.156 | „ 17 | 0.926.392 | „ 7 |
| 63.625 | „ 9 | 0.465.050 | „ 16 | 0.699.377 | „ 13 | 0.941.226 | „ 11 |
| 75.664 | „ 20 | 0.474.713 | „ 20 | 0.726.060 | „ 17 | 0.946.173 | „ 2 |
| 97.588 | „ 6 | 0.488.377 | „ 14 | 0.737.176 | „ 13 | 0.958.892 | „ 2 |
| 41.887 | „ 20 | 0.491.430 | „ 16 | 0.739.417 | „ 8 | | |

19 სექტემბრის საღამოს სხდომაზე სატირაჟო კომისიის ერ გათამაშებული იქნა 10 მოგება ათასმანეთიანი და 6 მო- ა ხუთიათასმანეთიანი, რომლებიც ხვდა ობლიგაციებისა და სე- ების შემდეგ ნომრებს:

**1000 მანეთიანი მოგებანი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 33.923 | სერ. 2 | 0.378.063 | სერ. 1 | 0.528.452 | სერ. 8 | 0.916.231 | სერ. 14 |
| 34.881 | „ 20 | 0.414.957 | „ 11 | 0.595.975 | „ 20 | | |
| 72.317 | „ 1 | 0.473.320 | „ 18 | 0.742.723 | „ 3 | | |

**5000 მანეთიანი მოგებანი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 0.208.539 | სერია 17 | 0.377.731 | სერია 10 | 0.579.004 | სერია 6 |
| 0.220.237 | „ 12 | 0.463.364 | „ 3 | 0.864.237 | „ 14 |

ების—500 მანეთამდის—გაცემას აწარმოებენ სახელმწიფო ბანკის ყოფილებები თბილისში შემდეგი გაზეთების— „Известия ЦИК СР", „Заря Востока"-ს და „კომუნისტი"-ს იმ ნომრების გამოსვლის დღის შემდეგ, ხოლო ადგილებზე კი მიღებიდან 8 დღის შემდეგ, ომლებშიც გამოქვეყნებულია მოგებათა ოფიციალური ცხრილები. 00 მანეთიან და 5000 მანეთიან მოგებათა გაცემას აწარმოებს მხოლოდ სახელმწიფო ბანკის გამგეობა მოსკოვში.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე **ელიავა**
სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ოზოლინი**
ვრები: **ხმელევსკი, მოგოტიშვილი, ბუჩნიკაში, დალბაშიძე, ტიროგლიანცი, საფარიანი, ზრიგოლია, მაგალაში.**
მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები | **ხოჯოლოვი, ახვარდოვი.**
მდივანი: **მედოვენკო.**

## ირაჟის მიმდინარეობა უკანასკნელ დღეებში

კანასკნელ დღეებში მოგებიანი ხის გათამაშებას ესწრება აუარე- ლი ხალხი. მთელი 4 დღის გან- ლობაში აგიტ-მურინავები პლაკა- ბით და მუსიკით დაქროდენ ქა- ის ყველა უბნებში, განსაკუთრე- თ დიდძალი ხალხი აწყდებოდა ეატრს, სადაც გათამაშე- წარმოებს საღამოობით.

დამსწრეთა შორის არიან წითელარმიელები, პიონერები და ახლომახლო სოფლის გლეხები. დამსწრენი კომისიის აძლევენ მრავალ შეკითხვებს გათამაშების ტეხნიკის შესახებ..

4 დღის განმავლობაში დასრულდა 50 მან., 100 მან., 500 მანეთიან მოგებათა გათამაშება.

18 სექტემბერს გათამაშებულ იქნა 440 ასმანეთიანი მოგება ორივე სერიაში 100 (მან.) თითო მოგება სერიების მიხედვით და 90—ხუთას მანეთიანი მოგება.

დიდ ყურადღებას დამსწრეთა შორის იწვევს აგრეთვე ფინსახკომის გამოფენა. ექსპონატებს შორის შესანიშნავია „საბჭოთა კავშირის საალმასო ფონდი", სადაც გამოფენილია ყოფილ მეფეთა გვირგვინები, სკიპტრა, დიადემები, ქინძისთავები, ოქრომკედები და სხვა სამკაულნი.

19 სექტემბერს თეატრს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ თეატრმა ვერ დაიტია მაყურებელნი...

გაიმართა მშვენიერი კონცერტი, და დივერტისმენტი სატირიკოსების —გრიმოვის და მილიჩის მონაწილეობით. დასასრულ წარმოდგენილ იქნა ერთმოქმედებიანი ხუმრობა „მოგებიანი სესხის გათამაშება თბილისში".

## სატირაჟო კომისიის და თბილისის მშრომელთა გაერთიანებული სხდომა

გუშინ—19 სექტემბერს საღამოს 7 საათზე გაიხსნა სატირაჟო კომისიის და თბილისის მუშათა, მოსამსახურეთა და ყველა მშრომელთა გაერთიანებული სხდომა. გათამაშებულ იქნა რამოდენიმე ათას მანეთიანი მოგება და ექვსი 5-ათასიანი მოგება. შემდეგ დაიწყო სხდომის საზეიმო ნაწილი.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, სატირაჟო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ, რომელმაც მოკლეთ აღნიშნა სახელმწიფო მოგებიანი სესხის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიური გაძლიერებისა და ფინანსიური თავდაცვისათვის. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სარქ. ხანოიანმა და სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ოზოლინმა.

დასასრულ ქ. თბილისის მუშა-მოსამსახურეთა, მშრომელთა და სატირაჟო კომისიის გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო შემდეგი:

### რეზოლიუცია

მას შემდეგ, რაც საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასებმა მოიგერიეს სამხედრო თავდასხმა, მედგრათ გადაიტანეს ეკონომიური ბლოკადა და გაარღვიეს იგი, უცხოეთის ბურჟუაზია ცდილობს დაასუსტოს ჩვენი ძლევამოსილება ფინანსიური ბლოკადით.

ჩვენ არა ერთხელ მივმართავს კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, რომ მათ მოეცათ ჩვენთვის სესხი. მაგრამ საგარეო სესხის ის პირობები, რომელთაც გვიყენებენ ბურჟუაზიული ქვეყნები, ჩვენთვის მიუღებელია. ისინი მოითხოვენ ჩვენგან დიდი ოქტომბრის ძირითად მონაპოვართა უარყოფას; ისინი უმზადებენ საბჭოთა კავშირს დაღუპვის გეგმებს, საბჭოთა ქვეყნების ეკონომიური დამონავების გეგმებს, გეგმებს პროლეტარული რევოლიუციის დახშობისას.

მტაცებლების ამ განზრახვებს ჩვენ დავუპირდაპირებთ ფინანსიურ თავდაცვას. გავაათკეცებთ ჩვენს ენერგიას, ავსწევთ შრომის ნაყოფიერებას, გავამაგრებთ კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის და უზრუნველვყოფთ ჩვენი შინაური სახელმწიფო კრედიტის განვითარებას.

საბჭოთა რესპუბლიკების მთელი მოსახლეობა უაღრეს ყურადღებას აქცევს ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკების ფინანსიური თავდაცვის ორგანიზაციის, ჩვენი შინაური სახელმწიფო კრედიტის განვითარების საქმეს. შინაური სახელმწიფო სესხი—ეს მტკიცე და დაუძლეველი მახვილია ჩვენი ფინანსიური თავდაცვისათვის.

მშრომელნი, რომელნიც თავიანთ წვლილს სესხით აძლევენ თავის მუშურ-გლეხურ მთავრობას, ხელს უწყობენ კავშირის ეკონომიურ განმტკიცებას და იგერიებენ კაპიტალისტური ევროპის თავდასხმებს. ფინანსიური თავდაცვის იდეა—შინაური სახელმწიფო კრედიტის განვითარება—უნდა შეიჭრას მთელი საბჭოთა კავშირის და კერძოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის თვითეული მუშის, გლეხის და ყველა მოქალაქეთა შეგნებაში.

მშრომელთა მასების საერთო ღონისძიებებით დამსხვრეულ იქნება საბჭოთა კავშირის ეკონომიური ჩახრჩობის გეგმა.

ჩვენ ჩვენივე საკუთარი ძალებით—თუმც უფრო ნელის ნაბიჯით—აღვადგენთ სახალხო მეურნეობას და ავსწევთ ჩვენი ქვეყნის საერთო კეთილდღეობას.

ჩვენი ფინანსიური თავდაცვა დაამსხვრევს ფინანსიური ბლოკადის ყველა იერიშებს.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ეკონომიურ ძლიერებას.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ერთა ძმურ კავშირს და სოლიდარობას.

გაუმარჯოს მშრომელთა მასების ორგანიზატორს—კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

## ავსტრიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია საქ-ლოში

IV

### ზემო-ავჭალაში

ჩამოსვლის პირველ დღესვე ავსტ. ახალგაზრდობის დელეგაციამ ინახულა ზემო-ავჭალის ჰიდრო-სადგური, სადაც მას შეეგება სადგურზე მომუშავე მუშათა ერთი ნაწილი. ერთი-მეორისადმი მისალმების შემდეგ მუშებს და დელეგატებს შორის გაიმართა საუბარი. ახალგაზრდა სტუმრებმა ჩვენს მუშებს გამოჰკითხეს მათი ეკონომიური მდგომარეობა, შრომის პირობები და დაცვა, ხელფასი და სხვა. შეკითხვებზე მუშები აწვდიდენ სრულ და ამომწურავ ცნობებს.

დელეგატები შეეხენ აგრეთვე პოლიტიკურ საკითხს და სხვათა შორის დაინტერესდენ მუშების დამოკიდებულებით მენშევიკურ პარტიისადმი. პასუხად მიიღეს, რომ მენშევიკურმა პარტიამ ამ სამი წლის შეუფერებელი მოქმედებით და პროლეტარული თვალსაზრისით ყოვლად გაუმართლებელი საქციელით სრულიად დაჰკარგა გავლენა და ჩამოიშორა მუშების და გლეხების მთელი მასსა.

საუბრის შემდეგ დელეგაციის პატივსაცემლად გაიმართა ადგილობრივი ძალების მონაწილეობით კონცერტი და ცეკვა-სიმღერა, რამაც მათზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

დასასრულ დელეგაცია შეუდგა ზემო-ავჭალის ნაშენების დათვალიერებას, რომელიც ერთი საათი გაგრძელდა. დელეგატები გამოსთქვამდენ თავიანთ აღფრთოვანებას ამ გრანდიოზულ ნაგებობათა ნახვის გამო.

### მცხეთის დასასვენებელ სახლებში.

ზემო-ავჭალიდან დელეგაცია ეწვია მცხეთის დასასვენებელ სახლებს. აქ მათ დაათვალიერეს შენობები, ბინები, ეზო, სიფუტკრე; შემდეგ აქაც გაიმართა საუბარი დასასვენებლად მყოფ მუშებთან. საუბარი შეეხებოდა დასვენების პირობებს და სახლებში შემოღებულ წესრიგს.

მცხეთის დასასვენებელ სახლებში ახალგაზრდებს გაუმართეს ვახშამი, წარმოითქვა სიტყვები. საქართველოს ახალგაზრდობის სახელით სიტყვა სთქვა ამხ. ხარქისოვმა, რომელმაც აღნიშნა დელეგაციის ჩამოსვლის მნიშვნელობა. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარე ამხ. ციბუშმა, რომელმაც ერთხელ კიდევ აღუთქვა ჩვენს მშრომელ ახალგაზრდობის ფართოდ გააცნოს ავსტრიის მშრომელთ მათი ქვეყნის ნამდვილი მდგომარეობა. დელეგაცია თბილისს დაბრუნდა საღ. 10 საათზე.

### ქალაქის და ქალაქის წარმოებათა დათვალიერება

დილის 9 საათიდანვე დელეგაცია შეუდგა საქმეს. მათი დღის წესრიგში შედიოდა ქალაქის სხვადასხვა უბნების და მთავარ წარმოებათა დათვალიერება.

დილისვე დელეგაცია ეწვია რკინიგზის მთავარ სახელოსნოებს. აქ მათ დაათვალიერეს ყველა ცეხები და პირისპირ შეხვდენ დასაქმებულ მომუშავე მუშებს. ახალგაზრდა სტუმრებს აინტერესებდათ ჩვენი ხელოსან მუშების შრომის პირობები და აგრეთვე სახელოსნოების ტეხნიკური მდგომარეობა.

ყოველ ცეხში ამხანაგები მართავდენ მცირე საუბარს, რომლის დროსაც ირკვეოდა ჩვენი მუშების მდგომარეობა, ყოველმხრივ დათვალიერებულ იქნა აგრეთვე თამბაქოს და ტყავეულობის ქარხნები. აქ დელეგატები გაეცნენ ახალგაზრდა—მოზარდ მუშათა მდგომარეობას, გამოკითხეს სამუშაო დროის რაოდენობა, ხელფასი, შრომის დაცვის პირობები და სხვა.

საერთოდ ახალგაზრდობის შრომის პირობებთან გაცნობამ დელეგატებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

გზადაგზა ავტომობილით მოგზაურობის დროს დელეგატები ეცნობოდენ ჩვენი ქალაქის სხვადასხვა უბნებს და ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ნაშუადღევს 2 საათზე დელეგატების ნაწილი გაემგზავრა მეტეხში პოლიტიკურ პატიმართა სანახავად.

### დელეგაცია მეტეხის ციხეში

გუშინ ნაშუადღევს დელეგაცია ესტუმრა მეორე გამასწორებელ სახლს (ყოფ. მეტეხის ციხეს).

დელეგატებმა გამოჰკითხეს გამასწორებელი სახლის უფროსს პირობები, რომელშიდაც იმყოფებიან პატიმარნი.

შემდეგ მათ ინახულეს გამასწორებელი სახლის ქალთა და ვაჟთა განყოფილებები.

დელეგატებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ პატიმარ ახალგაზრდა მარქსისტებთან, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს აგვისტოს გამოსვლებში.

ყოფილმა ახალგაზრდა მარქსისტებმა განუცხადეს ავსტრიელ დელეგატებს, რომ ისინი სთვლიან შეიარაღებულ აჯანყებას ქართველი ხალხისთვის მავნებლად და ამ ჟამად საჭიროდ მიაჩნიათ თანამშრომლობა საბჭოთა მთავრობასთან.

დელეგატებმა დაათვალიერეს აგრეთვე გამასწორებელი სახლის კლუბი, სადაც ისინი გაეცნენ კლუბის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას.

### თბილისის ახალგაზრდა მუშების კრება დელეგაციის პატივსაცემად

გუშინ რუსთაველის თეატრში გაიმართა ახკომკავშირის თბილისის ორგანიზაციების და 3—4 რაიონების ახალგაზრდა მუშების გაერთიანებული კრება დელეგაციის პატივსაცემად.

სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ რამოდენიმე მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ახ. კომ. კავშირის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხანაგ გობეჩიამ კრებას სათითაოდ გააცნო დელეგაციის წევრები, რომელთაც თბილისის მშრომელი ახალგაზრდობა ხანგრძლივი ტაშის ცემით და „ვაშას" ძახილით შეეგება. განსაკუთრებული მხურვალე გრძნობით მიეგება ახალგაზრდობა ავსტრიელ კომკავშირელებს ამხ. ბეშმან და გრაუხმერს.

### ამხ. გედიჩკეს სიტყვა

თბილისელ ახალგაზრდათა საპასუხოთ დელეგაციის წევრმა ამხ. გედიჩკემ, რომელიც საბჭოთა კავშირში გამომგზავრების განზრახვისათვის გამორიცხულ იქნა სოც.-დ. პარტიიდან, განაცხადა, რომ ავსტრიაში დაბრუნების შემდეგ, სოციალ-დემოკრატიული და კაპიტალისტური პრესა დასწამებს დელეგაციას თითქო მოყიდული იყოს, მაგრამ ისინი შესძლებენ, პირში ბურთი ჩასჩრან ცილისმწამებლებს.

### ამხ. ევგენია ლანდე (დელეგაციის მდივანი).

— ვენაში გამართულ ყოველ კრებაზე ჩვენ გვავალებენ განსაკუთრებული ყურადღებით შეგვესწავლა საქართველოს მდგომარეობა: რაც ჩვენ ვნახეთ და მოვისმინეთ დღეს გამასწორებელ სახლში, ერთხელ კიდევ მარწმუნებს მასში, თუ რა რიგ სტყუის სოციალ-დემოკრატიული და ბურჟუაზიული პრესა.

—დღეს ჩვენ დავინახეთ, რომ ეს საპატიმრო კი არ არის, პრამედ იგივე დასასვენებელი სახლია.

დღეს ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ ცნობა „ათას პოლიტიკურ პატიმარზე" ზღაპარია და სხვა არაფერი. არც ერთს პატიმართაგანს არ განუცხადებია, რომ იგი სდგას მენშევიკურ პლატფორმაზე; პირიქით ყველა აცხადებდა, რომ მზად არიან ითანამშრომლონ საბჭოთა მთავრობასთან.

ჩვენ ვიტყვით სიმართლეს,—ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ბრძოლაში გამოვიწვევთ ბურჟუაზიას.

ავსტრ. ახ. კომ. კავშირის სახელით კრებას ესალმება ამხ. გროუზამერი.

### ამხ. ციბუში (დელეგაციის თავმჯდომარე)

დასასრულ სიტყვას ამბობს დელეგაციის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრი ამხ. ციბუში. ჩვენ,—აცხადებს იგი,—საბჭოთა კავშირში ჩამოველით არა მარტო მუშა-ახალგაზრდობის მდგომარეობის შესასწავლად, არამედ იმისთვისაც, რომ მოლაპარაკება გავმართოთ ახალ. კომ. ინტერნაციონალთან ავსტრიის კომკავშირის და დამოუკიდებელთა პარტიის ახალგაზრდა ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ. გამარჯვებისაკენ მივყევართ მხოლოდ იმ გზას, რომელიც აღმოაჩინა ამხ. ლენინმა. ავსტრიაში დაბრუნებისას ჩვენ დავიწყებთ ბრძოლას იმისათვის, რომ ავსტრიის ახალგაზრდობა დაადგეს ამ გზას.

ამხ. ციბუშის სიტყვას ჰფარავს დაუსრულებელი ტაში.

## უცხოელ მასწავლებელთა მეორე ჯგუფი თბილისში

### საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში

გუშინ, დილის 10 საათზე, უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციამ სრული შემადგენლობით, სრულიად რუსეთის პროფსაბჭოს წარმომადგენლის აპლეტინის და ადგილობრივ ამხანაგების თანხლებით დაათვალიერა კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა.

აქ დელეგატებს შეხვდენ მასწავლებლები სკოლის გამგის ამხ. ყამარაულის მეთაურობით. მისალმებისას ორკესტრმა შეასრულა „ინტერნაციონალი".

შეკითხვებიდან და საუბრიდან დელეგატებმა გაიგეს, რომ სკოლაში 260 მოწაფეა, რომელთაგან 150 კაცი სრულ პანსიონზეა მიღებული.

ამხ. ყამარაულმა დელეგატების თხოვნის თანახმად დაწვრილებით დაახასიათა სწავლების მეთოდი, რითაც დელეგატები კმაყოფილი დარჩენ. საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დათვალიერება დაიწყო საზეინკლო ცეხიდან, სადაც მუშაობდენ მოწაფეები, უკახასკელებს თარჯიმანის შემწეობით გამოესაუბრენ დელეგატები. სახარატო, სამჭედლო და ხის დამმუშავებელ ცეხების დათვალიერების შემდეგ დელეგატებმა ინახულეს ლენინის კუთხე, რომელმაც ისინი გააკვირვა თავისი სიდიადით.

დელეგატებმა დაათვალიერეს აგრეთვე საერთო ბინა, რის შემდეგაც გაემგზავრენ სახელმწიფო უნივერსიტეტში.

### სახელმწიფო უნივერსიტეტში

აქ დელეგაციას მიესალმენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

დელეგატები დაწვრილებით გაეცნენ სწავლების მეთოდს. დელეგაცია სხვათაშორის დაესწრო სტუდენტების გამოცდას. ის დაინტერესდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, რომლის დათვალიერებას დიდხანს მოუნდა. დასასრულ დელეგატები მხურვალედ გამოემშვიდობენ სტუდენტებს და პროფესორებს და გაემგზავრენ განათლების სახალხო კომისარიატში.

### განათლების სახალხო კომისარიატში

განათლების სახალხო კომისარიატში დელეგაცია მიიღო ამხ. კანდელაკმა.

მისალმებების შემდეგ ამხ. კანდელაკმა დაწვრილებით გააცნო დელეგატებს განათლების საქმის მდგომარეობა, საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ამ დარგში.

ჩვენი ძირითადი მუშაობა, სთქვა ამხ. კანდელაკმა, მდგომარეობს სასკოლო საქმის გაფართოებაში. მენშევიკების დროს საერთო ბიუჯეტიდან განათლების საქმეზე იხარჯებოდა 24,7 პროც. ეხლა კი იხარჯება 51 პროც., მომავალში ჩვენ ამ პროცენტს ავიყვანთ 60-დე.

მეფის დროს საქართველოში სულ არ ყოფილა დაბალი საფეხურის სკოლა ეროვნულ ენაზე.

დასასრულ ამხ. კანდელაკი იმედს გამოსთქვამს, რომ საქართველოში ისინი გაეცნობიან სინამდვილეს და უცხოეთში დაბრუნების შემდეგ იტყვიან სრულ სიმართლეს საბჭოთა კავშირის კულტურული მდგომარეობის შესახებ.

---

# სვანეთის მთებში

## 1. ორიოდე წინასწარი სიტყვა

ავტომობილების, ჰაეროპლანების რადიოს დღევანდელ ხანაში კავკასიონის მიუვალ მთაგრეხილებში კეტილი სვანეთი რაღაც ლეგენდარულ ქვეყანათ წარმოგვიდგება. უცნაურ რაინდივით მომწყვდეული კულტურისაგან ყოველმხრივ რიშმიტანილ ბუნებრივ სიმაგრე- და ჩვენი აწყვეტილი ოცნებაც ში ხედავს რაღაც სილამაზეს და ანტიულობას.

ჩვენ სრულიად არა გვაქვს ნამდვილი წარმოდგენა არც სვანეთზე და არც სვანებზე.

თუ სვანეთის მნახველი ქართველები თითებზე დაითვლებიან, სამაგიეროთ თვით სვანები ძალიან ხშირს გვინახავს. იგინი მრავლად დადიან სამუშაოთ ჩრდილოეთ-კავკასიაში, სამეგრელოში, იმერეთში, რაჭაში და ქართლში.

ისინი რომელიმე ნადირის, ან ცხვრის ტყავებში გამოხვეული და [illegible] ყოველ გზაზე ეწეოდენ ხოლმე ჩვენ მხარეს. დაიწყებდენ სიმინდის თიბვას და სანამ მთელი ყანა ჩაითიბებოდა—სულ იქ ტრიალებდენ. ყოველ სოფელში მისულები შეიკედლებოდენ რომელიმე ოჯახს და ცხოვრობდენ ან სახლში ან ბოსელში. იმათთვის არც გოფაცხა იყო, არც დაბანა, არც სხვა რამ სიკეთე. წერა-კითხვა არავინ იცოდა. წიგნი არავის ეინტერესებოდა. საქვეყნო და რაიმე ადამიანურ საკითხზე მათგან არ დასცდებოდა არც ერთი სიტყვა. სვანურათ კი რას ლაპარაკობდენ ერთმანეთში—ჩვენ არ გვესმოდა.

საშინლად უყვარდათ ჩვენში ყველაზედ იაფი საქონელი—დოლ. ხუკის [illegible] რომ მიგეტანა, ისინი მაინც დოლს არჩევდენ.

— დო მოიტა, დო, თუ ძმა ხარ!

ჩვენ რა გვენაღვლებოდა, თუ კი იოლათ გადავრჩებოდით და ისინიც დიდათ კმაყოფილი რჩებოდენ, ხოლო კი—დღეგრძელობა გქონდეთ—ომ იმათ არ აკლდათ. 5 და 6 ჯამს ე შეექცეოდენ, როგორც ერთ ოვზს.

ამასთანავე ხანდახან დიდ ღვთისმოსაობასაც იჩენდენ: თუ ვინმე [illegible] აწუხებდა, მაშინათ ხმას არ გასცემდენ, გულში ჩაიცინებდენ [illegible] ერთიან ჩასთიბავდენ უფროსთ. სანამ პატრონი გაიგებდა ამ უბედურობას, მანამ იმათ უკვე ცხრა მთა ჰქონდათ გადავლილი.

იყვენ სვანები, რომლებიც ათ წლობით დადიოდენ ერთ და იმავე მხარეში, ერთ და იმავე ხალხთან, მაგრამ ერთმანეთ შორის მაინც არ დამყარებულა რაიმე გულითადი, მეგობრული განწყობილება. ჩვენ შორის მუდამ რაღაცა უცხობა სუფევდა, რომელიც ვერ გარდაიქცა გულწრფელ სტუმრობასაც.

აი, ყველაფერი ესე სამუშაოთ გამოსულ სვანების წყალობით ვიცნობთ სვანეთის ხალხს და არც მე მქონია უკეთესი მასალა, რომ შემექნა მათზე სხვა წარმოდგენა.

ისინი გვესახებოდენ მთებში მოწყვეტილ ტყის ხალხათ, რომელთაც არც ჩაცმა ეხერხებით, არც დახურვა და არც ადამიანური, წესიერი ცხოვრება.

ამ ზერელე და შეცდარ წარმოდგენას კიდევ ხელს უმართავდა ის გარემოება, რომ განათლებულ და ხალხში გამოსულ სვანებს სრულიად ვერა ვხვდებით ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ იმათ მაინც გაეცნოთ ჩვენთვის თავიანთი ქვეყნის ნამდვილი ვითარება.

ბოლო დროს მაინც განსაკუთრებით გაიზარდა ყურადღება სვანეთისადმი როგორც მთავრობის, ისე საზოგადოებრივ წრეებშიც.

პირადათ მეც ნაგანგებით მეინტერესება ყოველი ახალი ქვეყნის ნახვა. მიტადრე თუ ეს ქვეყანა დაკავშირებულია ან დიდ ზღვებთან, ან მაღალ მთებთან.

ამიტომ მომეცა თუ არა პირველი შემთხვევა სვანეთის ნახვისა, მეც სიამოვნებით ვისარგებლე ამ გარემოებით.

სვანეთის დასათვალიერებლათ მიემგზავრებიან საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძე და შამშე ლეჟავა. ჩვენი გაზეთის დავალებით მეც სწორედ მათთან მივემგზავრები.

ჩვენ უკვე მშვიდობით და კარგათ მოვიარეთ ქვემო და ზემო-სვანეთი.

ეხლა ჩვენი მოგზაურობის ცოცხალი სურათების აღწერით მინდა რამდენიმე მაინც ნამდვილი წარმოდგენა [illegible] როგორც სვანეთის [illegible] მდგომარეობაზე, ისე [illegible] მათ დავეყრდნოთ.

## 2 ქუთაისიდან ცაგერამდის

თბილისიდან ქუთაისამდის სიტყვის დახარჯვა არაა ღირს.

4 სექტემბერს დილით ჩავსხედით ავტოში და გავუდექით ოკრიბის სამხედრო გზას რაჭის მიმართულებით.

ქვემო-სვანეთისაკენ მიდის ეს ერთად ერთი გზა—ლეჩხუმის სამაზრო ცენტრ—ცაგერზე გავლით. ზემო-სვანეთისაკენ კი ორი გზა მიდის: ერთი ქვემო-სვანეთიდან, ლაშხეთის მახლობლათ ლატფარის უღელტეხილზე გადასვლით. მაგრამ ეს გზა მხოლოდ ზაფხულობით არის ვარგისი. ზამთარში კი 7—8 თვით დაკეტილია. მეორე გზა მიდის ზუგდიდიდან ჯვარზე და ხაიშზე—ენგურის გაყოლებით ეს გზაც, მართალია, ძალიან უვარგისია, ხიფათიანი, შორსაც უვლის, მაგრამ სამაგიეროთ თითქმის მთელი წელიწადი შეიძლება მასზე სიარული.

არის კიდევ მესამე გზა ზემო-სვანეთის აღმოსავლეთის ბოლოდან—ქვემო-სვანეთის ბოლოზე გარდასავალი ზაგარის უღელტეხილით. მაგრამ ესეც მარტო ზაფხულობით მუშაობს და ამასთანავე მხოლოდ ადგილობრივი ხასიათისაა.

ჩვენ ავირჩიეთ საუკეთესო გზა ცაგერი. შემდეგ ცხენის წყლის გაყოლებით—ქვემო-სვანეთის სამივე თემი. აქედან—ლატფარის უღელტეხილით—ზემო-სვანეთში. აქ ვინახულებთ ყველაზე დასახლებულ და ცენტრალურ ადგილებს: კალს, მესტიას, ბეჩოს, ეწერს. შემდეგ გამოვბრუნდებით უკან ენგურის სათავისაკენ და ზემო-სვანეთის უკანასკნელ თემ უშგულიდან ზაგარისა და ლატფარის უღელტეხილებით—რაჭისაკენ.

გზა ძალიან გრძელია. ალბათ ლამაზი და თავისებურიც. მხოლოდ გვეშინია, ვაი თუ ამინდმა გვიმტყუნოს და ისე ჩავრჩეთ უშველთ გზასა და გზას შუა.

ქუთაისიდან გზა სულ გაშლით მისდევს რიონის მარჯვენა ნაპირს 10—15 საჟენის სიმაღლეზე. ის გვერდით იკლაკნება ხან ერთი კლდისა და ხან მეორის მოსახვევში. სიარული ფრთხილათ უნდა: გზას კიდელი არა აქვს, გადაცდენა სულ ადვილია და მაშინ კი ვინღა დაიღწევს თავს რიონის გადარეულ ტალღებს.

პირდაპირ მოვჩერებივართ ხომლის გვერდ-ჩამოხლეჩილ მაღალ მთას, რომელიც მედიდურათ დასცქერის თავის დაბლა მყოფ მთა-გორიან არე-მარეს.

გზაზედ ბლომათა გვხვდებიან ბარიტის ქვაზე მომუშავენი. ეს ქვათეთრი არის ხშირი მარილივით. ასეთი მაღნები მრავლად არიან გაბნეული ამ არე-მარეზე. მას რეცხავენ მდინარეში და შემდეგ აგზავნიან ბათომში. იქ ფქვავენ და ხმარობენ სხვადასხვა ფერის საღებავებში.

ეს ბარიტი ყველაზე მრავლად მოიპოვება ს. მექვენას ახლო-მახლო, ქუთაისიდან დაახლოვებით 30 ვერსზე. გარეცხილი და გაწმენდილი ალაგობრივ ღირს ფუთი ექვსი-შვიდ შაური. ქუთაისამდის ურმით ზიდვაც—ფუთზე სამი შაური.

ამ ქვას შოულობენ უმთავრესად გლეხები და შემდეგ გამზადებულს ჰყიდიან მოიჯარადრეებზე.

გლეხების სიტყვით ყველაზე მრავლად სოფლის მაღლობებზე მოიპოვება ბარიტის მაღნები, მაგრამ ურმით მიდგომა ძალიან ძნელია და ამიტომ ისევ დაბლობებში გვიხდება იმისი ძებნაო.

იქვე ერთ იტალიელს ჰქონია ამ ქვის დასაღქველ-დასამზადებელი ქარხანა. ომის დროს შეუჩერებია მუშაობა. ეხლა მხოლოდ ცარიელი ქვის კედლებია აყუდებულან გამოტრებულ არე-მარეზე.

* *

გზა უფრო და უფრო ვიწროვდება, მოსახვევები ხშირდება და რიონსაც უფრო მაღლიდან დავცქერით ციცაბ კედლებით პირდაპირად ჩამოჭრილ კლდეებიდან.

ჩვენს მგზავრობაში ხალისი შეაქვს ამხ. შამშე ლეჟავას. ის თავისი ენაწყლიანი ხუმრობით ყველას გვამხიარულებს.

შორშან ამ გზაზე გამოუტარებია ვიღაც ნაცნობი მგზავრი. გულის ფანცქალით გადმოჰყურებს ამ ქვესკნელში ჩაღუპულ რიონის განგაშს და იძახის შეშინებული:

— ვაი, ვაი! მუდამ ჩემი თვალით შემ სიკვდილს ვეძიებდი, ეს განსაცდელი!

როცა შამშეს შემთხვევით მასალა შემოაკლდება, მაშინ თავის საყვარელი ნიშა ხარჯვით [illegible] მოიგდებს სიტყვას:

— შოვისთანა [illegible] ხამ[illegible] აგარაკი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება, მაგრამ მე ჯერ არ ვიქებ, სანამ თქვენი თვალით არ ნახავთო.

ხალხი რომ მოგვეწონება რამე ადგილი, მაშინათვე შამშეც წამოიჭრება:

— ეჰა, თქვენ რა შოვი ნახეთ! მაშინ რაღას იტყვით!

მაგრამ მარტო შოვის ქებით არ კმაყოფილდება ეს ჩვენი დაუცხრომელი შამშე. თურმე მთელი რაჭა სავსე არის ნახშირისა, ვერცხლისა, ოქროსი და სხვადასხვა ძვირფასი მადნეულობით. ყოფილა ვინმე სიმონ მაჭავარიანი, რომელმაც თურმე იცოდა რაჭის ყოველი მადნეულობა.

— მაგრამ ისე მოკვდა, რომ არავის გაუზიარა ეს თავისი ცოდნაო.

* *

11 საათი იქნებოდა—მივედით ს. ტვიშში.

აქ იმყოფება მგზავრების პირველი სიკეთე—სამიკიტნო. ჩვენ მისვლისას საარქივო მოგონებასავით მოწყენილად ჩუტუტინებდა არღანი. როცა გაიგეს—მახარაძე არის აქაო—პატივისცემის ნიშნათ სასწრაფოდ ჩააკმინდინეს ხმა.

იქ სახელდახელოდ წავიხემსეთ და ისევ განვაგრძეთ გზა.

ერთი საათის შემდეგ მივედით ს. ალპანაში, რომელიც იმყოფება ქუთაისიდან 50 ვერსზე.

ალპანის არე-მარეში მრავლად მოიპოვება ლიტოგრაფიის ქვა, მაგრამ დამუშავება არ სწარმოებს.

გაიმართა გლეხების კრება. რომ დაიცხრალოს ყველა იქ ნალაპარაკევი, ხელში შერჩება შემდეგი:

1) სკოლა უმწეო მდგომარეობაშია შენობის უვარგისობის გამო;
2) გლეხკომი მკვდარია;
3) კოოპერატივის აუცილებლობა,
4) ადგილობრივი წითელარმიელები მართავენ წარმოდგენებს გლეხობის განსავითარებლათ, მაგრამ კომკავშირელები გვიშლიან ხელს ყოველნაირათ უბრის გულისთვისო.

* *

აქედან კი მშვიდობით, თანამედროვე ტრანსპორტის უკანასკნელო ნიშანო, ავტომობილო!

უბლა კი ძველი რაინდებივით უნდა მივესხდეთ ცხენებს და ისე ვიაროთ, ვინ იცის სად [illegible]

ავთვალიერ-ჩავთვალიერე ჩვენი ბედაურები. ყველაზე არც-ერთი არ [illegible]. სწორეთ ისეთები არიან, როგორიც ჩვენსთანა [illegible].

დრომ აღარ გვკარგვით. მოვაჯექით და გავუდექით ცაგერის გზას, რომელიც იმყოფება ალპანიდან ოცი ვერსის სიშორეზე. გადაუხვიეთ ოკრიბის სამხედრო გზას და შევუდექით მაღალ გზის მარცხნივ მდინარე ლაჯანურის გაყოლებით.

ოკრიბის სამხედრო გზა სწორეთ ეხლა დაგვიტოვეთ. თუმცა ჯერჯერობით ამ გზაზეც შეიძლება სწორეთ სიარული. აქა-იქ მარხილებიც გვხვდებიან. წყალ-წყვილათაც კარგად მივდივართ.

მხოლოდ გზა ძალიან მაღალია და თვით ლაჯანურის მდინარე კი ისე ღრმათ ჩაღუპულა ქვესკნელში, რომ ჟრუანტელსა ჰგვრის ადამიანს იქ გადავარდნის გაფიქრებაზე.

* *

შამშე და ფილიპე წინ მიდიან. ალბად შამშე ბევრ საყურადღებო რამეს მოუთხრობს შოვის შესახებ.

სხვები მივდივართ ერთმანეთთან გუნდების შერჩევით. ჩვენთან ერთად მოდიან კიდევ რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკები და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი.

გავიარეთ 7—8 ვერსი. უკან ჩამორჩენით მივდივართ მე და ფილიპეს მდივანი—მენაბდე.

ორ ქართველ კაცს როგორ დაელევა საქვეყნო საქმეებზე მსჯელობის მასალა! ჩვენც გულმოდგინეთ ვსაუბრობთ ერთის ავზე და მეორის კარგზე. მენაბდე როგორღაც ჩამორჩენილი იყო რამდენიმე ნაბიჯით. მე განვაგრძობ დაწყებულ საუბარს.

ერთიც ვნახოთ უკანიდან მოისმის მილიციელის სულ გამწარებული ძახილი. მოვიხედე—მენაბდე აღარსადა სჩანს.

თურმე ამ ჩვენ კაი ბიჭს თავისი ქმნული ბედაურით წაცდენია ფეხი და ყირამალა გადასულა ხრამში. წინ მენაბდე მიკოტრიალობს და უკან კი ცხენი მისდევს. ასე ჩაგორდენ ხუთი საჟენის სიღრმემდის.

ურწმუნო ვარ, მაგრამ მაინც „სასწაულს" უნდა მივაწერო, რომ ასე უვნებლათ გადარჩენ ერთიც და მეორეც. ბედზე სწორეთ მიწიანი ადგილი შეუხვდათ. რამდენიმე საჟენს იქით რომ ყოფილიყო, კლდეებზე ისე დაიჩეჩქვებოდენ, რომ ასტამით ასაფხეკი გახდებოდენ.

მე ვისარგებლე ამ შემთხვევით და მენაბდეს მაშინათვე მტკიცე პირობა ჩამოვართვი, რომ კაი მალარიჩი გადაიხადოს, თუ კიდევ გვეწერია მშვიდობით დაბრუნება თბილისში.

ისიც დამთანხმდა. ასეთ ადგილას კაი დაპირებისა და კაი კაცობის მეტი რა შეგვრჩება!

* *

4 საათი იქნებოდა, როცა სოფელ ორბელში შევედით.

ეს სოფელი მდებარეობს ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე. სხვათა შორის ამ მდინარეზე მშვენიერი გრძელი ხიდი გაუკეთებიათ შარშან, რასაც სიამაყით აღნიშნავენ ადგილობრივი მუშაკები.

სოფლის თავზე ამაყი ორბივით გადმომდგარა ძველის-ძველი ლამაზი ციხე. გარშემო კი შემორტყმია მწვანით მოსილი მთები და ზაფხულის მწველი ეშხით აღელვებს მთელ არემარეს.

აქაც სასწრაფოდ გაიმართა კრება. გამოირკვა:

1) ორბელსა და ლეშკერში დიდი მეწყერი სცოდნია, რაც ხალხს ძალიან აზარალებს. გლეხობა მოითხოვს იქიდან გადასახლებას.
2) ერთად-ერთი ადგილი, სადაც გლეხკომს უნარი გამოუჩენია: გაჭირვებულებს დახმარებია და ს. ძულერში აგარაკის მსგავსი რაღაც მოუწყვია.
3) ხალხი მოითხოვს ექიმს.
4) არის კოოპერატივი და ხალხიც მადლობელია. ნავთი იყიდება 6 კაპეიკათ.

აქ ითქვა პირველათ გადაჭრილი სიტყვა გზის გაყვანის შესახებ.

ბაჟების მოხსნასაც მოითხოვენ ტყეზე და საბალახოზე. თუ სვანებს აძლევთ უბაჟოთ, ჩვენც ისე მოგვეცითო.

ფილიპე სცდილობს ყველა დაამშვიდოს, უსამართლო მოთხოვნილება განუმარტოს და სამართლიანი—დააკმაყოფილოს. ხალხიც ნდობით ისმენს მცხოვანი ბელადის სიტყვებს.

ორბელის გაღმით არის ს. ახალჭალა. აქედან ყოფილა ძველი რევოლიუციონერი შამშე გელოვანი, ის მოჰკლეს გარდაფხაძეებმა სვანეთში 1905 წელში რევოლიუციურ პროპაგანდის გაწევისათვის.

* *

ორბელიდან გზა უფრო შევიწროვდა და თანაც უფრო მთა-გორიანი გახდა.

ერთი საათის ტყე და ტყე ჩაკეჩქის შემდეგ გადავედით ორბელის ქედზე და ჩვენ წინ გადაიშალა ცხენის წყლის კარგა ფართე ველი. მის გაღმით, მარჯვენა ნაპირზე კი მოსჩანს ლეჩხუმის სამაზრო ცენტრი—ცაგერი.

ქალაქია თუ სოფელი?

აქ ვერ ვხედავთ ვერც გუმბათებს, ვერც ორსართულიან სახლებს, ვერც ფერად სახურავებს (ღვთის წინაშე, არც ველოდით ქალაქის ასეთ დამახასიათებელ სახეს).

ცაგერის მაღლობებზე გადმომდგარა სამი ძველებური ციხე. ერთი ცხენისწყლის მარჯვენივ და ორიც—მარცხნივ. სახელად ჰქვიათ: „დაუკვირდი", „კარგათ დახედე", „არ გაუშვა".

ამგვარი სახელები სხვაგან არსად არ გამიგია.

ცაგერისკენ გარდასავალი ხიდი იმყოფება ნახევარ ვერსით მაღლა ორი კლდის კარებით შეკრულ ნაპირებზე, საიდანაც ტყვეობიდან დახსნილივით მოარღვევს არეს აქაფებული ცხენისწყალი.

ხიდთან დიდძალ ხალხს მოუყრია თავი. ფილიპეს მიახლოვებაზე გაისმის თოფის სროლა, მუსიკა და ვაშას ძახილი.

საღამოსვე ცაგერში გაიმართა დიდი კრება.

ყველა გადაწყვეტით მოითხოვს გზების გაყვანას. ამასთანავე კმაყოფილებით აღნიშნავენ წრევანდელ გადასახადების სიმცირეს.

როცა ერთი უპარტიო გლეხი ლაპარაკობდა ყოვლად წესიერად, სწორედ ამ დროს ხალხში შეჰქნა ერთმა ვიღამაც სულგამწარებული ყვირილი.

— თქვენ სპეკულიანტს ალაპარაკებთ! რა უნდა სპეკულიანტს მანდაო!

ამ ყვირილით ის გავიდა ხალხიდან და თვალსაც დაეკარგა.

მე დამაინტერესა ამ პირის ქცევამ და იმის შესახებ გამოვკითხე ერთ ადგილობრივ პასუხისმგებელ მომუშავეს.

ის ყოფილა ვინმე ილიკო მურცხვალიძე. შარშან ალმასკომის თუ კომმეურნეობის თავმჯდომარეთ ყოფილა. პარტიულ კაცადაც ითვლებოდა. მისთვის მიუნდვიათ ალმასკომის შენობის აგება. ფულიც ბლომათ უძლევიათ. ამ ხელ-ბარაქიანსაც ალმასკომის სახლი უშენებია, უშენებია, მაგრამ ვერასგზით ვერ დაუმთავრებია. სამაგიეროთ თავისთვის კი ხელდახელ აუგია მწვანე ფერდობზე მშვენიერი სახლი.

ბოლოს გაუგიათ. პარტიიდან დაუთხოვნიათ. სამართალშიც მიუციათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმ კაცს ბეწვიც არ აჭრენია.

თვით ცაგერი ჩვეულებრივ მოზრდილი სოფლიდან არაფრით არ განსხვავდება, სახელი რომ არ ერქვას ქალაქისა.

ძალიან გვეინტერესებოდა მისი არე-მარის დათვალიერება, მაგრამ უკვე დაღამდა. ხვალ დილა-ადრიან კი უნდა გავუდგეთ სვანეთის გზას.

მაშ მოსვენება სჯობია, რომ ხვალ ჯან-ღონით შევუდგეთ საზღაპრო ქვემო სვანეთის კლდე-ღრიან ბილიკებს.

დავ. მეტრეველი.

# ყოფ. ემიგრანტი მენშევიკი მუშები თბილისის რკინისგზელთა კრებაზე

გუშინ, საღამოს 7 საათზე, პლეხანოვის სახელობის თეატრში შესდგა დეპოს და მთავარი სახელოსნოების მუშათა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ პარიზიდან ეხლახან დაბრუნებული ყოფილი ემიგრანტი მენშევიკ-მუშები განო ალიხანაშვილი, გიორგი სულაქველიძე, ან. სხულუხია და თედო დემეტრაშვილი.

მათ გამოჩენას სცენაზე მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“.

სხდომა გახსნა ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. ქავთარაძემ.

პირველი სიტყვით კრებას მიმართა ძველმა მუშამ ამხ. კუპრაშვილმა, მან დაახასიათა გამოფხიზლების პროცესი, როგორც აქაურ, ისე საზღვარგარეთ გახიზნულ ქართველ მენშევიკებს შორის. შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა საფრანგეთიდან დაბრუნებულ ამხ. სულაქველიძეს.

### ამხანაგ სულაქველიძის მოხსენება

— უპირველეს ყოვლისა,— იწყებს თავის სიტყვას ამხ. სულაქველიძე,—მე ვესალმები დღევანდელ კრებას და თქვენი სახით საქართველოს მშრომელებს „თავისუფალ“ პარიზიდან „ჯოჯოხეთურ“ საქართველოში ჩამოსულ ქართველი მუშების სახელით.

— თქვენ იცით,—განაგრძობს ამხ. სულაქველიძე, თუ რა სიმწრით დავტოვეთ ჩვენ 1921 წელს კოჯორის მთები, თუ რა ბრძოლით გავიარეთ რიონის სადგური, თუ რამდენი სისხლი დაიღვარა გურიის სხვადასხვა კუთხეებში.

ყველაფერი ეს ხდებოდა იმ იმედით, რომ ჩვენ დახმარებას მოველოდით მეორე ინტერნაციონალისაგან.

შემდეგ მთავრობა საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ჩვენ კი შევუდექით საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობას; ვაწყობდით დემონსტრაციებს, პროტესტებს ვაცხადებდით და სხვა. ჩვენ შევადგინეთ საპროტესტო ბარათი და გაუგზავნეთ ლოზანას კონფერენციას. ეს პროტესტი ჩვენ საიდუმლოთ გავატანეთ ვლასა მგელაძეს და მოხუც არალაშვილს. ჩვენ გვჯეროდა, რომ ლოზანას კონფერენცია გაამართლებდა ყველა ჩვენს იმედებს.

შემდეგ ჩვენ დაგვაპატიმრეს და გადაგვასახლეს საზღვარგარეთ. იქ ყოფილმა მთავრობამ უარი განაცხადა ჩვენს მიღებაზე, მაგრამ ჩვენ მაინც ჩავედით პარიზში. აქ ჩვენ თვალყურს ვადევნებდით ჟორდანიას „მთავრობის“ მოლაპარაკებას პუანკარესთან. ამ უკანასკნელმა ყოფ. მთავრობის დელეგაციას უპასუხა შემდეგი: „თქვენ პატარა ხალხი ხართ, რუსეთი კი დიდი სახელმწიფოა. თუ თქვენ ბრძოლა გაუმართეთ რუსეთს, უეჭველად დამარცხდებითო“. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, რამიშვილი მაინც განაგრძობდა მუშაობას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და აჯანყების მოსაწყობად საქართველოში.

საფრანგეთიდან მუშაობის ცენტრი ემიგრაციამ გადაიტანა ინგლისში, რადგან იქ მოსალოდნელი იყო მაკდონალდის გამარჯვება. მაკდონალდი, მთავრობის თავმჯდომარედ არჩევამდე, სულ იმას გაიძახოდა, რომ არ დავაყოვნებ ბოლშევიკების ცნობასო. პრემიერად არჩევის შემდეგ კი, მან სინკლერის (კონსერვატიულ პარტიის დეპუტატი) შეკითხვაზე ასეთი პასუხი გასცა: „მე ბოლშევიკებს ვიცნობ იქ, სადაც მას ხალხი სცნობს“.

სწორედ ამ დებულებიდან გამოდიოდა რამიშვილის მთავრობა, როდესაც ის აჯანყებას აწყობდა საქართველოში.

ჩვენ სწორედ იმიტომ გვტკივა გული, რომ ასეთი ორაზროვანი ფრაზების გამო იღვრებოდა საქართველოში უამრავი სისხლი. აქედან იწყება ჩვენი ოპოზიცია. ჩვენ რომ მოღალატეები და გამცემლები ვიყოთ, განა ასე მხურვალედ მიგვიღებდა ქართველი ხალხი. ჩვენ რომ მოსყიდულები ვიყოთ, განა შევსძლებდით დამშვიდებული სინიდისით გამოსვლას თქვენს წინაშე? გარწმუნებთ, რომ არა.

შემდეგ ამხ. სულაქველიძე ეხება საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას და ამტკიცებს, რომ საქართველოსთვის საბჭოთა რუსეთი უფრო ხელსაყრელი მოკავშირეა, ვიდრე ევროპა.

### ამხ. დემეტრაშვილის სიტყვა

ამხ. დემეტრაშვილი ეხება მუშათა კლასის მდგომარეობას ევროპაში და ამბობს, რომ მუშათა კლასს ევროპაში არა აქვს საშუალება დაიცვას თავისი თავი წარმოებაში. ის მხოლოდ ნედლი მასალაა, არც მეტი, არც ნაკლები. მას არა აქვს პოლიტიკური უფლებები.

აქ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს მუშათა კლასის ჩაგვრაში ხელს უწყობენ მეორე ინტერნაციონალში შემავალი სოციალისტური პარტიები, რომლებიც მთელ თავის იმედებს ევროპის დემოკრატიაზე ამყარებენ.

მაგრამ ევროპაში ყოფნამ სამი წლის განმავლობაში ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ევროპის დემოკრატიამ მოჭამა თავისი დრო, ის დამპალია, მის შესაცვლელად უნდა მოვიდეს პროლეტარული მასა; ამ მასას კი ხელმძღვანელობს კომუნისტური ორგანიზაცია—მესამე ინტერნაციონალი.

### ამხ. სხულუხია

ამხ. სხულუხია ეხება იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს ის და მისი ამხანაგები გამოსულიყვნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

— ყოფილი მთავრობა—ამბობს ამხ. სხულუხია—ახლო არ გვიკარებდა, რადგან ეშინოდა, რომ ჩვენ გავიგებდით საქმის ნამდვილ ვითარებას.

ჩვენ პარიზში იძულებული ვიყავით მოგვეწყო არალეგალური კრებები, სადაც ვილაშქრებდით ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობამ დევნა დაგვიწყო. ყოველისმხრივ ხელს გვიშლიდენ ჩვენი აზრების გავრცელების საქმეში.

ჩვენს გამოსვლას მენშევიკურ პარტიიდან ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მან კავშირი დაიჭირა ბურჟუაზიულ პარტიებთან და ჩვენს პარტიაში დაარსდა ფაშისტური პარტია „თეთრი გიორგის“ სახელწოდებით.

ჩვენ დავტოვეთ პარიზი და ჩამოვედით საქართველოში იმ მიზნით, რომ ხელიხელ ჩაკიდებული ვიმუშაოთ არსებულ ხელისუფლებასთან საქართველოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს საბჭოთა წესწყობილებას! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

---

ორშაბათს, 21-სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია
თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების

## მორიგი სხდომა:

1. კომუნალური . . . . (წითელი თეატრი)

დღის წესრიგი:
1) მოხსენება „რუოს“-ის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

2. განათლების . . . . (აღმასკომის ოთახი № 32)

დღის წესრიგი:
1) სამი თვის სამუშაო გეგმის განხილვა,
2) სკოლებთან არსებული დამხმარე საბჭოების დებულების საბოლოო განხილვა,
3) განყოფილების ინფორმაცია სასწავლო წლის დაწყების წინასწარ მუშაობაზე,
4) მიმდინარე საკითხები.

3. ჯანმრთელობის . . . (აღმასკომის ოთახი № 57)

დღის წესრიგი:
1) სექციების ბიუროს მოხსენება სექციის მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ,
2) მოხსენება 1925—26 საბიუჯეტო წლის გასავლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

4) სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის . (აღმასკ. ოთ. № 28)

დღის წესრიგი:
1) საქონლის ჭირთან ბრძოლა მაზრაში,
2) მოხსენება მიწათმოწყობის შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

5. სამხედრო . . . . . (აღმასკომის დარბაზი).

დღის წესრიგი:
1) სექციის ბიუროს მოხსენება თავის მუშაობის შესახებ,
2) სექციის სამი თვის სამუშაო გეგმის განხილვა.
3) მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით ყველა საბჭოს წევრის დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

თბ. საბ. სექციების მუშაობის ხელმძღვანელი არ. რუხაძე.

Б.1739 2—2

---

# პარტიული ცხოვრება

ამა წლის 25 სექტემბერს მოწვეულია

## საქართველოს კომპარტიის ოლქკომებისა და მაზრკომების საორგანიზაციო განყოფილებათა

## გამგეების თათბირი

დღის წესრიგი

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. საორგანიზაციო განყოფილებათა მუშაობის გეგმის პროექტი.
3. დებულებები საორგანიზაციო განყოფილებებზე.
4. დებულებები თემკომებზე და თემკომების სისტემაზე გადასვლის პროექტი.
5. პარტიაში წევრთა მიღების შესახებ.
6. პარტაქტივის ცალკე კატეგორიათა უსაზღვრო დატვირთვის აღმოფხვრის შესახებ.
7. სახელმწიფო და საზოგადო სამეურნეო სამუშაოებზე მუშებისა და გლეხების წამოყენების შესახებ.
8. საინფორმაციო სასტატისტიკო ქვე-განყოფილებათა დაყენების შესახებ.
9. სააღრიცხვო განყოფილების დაყენების შესახებ.

წინადადება ეძლევა საორგანიზაციო განყოფილებათა ყველა გამგეების ადგილებიდან მოხსენებისა და აგრეთვე დღის წესრიგში დასმულ ყველა კითხვებისათვის მოამზადონ მასალები და ოცდა ოთხისთვის იყვნენ ცეკაში.

ცეკას საორგანიზაციო განყ. გამგის მაგ. მირიმანოვი.

საქ. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომ-ების სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირზე დასასწრებლად ჩამოსული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ საქ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტში (სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილებაში) ამხ. ზარათაშვილთან დღის 10 საათ. 2-მდე. თათბირი გაიხსნება 20 სექტ., საღამოს 5 საათზე. მუშათა სასახლის წითელ დარბაზში (რუსთაველის 17).

ც. კ. საგიტ. საპროპ. განყოფილება.

## პროპაგანდის საკითხები

### პოლიტცოდნის საღამოს სკოლები და თვითგანვითარების წრეები

დღემდე პარტგანმანათლებელი მუშაობა სხვათა შორის იმითაც მოისუსტებდა, რომ ქალაქის და სოფლის სინამდვილეში ამ მუშაობის ორგანიზაციული ფორმა და შინაარსი პროგრამის მიხედვით ნაკლებად განირჩეოდა ერთი-მეორისაგან.

აქ გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობის ის ფორმა, რაც ქალაქის და საერთოდ მუშათა რაიონებისათვის შესაფერი არის, სოფლის სინამდვილესათვის ის შეუფერებელია და პირიქით. ამისათვის პარტგანმანათლებელ მუშაობის ის ორგანიზაციული ქსელი, რომელიც წინა წერილებში აღვნიშნეთ პოლიტცოდნის მოძრავ სკოლების და ყრილობა-კურსების სახით, მუშათა რაიონებისათვის მიუღებელი და გამოუსადეგარია.

**მუშათა რაიონებში უნდა დაარსდეს პოლიტცოდნის საღამოს სკოლა. სადაც ასეთი არსებობს, მათი რიცხვი გადიდებული უნდა იქნეს.** ასეთი სკოლების პროგრამა შესაძლებელია უფრო ვრცელი და შინაარსიანი იქნეს, ვინემ სოფლის ორგანიზაციების პოლიტცოდნის პროგრამაა, ვინაიდან ამის შესაძლებლობას იძლევა პარტიის წევრთა მეტი მომზადება მუშათა რაიონებში, სადაც ამხანაგებს წერა-კითხვა და პოლიტიკური ცოდნა გაცილებით უფრო მეტი აქვთ, ვინემ სოფლად.

პოლიტცოდნის საღამოს სკოლები არსდებიან ხანგრძლივი დროით, სამი ან ექვსი თვის ვადით. სკოლებში იმეცადინებენ პარტიის წევრები და კანდიდატები, აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაციებსაც უნდა დაეთმოთ რამოდენიმე ადგილი. პოლიტცოდნის საღამოს კურსებმა ისეთი ცოდნა უნდა მისცენ მსმენელებს, რომ თავისუფლად შეიძლებოდეს მათი გადარიცხვა საბჭოთა-პარტიულ პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში.

საღამოს სკოლებში გარდა პოლიტცოდნის ჩვეულებრივ პროგრამისა, ამხანაგები უნდა ღებულობდენ ცნობებს ბუნებისმეტყველებიდან და ასტრონომიიდან. ასეთი შინაარსის პროგრამის გავლით საღამოს სკოლები მოგვცემენ რამოდენიმეთ დასრულებულ სახის პროპაგანდისტთა ახალ კადრსაც. სკოლის ხელმძღვანელებმა თავიდანვე უნდა იქონიონ მხედველობაში პროპაგანდისტთა კადრის მომზადების აუცილებლობა.

აი ასეთი არის ის ღონისძიება, რომელიც მიღებული უნდა იქნას მუშათა რაიონების ორგანიზაციებში პარტგანმანათლებელ მუშაობის დარგში.

პარტგანმანათლებელ მუშაობის უმთავრესი ორგანიზაციული ქსელი პოლიტცოდნის აღნიშნულ სკოლების სახის მიხედვით იწურება. მაგრამ ამით მეცადინეობის ნორმალურად და რეგულიარულად წარმოება შეუძლებელია. აქ ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სახის სკოლაში უნდა შევიდენ პოლიტცოდნის მოძრავ, სტაციონალურ ან საღამოს სკოლების კურსდამთავრებულნი. აქ პასუხი ერთია: **ადგილობრივად პარტიის და პოლიტგანათლების ხელმძღვანელ ორგანოებისაგან მიღებული უნდა იქნეს ღონისძიებანი თვითგანვითარების წრეების დაარსებისათვის.**

ამ საკითხის შესახებ ბევრი რამ იწერება პარტიულ პრესაში, მაგრამ ამ მხრივ რეალურად ყველაფერზე უფრო ნაკლები კეთდება. ამის მიზეზი, როგორც ვიცით, ჩვენს უკულტურობაში და მოუმზადებლობაში მდგომარეობს, იმდენათ მოკლებული ვართ ცოდნას და მომზადებას რომ ყოველ ფეხის გადადგმა გვიძნელდება სხვისი ე. ი. ხელმძღვანელის გარეშე.

თვითგანვითარების წრის მუშაობა შესაძლებელია იქ, სადაც თვითმოქმედება და ინიციატივა არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პირობები კი ამ ბოლო დროს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში ნაწილობრივად უკვე გვაქვს, ამასთანავე ეს აქტივობა და თვითმოქმედება თანდათანობით ძლიერდება იმის მიხედვით, რამდენადაც ძლიერი და საქმიანი იქნება პარტგანმანათლებელ მუშაობის აღნიშნულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა ნაყოფი.

თვითგანვითარების წრის ორგანიზაცია უნდა მოხდეს იქ, სადაც პოლიტცოდნის სკოლების გამოშვებას ადგილი ექნება, რადგან მათ, პოლიტსკოლას კურს დამთავრებულთ ნაწილობრივად ექნებათ იმდენი მოხერხება და თვითმოქმედების უნარიანობა, რომ თვითგანვითარების წრეში იმეცადინონ.

თვითგანვითარების წრეების ორგანიზაციის საკითხის შესწავლას რამოდენიმე საათი პოლიტცოდნის სკოლებში დაეთმობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ამ საქმის განხორციელებისათვის. საჭიროა აქედანვე იქნეს მიღებული ღონისძიებანი თვითგანვითარების წრეებისათვის სპეციალურ ლიტერატურის შექმნისათვის სხვადასხვა საკითხებზე. თვითგანვითარების წრეების არსებობა და მუშაობა ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რაკი მათი მეცადინეობა თვითმოქმედებას ემყარება, ის თითქოს არავითარ ხელმძღვანელობას არ მოითხოვდეს. სამაზრო თუ საოლქო კომიტეტთან ან პოლიტგანთან უნდა არსებობდეს განსაკუთრებული კომისია, რომელიც იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას გაუწევს წრეებს. ამ ხელმძღვანელობაში უმთავრესი იქნება მეთოდიური მხარე, ე. ი. თვითგანვითარების წრეებისადმი ამა თუ იმ თემის მიცემა დასამუშავებლად და საერთოდ მითითება იმ მასალებზე, რომელთა მიხედვით უნდა დაამუშაონ მიცემული თემა.

ამნაირად თვითგანვითარების ორგანიზაცია ჩვენი მუშაობის მორიგი ამოცანაა.

ქ. გორდელაძე.

---

# პარიტეტული პროცესის შემდეგ

ჩვენი მოლოდინი გამართლდა. საქართველოს პროლეტარიატის დიქტატურამ გვიჩვენა გზა სულგრძელობისა და არა შურისძიების. პარიტეტული კომიტეტის პროცესი გათავდა ისეთი განაჩენით, რომ ბრალდებულთათვის დღეს სდგას უკვე არა ფიზიკური, არამედ პოლიტიკური არსებობის საკითხი; ჩვენ გვგონია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაც დადებითად მოსალოდნელია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ პარიტეტული კომიტეტის მეთაურებმა სასამართლოში განიმეორეს დეკლარაცია ქართულ პოლიტიკური პარტიების თანამშრომლობაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ყარიბი ასე ახასიათებს პროცესის განაჩენს: „თაყვანს ვცემ პროლეტარიატის ბრძნულ სასამართლოს და ვაცხადებ, რომ თუ დღემდის ვრაცხდი თავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მოქალაქედ მოვალეობის გამო, ამიერიდან მე ვამაყობ ამ დიადი სახელწოდებითო“.

პარიტეტული პროცესით გათავდა ხანა სამოქალაქო ომისა საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში და დაიწყო ერა მშვიდობიანი ევოლიუციისა (რასაკვირველია, თუ ჩხენკელმა, რამიშვილმა და კედიამ ვერ განახორციელეს ახალი ავანტიურისტული პროექტები).

⁂

პარიტეტული პროცესის დროს ჩემი გვარიც იყო დასახელებული (უტაქტოთ იასონ ჯავახიშვილის მიერ) და ამიტომ ჩვენების მაგიერ post factum მოკლედ ვიტყვი ჩემს განმარტებას, თუ მე რა შუაში ვიყავი!

როგორც „ახალი საქართველოს“ № 1-ში განვაცხადე, მე ვკისრულობ პასუხისგებას 1924 წ. მაისამდის, როცა ნ. ჟორდანიამ გაუქმებულად გამოაცხადა პარიზის ძველი ინტერპარტიული კოლეგია.

ვიცოდი თუ არა აჯანყების ამბავი? მე ვიცოდი შემდეგი: ვიცოდი, რომ ნ. ხომერიკის წასვლა აჯანყების სამზადისი იყო, ვიცოდი, რომ გ. ჯუღელი და ბ. ჩხიკვიშვილიც ამისათვის წავიდნენ; იმიტომ ვიცოდი, რომ მეც მომმართეს წასვლის წინადადებით, მაგრამ მე უარი ვსთქვი; ხოლო არ ვიცოდი, თუ ჩხიკვიშვილის და ჯუღელის ჩავარდნის შემდეგ აჯანყება მაინც მოხდებოდა; ამიტომ 30 აგვისტოს ტელეგრამა ჩემთვისაც ისევე მოულოდნელი იყო, როგორც მთელი პარიზის ქართული კოლონიისათვის.—ხოლო თუ რა დასკვნები გავაკეთე აჯანყების მეორე დღეს, ეს ყველას მოეხსენება...

რა უფლებით „ვუღალატე“ შემდეგ ემიგრაციას და გადავედი „მათკენ“!? იმ უფლებით, რა უფლებითაც ხდება ხოლმე პოლიტიკურ მოღვაწეთა ევოლიუცია მარცხნივ ან მარჯვნივ. ყოველ შემთხვევაში საქართველოში, სადაც თითქმის ერთნაირი კლასობრივი სოციალური პირობებია, ინტელიგენტისათვის მარჯვენა ფრთიდან მარცხნივ გადაწევა უფრო ნორმალური უნდა იყოს, ვიდრე მილერანის ან მუსოლინის გადასვლა სოციალიზმიდან ფაშიზმში; რატომ არ შეუძლია ქართველ ნაციონალისტს იცნოს და აღიაროს ის ფაქტი, რომ გასაბჭოება არის არა მარტო პროლეტარიატისა და გლეხების სოციალური რევოლიუცია, არამედ რევოლიუცია, რომელმაც გაანთავისუფლა არა რუსული ეროვნებანი ძველი რუსეთისაგან. და თუ საბჭოთა აღიარებისთვის საჭიროა პროლეტარიატისადმი პატივისცემა,—ამ სტრიქონთა დამწერს ეს პატივისცემა შეთვისებული აქვს არა „ზაკაზით“, არამედ ფრანგულ ქარხანაში ერთი წლის განმავლობაში ფიზიკური მუშაობით. ყოველ შემთხვევაში მე ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში დაბრუნება შემიძლია როგორც არა მემარჯვენეს, რადგან ევროპაში ყოფნამ დამარწმუნა, რომ მსოფლიო მარჯვნივ კი არა, მარცხნივ მიდის...

გვეკითხებიან, გვაქვს თუ არა საზოგადოებრივი პროგრამა? რასაკვირველია გვაქვს და ეს პროგრამა არ ამოიწურება მარტო პერსონალური ამნისტიით. ჩვენ გვსურს აქტიური მონაწილეობის მიღება საბჭოთა პლატფორმაზე დამდგარი ქართული ინტელიგენციის საზოგადოებრივი აზროვნებისა და პრესის გამტკიცებაში როგორც უცხოეთში, ისე იქ, სამშობლოში. თუ ჩვენი პროგრამა საბჭოთა პლატფორმა არის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სახაზინო სტატისტების როლი გვინდა მივაკუთვნოთ არა კომუნისტურ ინტელიგენციას. არა, კრიტიკის უფლებას ვიტოვებთ, მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ ეს არ გვესმის, როგორც ბურჟუაზიული და მენშევიკური პარლამენტარული ოპოზიციის მეთოდები.

შალვა ელიავამ გლეხკომების ყრილობაზე სთქვა, რომ საქართველო არის უმთავრესად გლეხური სახელმწიფო. ფილიპე მახარაძემ ცაკის სესიის გახსნისას განაცხადა:

„პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს დიქტატურას ბურჟუაზიაზე სამოქალაქო ომის დროს. როდესაც ძალაუფლება უკვე დაპყრობილია, პროლეტარიატის დიქტატურა უნდა გამოიხატოს ხელმძღვანელობაში და ალორძინებითი მუშაობაში“.

ჩვენ გვახსოვს ლენინის გენიალური ჭკუის რჩევა ქართველ კომუნისტებისადმი; [illegible] მათ საქართველოს [illegible] ხელში [illegible] [illegible] პოლიტიკა ქართული ინტელიგენ[illegible] [illegible] ელემენტებისადმი.

ეს კომპრომისი საუბედუროთ თავის დროზე ვერ მოხერხდა (ჩვენ გვგონია ეხლა ორივე მხარეს შეუძლია თავისი შეცდომების მოგონება), მაგრამ დღეს ეს კომპრომისი უნდა მოხდეს.

რასაკვირველია, ჩვენ აღარ გვეკუთვნით ქართული ინტელიგენციის მაქსიმალისტ-ნაციონალისტთა ჯგუფს; რეალური პოლიტიკის თვალსაზრისით ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია არა ნაკლებ სავალდებულოდ შინაური, ვიდრე საგარეო პოლიტიკისათვის.

ამ მხრივ სავალდებულოდ არ მიგვაჩნია ჩვენთვის ის ლოზუნგები, რომელნიც, მიხ. კახიანის აზრით, გამოხატავენ ქართული ნაციონალისტური ინტელიგენციის პროგრამას:

„1. რუსეთის წითელი ჯარების გაყვანა საქართველოდან;

2. თბილისში სამსახურის ადგილების მთელი ასი პროცენტის შევსება მხოლოდ ქართველებით“ (იხ. „კომუნისტი“ ოქტომბერი 1924 წელი);

ჩვენ გვესმის, რომ რუსეთის წითელი ჯარის საქართველოში ყოფნა არის საკითხი არა საბჭოთა საქართველოს რეჟიმის სტაბილიზაციისა, არამედ საკითხი მთელი საბჭოთა ფედერატიული კავშირის სტრატეგიული დაცვისა ყოველნაირი იმპერიალიზმისაგან ხმელეთითა და ზღვით. ქართულ წითელ ლაშქარს არ შეუძლია დღეს ამ ამოცანის შესრულება.

რაც შეეხება ნაციონალიზაციის საკითხს, ჩვენ უნდა ვაღიაროთ ეროვნულ მკვიდრ უმცირესობის უფლება, პროპორციონალურად მათი რაოდენობისა, სამუშაო ჰქონდეთ საქართველოში. (ამას ამბობდა ოცი წლის წინედ პარიზში არჩილ ჯორჯაძის „საქართველო“).

ჩვენ არც იმათი აზრის ვართ, ვინც საქართველოს ფედერაციას ამიერ-კავკასიასთან უყურებს მხოლოდ, როგორც საქართველოს არმენიზაციას. ჩვენ არა ნაკლებ ვაფასებთ საქართველოს ფედერაციას ამიერ-კავკასიის მასშტაბში, სომხეთთან და აზერბეიჯანთან, ვიდრე ფედერაციას რუსეთთან; და ჩვენ გვგონია, რომ თუ დღეს არსებული ფედერატიული რეჟიმი ვერ აკმაყოფილებს სავსებით საქართველოს სუვერენიტეტის იდეას, ამისათვის საკმარისია კონსტიტუციის სათანადო შესწორებანი, თვით ამიერ-კავკასიის ფედერატიული კავშირის პრინციპების დაურღვევლად.

გრიგოლ ვეშაპელი.

---

*) მოგვყავს ინფორმაციის წესით გ. ვეშაპელის წერილი „ახალი საქართველო“-დან (№ 9—10).

რ е დ.

---

## წერილები ადგილებიდან

### ახალ-სენაკის თემკომების მდივნების მოკლევადიანი კურს-ყრილობა

3 დღის წინად სენაკში დასრულდა სამაზრო პარტიული კომიტეტის მიერ მოწყობილი თემკომის მდივნების მოკლევადიანი კურს-ყრილობა, რომელზედაც გამოცხადდენ მაზრის თითქმის ყველა თემების და ცენტრალური უჯრედების მდივნები. კურს-ყრილობის მიზანი იყო: თემკომების მდივნები მოკლეთ მაინც გაეცნობოდენ პარტიის ახალ ამოცანებს და მასთან დაკავშირებით, რაც მთავარია, სოფლად მუშაობის დღევანდელ საკითხებს. სწორეთ ამ მიზნით ყრილობაზე გაშუქებულ იქნა შემდეგი ძირითადი საკითხები: რევოლიუციონური კანონიერების გატარება სოფლად, აგიტაცია-პროპაგანდა სოფლად, კომუჯრედების და თემკომების როლი, კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ, მუშაობა კომკავშირსა და ქალთა შორის და სხვ. თემკომების მდივნებმა გულდასმით მოისმინეს ლექციები ყველა ამ საკითხებზე. ვიმედოვნებთ, რომ თემკომების მდივნები გაცნობილნი პარტიის ახალ ამოცანებს, თემებში დაბრუნებისას სწორად გაატარებენ და სასურველად გადასჭრიან ამ ამოცანებს,

მ. ბ—ა.

### ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ქ. ქუთაისი.

საერთოდ დასავლეთ საქართველოში ვერ ნახავთ ისეთ სოფელს და დაბას, რომ იქ არ არსებობდეს კლუბი. ეს, რასაკვირველია, დიდი სასურველი მოვლენაა, რადგანაც კლუბი ემსახურება მასების გათვითცნობიერების საქმეს. მაგრამ, სამწუხაროთ, აქა-იქ შეხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც კლუბი ვერ ამართლებს თავის ამოცანას. ეს, რა თქმა უნდა, მიეწერება საკლუბო მუშაობის მნიშვნელობის ვერ გაგებას და მისდამი უყურადღებობას. აი აქ ჩვენ გვსურს შევჩერდეთ ქუთაისის მაგალითზე. ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაციას აქვს თავისი საკუთარი კლუბი, რომელიც ადგილობრივი აღმასკომის მიერ სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. კლუბის ტექნიკურად გაუმჯობესების, კლუბში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გამოცხოველების მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის სათანადო ნაბიჯები გადადგმული. პარტიულმა და კომკავშირის კომიტეტებმაც ამას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება. გარდა ამისა, აუცილებლად საჭიროა კლუბის გამგეობაში არჩეული იქნან უფრო აქტიური ამხანაგები, კლუბის გამგესაც უნდა მიეცეს სამუშაო ხელფასი, რათა მან მეტის ენერგიულობით შესძლოს მუშაობა.

გრ. მ—ძე.

# კოოპერაცია

### კოოპერაცია აგვისტოში

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საქართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

საქართველოს ქვედა საფეხურის კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვა აგვისტოში შესამჩნევათ შეიცვალა წინა თვის სავაჭრო ბრუნვასთან შედარებით.

შესადარებლად აღებული იყო საქართველოს სხვადასხვა მაზრების 28 ქვედა საფეხურის კოოპერატივი. ამ კოოპერატივების ბრუნვა აგვისტოში ყიდვის მიხედვით უდრიდა 579.362 მან. (ივლისში კი 528.647 მან.) ე. ი. ბრუნვა გაიზარდა 9,6 პროცენტით. გაყიდვის მიხედვით ბრუნვა უდრის 621.668 მან. (ივლისში კი ბრუნვა შეადგენდა 637.734 მან.) ამრიგად ბრუნვა შემცირდა 2,5 პროცენტით.

თუ ცალ-ცალკე ავიღებთ ქალაქის და სოფლის კოოპერატივებს, მაშინ ბრუნვის რყევის სურათი გამოიხატება შემდეგში: ქალაქის კოოპერატივები, როგორც გაყიდვის, ისე ყიდვის მხრივ ბრუნვის გადიდებას იძლევიან პირველ შემთხვევაში 3,2 პროცენტით, მეორე შემთხვევაში კი 19,3 პროცენტით. სოფლის კოოპერატივები ორივე შემთხვევაში ბრუნვის შემცირებას იძლევიან (პირველ შემთხვევაში 17,7 პროცენტით და მეორე შემთხვევაში 18,2 პროცენტით.)

ამრიგათ, ჩვენი კოოპერატივების ცხოვრებაში აგვისტოს განმავლობაში ჩვენ სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას ვხედავთ: ქალაქის კოოპერატივების ბრუნვა გაიზარდა, სოფლის კოოპერატივების ბრუნვა კი, პირიქით, შემცირდა. ეს მოვლენა არ [illegible] აიხსნება მარტო ქვედა-საფეხურის კოოპერაციისათვის საქონლის მიწოდების კრიზისით. ეს კრიზისი უკანასკნელი 3—4 თვის განმავლობაში ერთნაირათ საგრძნობი იყო ყველგან: თუ ასეთ პირობებში აგვისტომ მაინც მოგვცა სოფლის ქვედა-საფეხურის კოოპერაციის ბრუნვის შემცირება, ეს უნდა მიეწეროს იმას, რომ აგვისტოში სასეზონო პირობების გამო გლეხობა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო მოსავალის აკრეფა ან და შეაგროვა ის და ვერ მოახერხა მისი გასაღება, ჩვეულებრივ ნაკლებ სყიდვითი უნარიანობას იჩენს.

## ეკონომიური ქრონიკა

### შეკერილი ტანსაცმელი.

„მოსკვოშვეის“ ა.-კ. განყოფილებამ ამ უკანასკნელ ხანებში გააძლიერა მოსკოვის სამკერვალო წარმოებების მიერ დამზადებული შეკერილი ტანსაცმლის შემოზიდვა, რომელიც გასულ თვეებთან შედარებით 60 პროც.-ით არის გადიდებული.

### მატყლის გატანა.

შინა, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობას თანახმად წელს ამიერ-კავკასიიდან გატანილი იქნება 140 ათასი ფუთი მატყლი. ამ რაოდენობიდან საქართველო გაზიდავს უცხოეთთან და რუსეთის ბაზარზე—75 ათასს ფუთს, აზერბეიჯანი—40 ათასს ფუთს, ხოლო სომხეთი—25 ათასს.

### მანუფაქტურის ნაკლებობა

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, ა.-კავკასიის ბაზარზე მანუფაქტურის ნაკლებობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ ჟამად საბჭოთა კავშირის სინდიკატები მანუფაქტურას აწვდიან იმ რაიონებს, სადაც მიმდინარეობს პურეული პროდუქტების დამზადება. ამ ერთ თვეში კვლავ აღდგენილი იქნება ა.-კავკასიისათვის მანუფაქტურის რეგულიარული მიწოდება.

## წითელ ჯარში

### მე-4 ქართულ ტერლეგიონის წლის თავი

დღეს, 20 სექტემბერს, მე-4 ქართული ტერიტორიალური ლეგიონის არსებობის ერთი წლის თავი შესრულდა.

წლის თავი უნდა გადახდილიყო ივნისში, რადგან ლეგიონი 1924 წლის ივნისში ჩამოყალიბდა. მაგრამ ეს თარიღი ლეგიონელებმა არ ისურვეს, და აი რატომ:

— დაარსებიდან ლეგიონს ისეთი პირები უდგენ სათავეში, რომლებიც წითელი ჯარისათვის შეუფერებელი იყვენ და რომლებმაც ისე აურ-დაურიეს საქმე, რომ ლეგიონი განადგურებამდე მიიყვანეს.

დგება აგვისტოს უკანასკნელი რიცხვები და მენშევიკური ავანტიურა ამჟღავნებს ამ ვაჟბატონთა ნამდვილ სახეს, რასაც შედეგად ჰყვება მათი გამოგდება ლეგიონიდან რკინის ცოცხით.

20 სექტემბრიდან დაიწყო ლეგიონის ახალ საფუძვლებზე შენება სწორედ ამიტომ დღევანდელი თარიღი უფრო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დღესასწაულისთვის, ვინემ ივნისი.

ლეგიონის ხელმძღვანელთა შემადგენლობა დღეს ისეთია, რომ ლეგიონს თამამად შეუძლია იამაყოს მითი.

რაც შეეხება წითელარმიელებს, მათ თავისი ნამდვილი სახე, ერთგულება მუშურ-გლეხური მთავრობისადმი და მამაცობა დაამტკიცეს მენშევიკების აგვისტოს ავანტიურის დროს, როდესაც ლეგიონი, როგორც ერთი კაცი, 14 დღის განმავლობაში სდარაჯობდა მშრომელ ხალხს ლაშქარაშვილის ბანდის თავდასხმისაგან კავთისხევ-ახალქალაქის რაიონში.

სახედრო და პოლიტმეცადინეობის მხრივაც ისინი არავის ჩამოუვარდებიან.

ლეგიონის ჯანსაღ ნიადაგზე დაყენების და მის წესიერად წარმართვის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით: ლეგიონის თავს ამხ. ზალინაშვილს, ყოფ. კომისარს—ამხ. ფუშლავას, ეხლანდელ კომისარს—ამხ. ნანაძეს, შტაბის უფროსს—ზერუჩაშვილს და ლეგთავის თანაშემწეს ამხ. ცქიტიშვილს. აი ამ პირებმა დააყენეს ლეგიონი სათანადო სიმაღლეზე, რისთვისაც მათ მადლობით მოიხსენიებს ქართული წითელი მხედრობა ლეგიონის ერთი წლის შესრულების დღესასწაულზე.

კ—ი.

## კბილის ექიმთა ყრილობა

### რეზოლიუციების მიღება

მთელ რიგ სპეციალურ მოხსენებათა წაკითხვის შემდეგ ყრილობა იღებს რეზოლიუციებს მოხსენებულ თემებზე. რეზოლიუციები საჭიროდ აღიარებენ ყველა იმ პირობათა გათვალისწინებას, ურომლისოდაც მოუხერხებელია ბრძოლა კბილების მასიურ დაავადმყოფებასთან. ყრილობა, მიესალმება რა პროფილაქტიურ ამბულატორიების ქსელის მოწყობას და სანიტარულ-ჰიგიენურ ზომების შემოღებას სკოლებში, საჭიროდ სთვლის ამავე პროფილაქტიურ ღონისძიებათა გატარებას მშრომელთა ფართე მასებში.

შემდეგ ყრილობას კბილის ექიმობის რაციონალური დაყენებისათვის საჭიროდ მიაჩნია უმაღლესი სასწავლებლის მოწყობა კბილის მკურნალობის შესასწავლად.

### უკანასკნელი სხდომა

### ოდონტოლოგ[illegible] საზოგადოების [illegible] იუბილე

ყრილობის უკანასკნელი დღის სხდომაზე გაიმართა სადღესასწაულო სხდომა თბილისის ოდონტოლოგიური (კბილის მკურნალობის) საზოგადოების 25 წლის არსებობის აღსანიშნავად.

წარმოითქვა რამოდენიმე მისასალმებელი სიტყვა, სადაც ორატორები აღნიშნავდენ ოდონტ. საზოგადოების ღვაწლს და დამსახურებას კბილის ექიმთა ორგანიზაციულად გაერთიანების საქმეში, შემდეგ მის სამეცნიერო-საზოგადოებრივ მუშაობას საზოგადოების წევრებს შორის. ორატორები ამ საზოგადოების იუბილეს უკავშირებდენ ექიმ ვ. ი. ჭიჭინაძის სახელს, რომლის ხელმძღვანელობით და უანგარო საქმიანობით დაარსდა, გაიფურჩქნა და გაძლიერდა თბილისის ოდონტ. საზოგადოება.

იუბილიარს ექ. ვარლამ ჭიჭინაძეს ყრილობამ გადაუხადა გულწრფელი მადლობა 30 წლის დაუღალავი და უანგარო მოღვაწეობისათვის.

# საბჭოთა სასამართლო

### სიღნაღის მაზრის მილიციის უფროსის ყოფილ თანაშემწის აბულაძის საქმე

**სიღნაღი, 19 სექტ.** აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია სამაზრო მილიციის უფროსის ყოფილ თანაშემწე აბულაძის საქმე. აბულაძეს ბრალად ედებოდა სოფელ ახალ-საქობოს გლეხების გალახვა 1924 წ. ივლისში. საქმის შინაარსი ასეთია:

აბულაძესთან გამოცხადდა რამოდენიმე გლეხი საჩივრით, რომ ისინი გაძარცვეს სოფელ ახალ-საქობოს მახლობლად. აბულაძე გაჰყვა დაზარალებულებს, რომლებმაც ხელი დაადეს ახალ-საქობოს მცხოვრებლებს პოხონიშვილს, ჯიბხაშვილს და პოლიდაშვილს. ისინი შეპყრობილი და პასუხისგებაში იქნენ მიცემული. დაპატიმრების შემდეგ მათ განაცხადეს, რომ მათ დაპატიმრების დროს სცემეს. ექიმმა, რომელმაც შეამოწმა ისინი, ვერავითარი ამის კვალი ვერ აღმოაჩინა და საქმეს მსვლელობა არ მიეცა. გასულ ზაფხულში მათ კვლავ განაახლეს საჩივარი. საქმის გამოსაძიებლად თბილისიდან გაგზავნილ იქნა გამომძიებელი, რომელმაც დააპატიმრა აბულაძე და მისი საქმე გადასცა ოლქის სასამართლოს. საქმის გამო გამოწვეული იყო 80 მოწმე.

სასამართლოში მომჩივანებმა აჩვენეს, რომ აბულაძემ, რომელიც ჩამოვიდა სოფელში თავისი მილიციონერებით, უბრძანა მცხოვრებლებს შეკრებილიყვნენ: მამაკაცებს და ქალებს სცემეს თოფის კონდახებით, მათრახებით და წკეპლებით. ხალხს ერეკებოდენ ცხენოსანი მილიციონერები. სულ სხვა გამოარკვია ერთ-ერთი დაზარალებულის ცოლის კომკავშირელ თამარა პოხონიშვილის ჩვენებამ. თამარა პოხონიშვილმა, რომელიც წინასწარ გამოძიებაზე ადასტურებდა მომჩივანთა ჩვენებებს, სასამართლოში მოულოდნელად განაცხადა, რომ მას აღარ შეუძლია აიტანოს სინიდისის ქენჯნა, რომ ყველა ჩვენება იყო ყალბი, მანაც სიყალბე აჩვენა ქმარის დამუქრების გამო; ნამდვილად კი აბულაძემ ორჯერ გაარტყა სილა ჯიბხაშვილს, არც მისთვის ან ვინმე სხვა გლეხისთვის არ უცემიათ.

სასამართლომ გამოარკვია, რომ პოხონიშვილი, ჯიბხაშვილი და ფოლდიშვილი არა ერთხელ ყოფილან მიცემული პასუხისგებაში. გამოირკვა აგრეთვე, რომ აბულაძე 4 წლის მუშაობის განმავლობაში სიღნაღში საუკეთესო მუშაკად ითვლებოდა და მას დიდი დამსახურება მიუძღვის ბანდიტიზმთან ბრძოლის საქმეში. აბულაძემ აღიარა, რომ მან დაარტყა დაპატიმრებულ ჯიბხაშვილს. სასამართლომ მიუსაჯა აბულაძეს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა უფლებების წართმევით, ამნისტიის ძალით ის განთავისუფლებულ იქნა სასჯელისაგან

# ქრონიკა

### საქ. გეოგრ. საზ-ბის ექსპედიციის დაბრუნება

— გუშინ დილის თერთმეტ საათზე თბილისში დაბრუნდა სვანეთიდან საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბის ექსპედიციის უკანასკნელი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გ. ნიკოლაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ნ. კეცხოველი, ივანე ჭუკავაძე, ალ. ძაგნიძე, ლ. ფხალაძე, ლიდია ჩხეიძე, მაგდა კლიმიაშვილი, ს. ჯაფარიძე, დ. მიქელაძე.

### სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში

— **მასწავლებლობა და გლეხკომები.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა გან. კომისარიატთან შეთანხმებით მისწერა ყველა გლეხკომებს ხელი შეუწყონ მასწავლებლობის გლეხკომების მუშაობაში ჩაბმას.

— **სრულიად საქ. ინვალიდთა** არტელების ყრილობა განზრახულია მოწვეული იქნას ოქტომბერში.

— **გლეხკომების გამოკვლევა.** სოც. უზრ. კომისარიატი ამ დღეებში გზავნის თავის წარმომადგენელს თბ. მაზრის გლეხკომების გამოსაკვლევათ.

### თბილისის აღმასკომში

— **ავლაბარში მდებარე შრომის** სკოლების სათანადოთ მოსაწყობათ და შესაკეთებლათ თბ. აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია.

— **ახალი სკოლები.** თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს მარტყოფში, საგარეჯოში, დილომში, ყარაიაზში და წალკაში გახსნას გლეხ-ახალგაზრდობის სკოლები.

— **სკოლების მომარაგება.** თბ. აღმასკომმა სათემო აღმასკომებს მისცა სესხი ადგილობრივ სკოლების სახელმძღვანელოებით და სხვა საჭირო ნივთებით მოსამარაგებლად.

— **საბავშვო ბაღებში** მიმდინარე წელს ბავშვები მიიღებიან 3 წლიდან 5 წლამდე.

— **ტრამვაის ვაგონებმა** აგვისტოში გაიარეს, ერთიმეორეზე, 374.706 კილ. 66,7 პროც. მეტი გასული წლის აგვისტოსთან შედარებით.

— **ყინულის დამზადება.** ქ. სასაკლაოსთან არსებულ ყინულის ქარხანამ აგვისტოში დაამზადა 20.512 ფუთი ყინული, 10,358 ფ. მეტი ივლისთან შედარებით.

— **გზების შეკეთება.** მიმდინარე წელს შეკეთებული იქნა გზატკეცილი თბილისიდან აღბულაღამდე. გზის შეკეთება აღმასკომს დაუჯდა 5.000 მან.

— **ვის უკავია დარაბები.** აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით, ქალაქში მდებარე დარაბებიდან 6,892 დარაბა უჭირავს კერძო პირებს, 432—სახელმწიფო დაწესებულებებს და 461 დარაბა კი კოოპერატივებს.

### დამზღვევ სალაროში

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** დამზღვევმა სალარომ აგვისტოში აუნაზღაურა ავადმყოფობის გამო 39,425 გაცდენილი დღე.

— **პენსიონერები.** აგვისტოს განმავლობაში დამზღვევმა სალარომ დახმარება მისცა 1001 პენსიონერს.

### სასოფლო მეურნეობა

— **ხილის მოსავალი.** წელს თელავის მაზრაში ხილის და ყურძნის კარგი მოსავალია. ფუთი ყურძენი ღირს 2 მან.

— **მეხილეობის აღორძინებლად** რესპუბლიკაში, სასოფლო-სამეურნეო ბანკი მომავალ წელში გადასდებს 40,000 მანეთს, ეს თანხა სესხად დაურიგდება მეხილეებს.

— **სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების** საკითხის გარშემო, ა | ქ შინა-ვაჭრობის კომისარიატში დღეს გაიმართება ცალკე თათბირი.

### სხვადასხვა

— **შინამრეწველობა.** შინამრეწველობის განყოფილებამ საზღვარგარეთ შეიძინა ორი საქსოვი მანქანა.

— **ტყიბულის საავადმყოფოს** საჭიროებისათვის ჯანსახკომმა გადასდო 3.000 მან.

### შმდ-ს ლიგის ტ. კ-ში

ა | წ. 19 სექტემბერს შმოსლიგის ტ. კ-ში (რუსთაველის პრ. № 24 მესამე სართული) იხსნება სამკითხველო, რომელიც ღია იქნება ყოველ დღე, უქმეების გარდა, საღამოს 6—8 ს.

# მუშათა ცხოვრება

### უნდა მიეცეთ რძე

ჭუმშუმის ქარხანაში ქიმიკურ და ფოსფორის განყოფილებებში მუშებს უნდა მიეცეს ყოველ დღე თითო კრუჟკა ადუღებული რძე, რადგანაც ამ განყოფილებებში მუშაობა მავნეა მუშებისთვის. მაგრამ ადმინისტრაცია რძის მაგიერ მუშებს აძლევს ფულს. მუშები იღებენ ფულს და რძეს კი არა სვამენ და ავადაც ხდებიან ხოლმე.

ეს გარემოება დაუშვებელია.

მუშკორი ბზეკი.

### ეგეც ექსპლოატაცია?!

ზაჰესის 1 უბანში, არაგვის ხეობაში, იქ სადაც არაგვი მტკვარს ერთვის, მუშაობს რამდენიმე ათეული მუშა, რომლებიც ქვიშას ამზადებენ. ქვიშის დამზადებას ხელმძღვანელობენ მოიჯარადრეები. ისინი იყვანენ ნარდ მუშას და ურიგდებიან ერთ ბოჩკა (ბოჩკა დაახლოვებით 10 ფუთია) დამზადებულ ქვიშაში 10 კაპიკათ, ზოგს კი 9 და 8 კაპიკათ. თუ მუშა ჯანმრთელი და ბეჯითია და მას ამინდმაც ხელი შეუწყო და ნიადაგიც კარგი შეხვდა, იგი 15 ბოჩკა წმინდა ქვიშას ამზადებს ერთი დღის განმავლობაში. მთელი დღის შრომაში მას შეუძლია მიიღოს მხოლოდ 1 მ. 50 კ. და უფრო ხშირად ნაკლებიც. მასთან მოიჯარადრეებისგან ფულის მიღება ხომ საშინლად ძნელია. ამ რამოდენიმე დღის წინეთ მოიჯარადრეებმა შეუკვეთეს ქვიშის დამზადება რამდენიმე მუშას. მათ შორის წიკლაურ თედოს და ოქრუაშვილს მახარეს. ამათ დაამზადეს რამდენიმე ბოჩკა კვირა ნახევრის განმავლობაში. ერთ დღეს მოვარდა წყალი და ეს მშიერი ხალხის დამზადებული ქვიშა წყალმა წაიღო. მოიჯარადრეები ამაზე ყურს არ იბერტყენ და ამ მუშებს არ აძლევენ ხელფასს.

საჭიროა შრომის დაცვის კომისიამ, მუშებს მიხედოს.

მუშკორი მაწვრალი.

### ის მეეზოვე ცუდლუტობს

მე-8 სამილიციო უბანში ალექსანდროპოლის ქუჩას ჰყავს მეეზოვე ამხ. ანტონა, რომელიც თავის ვალდებულებას წესიერად არ ასრულებს. იგი ამ ცოტა ხანში ერთი თვის შვებულებაში იმყოფებოდა, შემდეგ ჩამოვიდა ერთი-ორი დღე და ახლა უკვე ხუთი დღეა სოფელში წაბრძანებულა, ქუჩა ნაგვით და სიბინძურით სავსეა.

ვის მოვთხოვოთ სისუფთავე. ყური აუწიეთ, რომ შემდეგში არ გაიმეოროს.

მუშკორი კალამი.

### პურის მცხობის სიმღერა

ხამაზე ვარ, პურის მცხობი,
მე მარადის ცეცხლში ვცურავ;
როცა ბუნება ყინავს, სთოვს,
მე მაშინაც ოფლში ვცურავ;

როს ზაფხულით განცხრომის ძე
ეტანება მთის ცივ წყალსა,
მე მაშინა ცხელ თონეში
ოფლით ვაქრობ ნაღვერდალსა;

როს სხვებს სძინავთ ტკბილის ძილით,
ტკბებიან განცხრომითა,
მე მაშინა ცომსა ვზელავ
ცვრიანი დილიწითა;

როს სხვებს დილა უთენდებათ,
მღერს შეხარის მათი გული,
მე მაშინა პირქვე ვწევარ
ხნელ თახჩში მოქანცული.

მე დღეთა მაქვს ღამე ბნელი
მთელ ნიადაგ—თონე ცხელი,
ლუკმა-პურის გულისათვის
ცეცხლში ვიბრძვი გულ-მკერდ სველი.

მუშ გ. შინაძხელი.

### ხთითაც არ გავიძეცი, წავიძეცი

ამ ოთხი თვის წინად ტყავ-ტრესტის დარაჯებმა და მეტაბელეებმა (15 კაცი) მიმართეს თხოვნით ადმინისტრაციას, რათა მათთვის მიეცათ ზედმეტი საათების და კვირა-უქმე დღეების მუშაობის ჯილდო. ადგილკომმა, კავშირმა, შრომის ინსპექტორმა, შრომის სახ. კომისარიატმა ეს მოთხოვნილება სამართლიანად სცნო და ზედმეტი იყო მისი სასამართლოში გადაცემა. მაინც აგერ ოთხი თვეა ადმინისტრაცია აჭიანურებს საქმეს. დღეს გამოვა განკარგულება: „მიეცით", ხვალ ჩაერევა ვინმე და შეაჩერებს. შარშანაც ამით ყინვაში ხელთათმანები არ მისცეს იმ დროს, როდესაც დანარჩენ მუშებს ყველაფერი თავის დროზე ძღვევათ. დღიან და ამბობენ: ჩვენ ტყავ-ტრესტი უკანონო შვილებათ გვთვლისო.

მთელი ტყავ-ტრესტის ქონება ამ დარაჯების კეთილსინდისიერ სამსახურზეა მინდობილი. შრომის ინსპექტორმა მათი საქმე უცებ გადაიტანა შრომის სასამართლოში, მაგრამ, დახეთ უბედურებას, აქაც ლოდინში გულები დაგვისივდა.

შრომის სასამართლოვ, დააჩქარე ამ საქმის გარჩევა.

მუშკორი ნაპერწკალი.

### გამოგზავნილი წერილებიდან

— **მოიჯარადრეცაა და პროფკავშირის წევრიც.** ამხ. ფ. მახარაძის ქუჩაზე არის სასადილო. პატენტი ამ სასადილოზე აღებული აქვს ვინმე ჯიჯოშვილს თავის სახელზე. აღნიშნულ სასადილოში ჯიჯოშვილმა ჩააყენა „თავისი კაცი", „თვითონ კი მსახურობს არხეინად, ჯამაგირს იღებს და კავშირის წევრადაც ითვლება.

სასადილოში მუშაობს ოთხი. მათში მხოლოდ ერთია კავშირის წევრი, დანარჩენები კი არც კავშირის წევრებია და არც დაზღვეულები.

რკინის ცოცხი უნდა ათამაშოთ ამ კაცის თავზე!

მუშა მეახლეელი.

— **ამ ხალხს ჭკუას როდის ასწავლით.** „ზაკავტოპრომტორგის" ავტომობილი № 896-ის შოფერი კოჯრიდან 14 სექტემბერს დილით ისე მოაქროლებდა ავტომობილს, რომ შიგ მჯდომ მუშა-მგზავრებს და ბავშვებს კინაღამ გვერდები დაუმტვრია; გზაზე შემხვედრი მეურმეებს შიშის ზარსა სცემდა; რამდენიმე ადგილას ავტომობილმა კინაღამ გაიტანა ბავშვები და მოხუცი ქალები. უბედურებას შემთხვევით გადაურჩით.

მუშა მგზავრი.

— **ამ ქუჩას მოვლა უნდა.** შრომის ქუჩა შეაკეთეს, მაგრამ შემდეგში დაიწყეს მასზე მიწის დაყრა. დაგროვდა დიდძალი მიწა, რომელიც წვიმის დროს საშინლად ტალახიანდება და ამ ქუჩით გავლა თითქმის შეუძლებელი ხდება.

ამ ქუჩას პატრონობა სჭირდება.

ვინმე ნადიროგელი.

— **ეს „ჩინოვნიკი" სახელს გვიტეხს.** სად. ფოთის რ | გ. საბარგოში მწონავის თანამდებობაზე მსახურობს ვინმე დ. მიმინოშვილი, რომელიც მეტად უხეშად და უდიერად ეპყრობა მუშა-მოსამსახურეთ, ხშირად „ჩეკას" სახელით აშინებს მუშებს და ხელოსნებისადმი უნდობლობას ბადებს მუშებში.

მოუღეთ ბოლო ამ „ჩინოვნიკს" თარეშს.

ვინმე დამსწრე.

### რკინის გზის პროფკავშირში

— **თათბირი.** 22 სექტემბერს ა.-კ. რკ. გზ. პროფსაბჭო იწვევს თათბირს ქალთა შორის მუშაობის წარმოების შესახებ. თათბირი მოისმენს მოხსენებას რკინის გზის მუშა-ქალთა შორის მუშაობის შესახებაც.

— **1,500 მანეთი.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა გადასდო 1,500 მანეთი ტრანსპორტის პროფმოძრაობის ისტორიის შესადგენად.

— **მუშკორთა ყრილობა.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა დაადგინა რკინისგზელთა ყრილობის შემდეგ მოიწვიოს ა.-კ. მუშკორ რკინისგზელთა ყრილობა.

— **900 მანეთი.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა კინო-ვაგონების საჭიროებისათვის გადასდო 900 მანეთი.

— **ექვსი სტიპენდიანტი.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა პროფმოძრაობის უმაღლეს კურსებზე რუსეთში მიავლინა 6 კაცი.

— **დასასვენებელ სახლებისათვის.** ა.-კ. რკინის გზის სამმართველომ დასასვენებელ სახლების საჭიროებისათვის დამატებით გადასდო 15.000 მანეთი.

— **საუბნო პროფკავშირებთან.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა საუბნო პროფკავშირებს გამოჰყონ საუბნო კომიტეტებთან თითო პასუხისმგებელი მუშაკი ტრანსპორტის პროფმოძრაობის ისტორიის მასალების დასამუშავებლად.

# ბიბლიოგრაფია

ჟურნალი „მნათობი" (ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი. პოლიტგანის გამოცემა. ტირაჟი 3000) № № 5-6, 7.

ჟურნალი „მნათობი" ჩვენში უკვე საკმაოთ ცნობილი მხატვრული და სამეცნიერო ორგანოა. თვითეული მისი ნომერი ახალ საგანძურს წარმოადგენს თანამედროვე ქართულ ლიტერატურისათვის.

ამ ღირსებას არაა მოკლებული არც ეს უკანასკნელი სამი ნომერი. ორი მათგანი, მე-5—6, ერთ წიგნშია მოქცეული, უკანასკნელი მე-7 კი ცალკე წიგნათაა გამოცემული.

განვიხილოთ ისინი მასალის დალაგების მიხედვით.

**მხატვრული ლიტერატურა.** სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ ლექსი სამივე ნომრებში ბევრათ ჩამორჩება თავის ღირსებით როგორც დანარჩენ მხატვრულ ნაწილს, აგრეთვე სამეცნიერო და პუბლიცისტურ წერილებსაც. ამ მხრივ დარღვეულია სამივე წიგნის მიღწევების ჰარმონია.

მაგალითისათვის ვღებულობთ კ. კალაძის ლექსს—„ამბავი, რომელიც გამორჩა ქრონიკას". გარდა იმისა, რომ ეს ლექსი მიუღებელია თავისი შინაარსის მიხედვით (ავტორი ხოტბა-დიდებას ასხამს ღამის ქურდს: „მე კი მსურს ფრთხილად მიუახლოვდე, მოვხვიო ხელი, როგორც მეგობარს... ჩამოჯექ ძმაო, შენთან ბევრი მაქვს კიდევ საერთო"), გარდა ამისა ლექსი, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთობ მოისუსტებს თავის მხატვრულ გამოთქმებითაც: „მთვარე სიცილიდან ქიმზე გაირღვა", „ოთახი გატყდა ფანჯარაში, როგორც ნაფურთხი", „დარჩა შენობა, როგორც ბრინჯაოთ დაბნეული ბითურის სახე".

დანარჩენი ლექსები თავისთავად ბევრ არაფერ საგულისხმოს არ წარმოადგენენ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გ. ქურულის „საბადურს", რომელიც როგორც ფორმით, აგრეთვე თავისი ენით იპყრობს მკითხველის ყურადღებას:

არ გაუშვა წყალ ნადირი,
მერი ბიჭო, ქვილდაურე,
გორ-გორიდან გადიდარი,
მზე-გამზირე ყვინთაური.

სამაგიეროთ ჟურნალების სამივე ნომერში განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრული ნაწილის დანარჩენი მასალა.

აქ პირველყოვლისა უნდა შევჩერდეთ მიხ. ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაზა"-ზე. ამ ნაწარმოების ავტორმა უკვე კარგა ხანია მიიპყრო, როგორც ნიჭიერმა მწერალმა, მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

მისი უკანასკნელი მოთხრობა, რომელიც უფრო მხატვრული კალმით დაწერილ მემუარს წარმოადგენს, ბევრათ არ განირჩევა მ. ჯავახიშვილის დანარჩენ ნაწარმოებებიდან. „ლამბალო და ყაზა" თავისთავად, როგორც იმპერიალისტურ ომის ერთი ეპიზოდთაგანი, ბევრ არაფერ ორიგინალურს იძლევა. მაგრამ ჯავახიშვილის კალმის ქვეშ ის იშვიათ მხატვრულ სახეს ღებულობს. ამ მემუარს ინტერესით და კმაყოფილებით კითხულობ. მიუღებელია მხოლოდ „ლამბალო და ყაზას" უკანასკნელი ნაწილი, სადაც ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ დაჰფანტა ბედმა მისი მოთხრობის მომქმედი პირები და რა მოულოდნელ პირობებში გამოასალმა ისინი წუთისოფელს. ავტორი შესძახებს: „დიდ არს ძალა ბედი-მდევარის". მოთხრობა ამნაირათ ბედის სიძლიერის წინაშე მუხლის მოდრეკით თავდება. მაგრამ ჯავახიშვილს ამ შემთხვევაში დიდი საყვედური არ ეთქმის...

მეტად საინტერესო მომენტია აღებული სერგო კლდიაშვილის „თუთიყუშში". აქ გადმოცემულია წვრილ ხელოსან ებრაელის ლეიბა ცუკერმანდელის დაქვრივებული ოჯახის განცდის სურათი თბილისში, გასაბჭოების დღეებში.

დემნა შენგელაიას „ტფილისი" ავტორის უცნაურ ოცნების ნაყოფს უფრო წარმოადგენს, ვიდრე თბილისის დღევანდელ სურათს. ამ ნაკლს რამდენიმეთ ამსუბუქებს თვით ავტორის წინასიტყვაობა: „შეიძლება აქ წარმოდგენილი თავები ხელახლა შეიქნეს დასაწერი, ან და ძირეულად გადაკეთება მოითხოვოს. ამიტომ ავტორის თხოვნაა დაბეჭდილ ადგილებს მოეპყრათ როგორც მასალებს და არა როგორც უკვე დამთავრებულ თავებს."

ჩვენ გვფიქრობთ, რომ ავტორი არ შემცდარა, როცა თვითვე შეუტანია ეჭვი საკუთარ ნაწარმოების დაბეჭდვით ღირსებაში.

ტრიფონ რამიშვილის „ამონაკვნესი" მგრძნობიარე და თბილი ენითაა დაწერილი. აქ გადმოცემულია მამა-რევოლიუციონერის მშობლიური გრძნობის განცდები, რომელსაც აპატიმრებენ შვილის კუბოსთან.

უცხო მწერლებიდან ანატოლ ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ" და ბორის პილნიაკის „შიშველი წელი", კარგი ენითაა გადმოცემული. მკითხველი, რომელსაც საშუალება არა აქვს ორიგინალში გაეცნოს ამ ნაწარმოებებს, ბევრს არ დაჰკარგავს ამ თარგმანის მეოხებით. ანატოლ ფრანსი ნათარგმნია ფრანგულით გ. ქ.—ს მიერ და ბორ. პილნიაკი გადმოცემული აქვს დემ. შენგელაიას.

მეცნიერულ გამოკვლევების წერილებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კ. ჭიჭინაძის: „ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხის ტყაოსანის პრობლემა".

ავტორი სრულიად ახალი მიდგომით, ალიტერაციით, ბგერათა მუსიკალურ შეხამებით, მიზნათ ისახავს დაამტკიცოს „ვეფხის ტყაოსნის" ავტორის ერთი და იგივეობა. კ. ჭიჭინაძის ახალი გამოკვლევა ბევრ საგულისხმო მასალას იძლევა და დიდი გარკვეულობა შეაქვს შოთა რუსთაველის სახელის გარშემო შექმნილ გაუგებრობაში.

ნ. მარრის „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით" ჩვენი ენის საინტერესო გამოკვლევას წარმოადგენს. წერილი მხოლოდ ჰკარგავს ფასს სტილის სიმძიმით.

გ. ვაგანიანის „რამდენიმე მოსაზრება „პროლეტარულ კულტურის" შესახებ," მეტად საგულისხმო წერილია, განსაკუთრებით ის საყურადღებოა ჩვენი ახალგაზრდა ხელოვნების მუშაკებისათვის.

წერილის მთელი შინაარსი, სადაც ავტორი ეკამათება „პროლეტკულტის" იდეურ სულის ჩამდგმელ ბოგდანოვს და ა. ლუნაჩარსკის მავნე გადახრას, აგებულია ლენინის შემდეგ ციტატაზე:

„ჩვენთვის პირველ ხანებში საკმარისი იქნებოდა ნამდვილი ბურჟუაზიული კულტურა, ჩვენ პირველ ხანებში იოლად წავიდოდით მეტად „ჯიშიან" ტიპების კულტურათა გარეშე, რომელნიც ბურჟუაზიულ წყობილებამდი არსებობდენ, ესე იგი ჩინოვნიკურ ან ბატონ-ყმურ კულტურისა და სხვების გარეშე. კულტურის საქმეში აჩქარება და ერთი ხელის მოსმით საქმის გაკეთება ყველაზე მავნებელია." (Ленин, т. XVIII, ст. 125).

ინტერესს მოკლებული არაა დავით კლდიაშვილის მემუარები, რომელშიაც ის გვაცნობს ბათომის ცხოვრებიდან ქართულ ლიბერალურ ინტელიგენციის და შავრაზმელ რუს ჩინოვნიკების ბრძოლის ცალკე ეპიზოდებს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალის უკანასკნელ ნომრებს წინანდელთან შედარებით შესამჩნევი წინსვლა ეტყობა. საჭიროა მხოლოდ მომავალში ლექსების უფრო ფრთხილი შერჩევა.

მელიძე.

# ხელოვნება

### ქართველ ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებთა საღამო

13 სექტემბერს გამართული სიმფონიური კონცერტის პროგრამის მეტ ნაწილს შეადგენდა ქართველ ახალგაზრდა კომპოზიტორების—ლეონ ფალიაშვილის და ანდრია ბალანჩივაძის (ორივეს მუსიკალური განათლება მიღებული აქვთ თბილისის კონსერვატორიაში) ნაწარმოებნი. ლეონ ფალიაშვილმა დაისახა მეტად რთული ამოცანა—შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსანის" ჩამოსხმა მუსიკალურ ფორმებში. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად დასძლია ეს ამოცანა ლეონ ფალიაშვილმა. ამ ნაწარმოების ღირსეულად შეფასება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ის მთლიანად დაიდგმება ოპერის თეატრში.

შესრულებული იყო ოპერის უვერტიურები, სადაც კომპოზიტორმა გამოიჩინა მეტი მუსიკალური ცოდნა, ვინემ უშუალო ნიჭი. უვერტიურების დადებითი მხარეა ლამაზი ინსტრუმენტოვკა, ლამაზია მეორე თემა. საერთოდ კი ნაკლებია მელოდია. ძალიან კარგია პოლიფონიური პრელიუდია სიმებიან ორკესტრისათვის. ბალეტიდან უფრო ლამაზია ფერიების პირველი ცეკვა, თუმცა მელოდია არ არის საკუთარი, ის წასესხებია ქართულ ხალხურ სიმღერებიდან და ძალიან კარგად არის დამუშავებული. ქაჯების ცეკვა ნაკლებ საინტერესოა, არ არის საკმაო მელოდია, მაგრამ საინტერესოა კონტრაპუნქტის მხრივ.

ოპერის ვოკალური ნომერი „ავთანდილის არია" შესრულდა ახალგაზრდა მომღერალმა ალლაძემ. როგორც ნაწარმოები, ეს არია ვერ სტოვებს შთაბეჭდილებას იმავე ნაკლის გამო, აქაც ვერ არის საკმაოდ განვითარებული მელოდიური მხარე. მაგრამ მეორე რომანსი „ნუ სტირი, ეთერო"—შესრულებული იმავე ალლაძის მიერ, ძალიან კარგია. აქ არის საკმაო მელოდია და დიდი გრძნობა. ალლაძის ხმა სავსებით ჩამოყალიბებულია. მას აქვს ლამაზი ბარიტონი, მუსიკალობა და ტემპერამენტი. ალლაძე უკვე სავსებით დამთავრებული მომღერალია.

ანდრია ბალანჩივაძემ წარმოადგინა თავისი უკანასკნელი ნაწარმოები „ქართული მარში", სჩანს ნიჭი, ორკესტროვკის ცოდნა, მაგრამ აქაც ნაკლებია მელოდია. სხვათაშორის მარში ისე არეულად იყო შესრულებული, რომ ჯერ ძნელია ლაპარაკი მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე.

ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდა კომპოზიტორის ეს ნაწარმოები მოწმობს იმას, რომ ანდრია ბალანჩივაძეს შეუძლია გაამჯობესოს თავისი ნიჭი.

ა. ბ.

— **ნიკოლოზ მიწიშვილის წიგნები.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა პოეტ ნიკოლოზ მიწიშვილის შემდეგი წიგნები: „წმინდანიანი"—(ლექსები. თბილისი. მეორე გამოცემა); „შავი ვარსკვლავი" (პოემა. სტამბოლი. მეორე გამოცემა.); „გარდაცვალება" (პოემა. პარიზი. პირველად); „ცხრიანი"—(ლექსები. პარიზი. პირველად). ამზადებს გამოსაცემად: „თებერვალი" (რომანი), „ქართული რომანტიზმი", „ლიტერატურა და პოლიტიკა".

— **„ბაში-აჩუკი" ეკრანზე.** სახელმწიფო კინო-მრეწველობა შეუდგა აკაკის „ბაში-აჩუკის" ეკრანზე დადგმა. სურათს სდგამს რეჟისორი ბეკნაზაროვი.

— **მუშ. ხელოვანთა სახლთან** „პარტურთან" არსებულ მუსიკალური სტუდიის ფორტეპიანოს კლასის ხელმძღვანელათ დაინიშნა პროფ. ვინოგრადოვი.

— **საქ. სახელმწიფო კინო-მრეწველობასა** და სომხეთის კინომრეწველობას შორის მოხდა შეთანხმება შირვანზადეს რომანის სცენარის „ნამუსის" ეკრანზე დასადგმელათ. სურათი გადაღებული იქნება სომხეთში ბეკ-ნაზაროვის რეჟისორობით.

— **შოლა ლომთათიძის ნაწერები.** გრძელდება ხელის მოწერით შეძენა შოლა ლომთათიძის ნაწერებისა, თითო მანეთის გადახდით თვეში.

— **მუშა მსახიობ გიორგი ჯაბაურმა** დასწერა ერთმოქმედებიანი პიესა ლექსით სოფლის ცხოვრებიდან „ს. სამთავისის კომუნა ანუ ნამდვილი ამბავი". ამ პიესას ამ მოკლე ხანში წარმოადგენენ სოფელ სამთავისშივე.

### სამხატვრო აკადემია

— აკადემიის სტუდენტ-მსმენელთა ნამუშევრების სანიმუშო გამოფენა გაიხსნება დღეს აკადემიის შენობაში (გრიბოედოვის ქ. № 22). გამოფენა გაგრძელდება ერთ კვირას. შესვლა ყველასათვის უფასოა.

— განცხადებების მიღება აკადემიაში შესვლის შესახებ დასრულდა; საკონკურსო მისაღები გამოცდები დაიწყება სექტემბრის 28-დან, და გაგრძელდება ოქტომბრის 1-დე.

### დღეს

— **ამხ. სტრელეცკის ლექცია** 21 სექტემბერს საღამოს 8 საათზე ხელოსანთა კლუბში (პლეხანოვის გამზირი № 66) შესდგება ამხ. ნ. სტრელეცკის ლექცია „მთვარეზე".

# შემთხვევები

### ნოე სიხარულიძის მოკვლა

გუშინ, საღამოს 7 საათზე სასტუმრო „ნოეს" მსახურმა ურთმელაძემ რომანიულ ნიადაგზე დანით მოჰკლა სასტუმრო „ნოე"-ში ამავე სასტუმროს ყოფილი პატრონი და მოიჯარადრე ნოე სიხარულიძე. მკვლელი თვითონ გამოცხადდა მილიციაში.

— **თავის მოწამვლა.** 18 სექტ. მიხაილოვის ქ. № 3, მცხოვრებმა ნიკოლოზ ბლოკოვმა განაცხადა მილიციაში, რომ 13 სექტ. საღ. 8 საათზე მისი სახლში არ ყოფნის დროს მის ცოლს მოუწამლავს თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ხანძარი.** 13 სექტ. სოფ. მარტყოფის ტყეს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მიმდებარე ზოლებით იქნა ჩაქრობილი. ხანძრის მიზეზი გამოურკვეველია.

— **გვამის პოვნა.** 18 სექტ. ორთაჭალაში მეთევზეების მიერ მტკვარში აღმოჩენილი იქნა დამხრჩვალი მამაკაცის გვამი. ვინაობა გამოურკვეველია.

— **ცეცხლი.** 18 სექტ. დღის 4 საათზე პავლოვის ქ. № 10 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **ქურდობა.** 18 სექტ. პეტროვსკის ქ. № 30 გაქურდეს მარო ივანოვას ბინა.

— იმავე დღეს სასამარ. ქ. № 3 გაქურდეს მორგებული გასაღების საშუალებით ლიდა ნეკრასოვას ბინა. წაღებულია 43 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ორბელის შესახ. № 4 გაქურდეს გერასიმა ზუბერმას ბინა.

# წერილები პროვინციიდან

### მეტი ყურადღება აგრონომიულ დახმარებას

საქართველოში ეხლა მაზრის 15 აგრონომია (თვითეულ მაზრაში თითო აგრონომი), რაიონის 20 აგრონომი და 22 ინსტრუქტორი, ასე რომ თითო მომუშავე აგრონომზე მოდის 8 თემი, 57 სოფელი, 5856 კომლი, 29,295 სული და 11,376 დესეტინა მიწა. აქედან ნათლად სჩანს, რომ ასე მცირე რიცხვი აგრონომებისა ვერ გასწვდება და ვერ დააკმაყოფილებს მეურნეობის ყველა მოთხოვნილებას.

აგრონომის მდგომარეობა მეტად ცუდია: ჯამაგირი ძლიერ ცოტა აქვს, რაც აქვს, იმასაც თავის დროზე ვერ იღებს; გადასასვლელი საშუალება ბევრ მაზრაში არ მოიპოვება და აგრონომს ხშირად 20—30 ვერსის მანძილზე უხდება სოფლიდან სოფელში ფეხით სიარული; ამასთან ბევრგან სამაზრო აღმასკომს და აგრონომს შორის არ არის კეთილი განწყობილება. იყო მაგალითი ერთ მაზრაში, რომ მიწათმოქმედების დანიშნულ აგრონომს აღმასკომმა არც ჯამაგირი და არც საოპერაციო თანხები არ მისცა. შემდეგ, როცა აგრონომი წავიდა, მის ადგილზე კომისარიატის დაუკითხავად სხვა მოიწვიეს, რომელსაც თავის დროზე ჯამაგირსაც აძლევენ და საოპერაციო თანხასაც.

სამაზრო აგრონომი გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობისა დატვირთული არის აღმასკომის საკანცელარიო საქმეებით, იღებს მონაწილეობას კომისიებში, განსაკუთრებით მიწის საკითხებში და სრულებით არა აქვს დრო მაზრის მისახედავად.

ფულის თავის დროზე მიუღებლობა აღმასკომიდან და ხშირად მიწათმოქმედების კომისარიატიდანაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის გამო აგრონომი თესლს თავის დროზე ვერ იძენს, თავის დროზე ვერ ხნავს, ვერ თესავს და სხვა. რასაკვირველია, ამნაირ პირობებში აგრონომის მუშაობა სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს.

ეხლა ყველა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ლაპარაკობს, ამისათვის საჭიროა, რომ სოფელში იყვნენ მცოდნე და გამოცდილი აგრონომები.

გამოცდილ აგრონომთან ერთად სოფლად საჭიროა დაბალი ტიპის ტეხნიკური ცოდნით აღჭურვილი მომუშავეები. ამნაირ სპეციალისტებს ამზადებდა ცნობილ აგრონომ სტაროსელსკის მიერ დაარსებული საქარის სანერგეში პრაქტიკული სკოლა. აქ მევენახეობა-მეღვინეობის გარდა ასწავლიდენ მებაღეობას და მებოსტნეობას. საქარის სკოლა ბევრმა ახალგაზრდამ დაამთავრა და ბევრი სარგებლობაც მოიტანა მან დასავლეთ საქართველოს ფილოქსერიდან გაოხრებულ ვენახების აღდგენაში.

უსახსრობის გამო მიწათმოქმედების კომისარიატმა მიმდინარე წლის მარტში ეს სკოლა დახურა და, ამნაირად, ჩვენ ქვეყანას მოაკლდა ერთი სპეციალური სამეურნეო ტიპის სკოლა. ამნაირივე სასარგებლო და საჭირო იყო ჩვენი სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად თბილისის საბაღოსნო სკოლა, რომელიც 1919 წელს დაარსდა. ბოლოს დაინახეს, რომ ეს დიდი შეცდომა იყო და წელს ვითომ გახსნეს, მაგრამ კიდევ ჩვეულებრივ უსახსრობის გამო ვერ არის ჯეროვან დონეზე დაყენებული, რომ იტყვიან—„სულს ღაფავს" და შესაძლოა ისევ დაიხუროს. კიდევ იყო ხილის მუშებისათვის პრაქტიკული სკოლები თბილისის ბოტანიკურ ბაღში და სოფ. ოძისში. დღეს ეს სკოლები ორივე დახურულია.

იმედია მიწათმოქმედების კომისარიატი არ დატოვებს უყურადღებოდ ამ სასარგებლო და ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინების გზაზე დასაყენებლად ამ მეტად საჭირო ტიპის სკოლების საკითხს და გამონახავს სახსარს მათ აღსადგენად და ჯეროვან დონეზე დასაყენებლად.

აგრონომი ერ. ნაკაშიძე.

### რა შეუძლია ერთიან ძალას

(ს. სამთავისი, გორის მაზრა)

ამ ორი წლის წინათ აქაურ გლეხ გიორგი უზნაძის მეთაურობით შესდგა არტელი და დაიწყეს რამდენიმე გლეხმა ერთად მინდორ-ვენახების დამუშავება. გარდა თავიანთი მამულისა, აიღეს სხვებისაც და საქმეც ძალიან კარგათ წაიყვანეს. ისე შეეჩვივნენ და შეეთვისნენ ამ საერთო მუშაობას, რომ განიზრახეს კომუნის დაარსება. თქმა და ასრულება ერთი იყო.

შარშან 25 კომლმა შეაერთა მთელი თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება, ამოარჩიეს გამგეობა, შემოიღეს მორიგეობა როგორც კაცებში, ისე ქალებში და დაიწყეს საერთო ძალით მუშაობა.

შემდეგ დაარღვიეს კერძო სახლები. ამ მასალით და ცოტა დამატებით ააშენეს უზარმაზარი საერთო სახლი, რომელიც დატიხრეს ყველას საცხოვრებლათ. დათესეს ვებერთელა ბოსტანი, მოხნეს დიდძალი მინდვრები, ჰყავთ საკუთარი მზარეული, პურის მცხობელი, ხარაზი, მჭედელი, დალაქი, აგრონომი, აქვთ საერთო სასადილო. ეხლა აგებენ კიდევ ახალ შენობას კლუბისთვის და სკოლისათვის.

მთავრობამაც დიდი დახმარება გაუწია ამ კომუნას და მათი შემწეობით მოიტანეს სახნავ-სათესი მანქანა. პირველ ხანებში თვით სამთავისელი გლეხები და სხვა მეზობელი სოფლებიც დასცინოდნენ მათ, მაგრამ ისე კარგათ წაიყვანეს საქმე, რომ ეხლა ყველა ქებით იხსენიებს სამთავისელებს და მათ ცხოვრების შინაარსს.

ურიცხველი ხალხი მოდის გორიდან და სხვადასხვა სოფლებიდან მათ სანახავათ. არის შემთხვევები, როცა ამ კომუნის ოჯახიდან ქალს თხოულობენ, მაგრამ ქალები უარს ამბობენ გათხოვებაზე, რადგან ვერ დაუთმიათ ასეთი ოჯახი.

სამთავისის კომუნამ დაამტკიცა, რომ გლეხის ბედნიერება თვით გლეხშივეა.

გიორგი ჯაბაური.

### წყალი გვექნება

(ს. პირველი ტოლა, რაჭა)

ტოლის გლეხობას ერთი დიდი უბედურება სჭირს. მთელ სოფელში არსად წყალი არ არის. ფითალო თირის შორეული და ღრმა ფენები არსაიდან წყალს არ უშვებენ; ჭის ამოღებაც უსარგებლო შეიქნა. რამოდენიმე წლის წინად ერთმა მჭიდროდ დასახლებულმა კუთხემ, გვარიშიძეებმა, სცადეს და დიდის გასაჭირით ამოიღეს ჭა ათი საჟენის სიღრმეზე. წვეთი წყალი არ გამოჩნდა.

სტუმრად რომ გაიაროთ სოფელში და წყალი მოითხოვოთ, მასპინძელი ღვინოს უფრო ადვილად მოგართმევთ, ვინემ წყალს. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ სახლს ცეცხლი წაეკიდა, უწყლოობის გამო ქვევრს მიაშურეს და ათი-თორმეტი კასრი ღვინო მიასხეს, სახლიც დაეწვა საწყალ გლეხს და ღვინოც აღარ დარჩენია.

ამისთანა გაჭირვების გამო არა ერთხელ დაბადებიათ აზრი ტოლელ გლეხებს გამოეყვანათ მაღლა მთიდან მშვენიერი წყარო, რომელიც მოშორებულია ორ ნახევარი ვერსის მანძილით. მიუმართავთ დახმარებისთვის მეფის დროის სამაზრო, საგუბერნიო მთავრობებისა და მთავარმართებლისათვისაც კი, მაგრამ სოფლის თხოვნა ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა.

ერთი თვის წინად გაიგზავნა ჩვენი სოფლის დელეგაცია ამ საკითხის მოსაგვარებლად თბილისში. და აი, წყალთა მეურნეობის სამმართველომ გამოგზავნა ადგილობრივად ინჟენერი გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენათ. დაბრუნებულმა დელეგაციამ უამბო გლეხებს, რომ როგორც ცენტრალური, ისე მაზრის მთავრობა უსასყიდლოდ დაგვითმობს მილებს, ცემენტს და ფულითაც გაგვიწევს დახმარებასო. ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდა აქ ინჟენერი მიქელაძე და მიუხედავად იმისა, რომ სთხოვდა ხალხს: „მე შვიდ-რვა კაცი მჭირდება მოსახმარებლად, დანარჩენები ხელს მიშლით და მომშორდითო", მაინც ვერ იშორებდა. ქალები და ბავშვებიც კი უკან დასდევდენ. სოფელი აღფრთოვანებულია მთავრობის ასეთი ყურადღებით და მზადაა არავითარი ენერგია არ დაიშუროს, რომ საქმე ბოლომდი მიიყვანოს.

ქ. დ.

# წერილებიდან

### ს. ნიგოზა (გორ. მ.)

**შეფო, გვიხსენი მეწყერისაგან.** ჩვენი სოფლის უბედურებას მეწყერი წარმოადგენს. მაგრამ უკვე მოგვიშორა გადასასახლებელი თავისუფალი ადგილი. არა გვაქვს ხის მასალა და წყლის გამოსაყვანი მილები. რკინისგზის სამექანიკო დარგის მე-19 უჯრედი ჩვენი შეფია. მას შეუძლია აქ დიდი დახმარება გაგვიწიოს. შეფო, გვიხსენი მეწყერისაგან.

გ. ლორთქიფანიძე.

### ზუგდიდი

**მშრომელი ახალგაზრდობის ხარჯზე.** ადგილობრივ განათლების ინსპექციის კომისიამ მისცა მივლინება უმაღლეს სასწავლებელში კუშელავას, ფიფიას, მუხურს, დგებუაძეს და სხვებს, რომელთაც არავითარი [illegible] მშრომელი ხალხის და უცხო არიან ჩვენი წყობილებისთვის. ამავე დროს ღარიბი გლეხობის შვილები გულხელდაკრეფილი სხედან მომავალი წლის მოლოდინში.

ქ. მიქაია.

### ს. ხვითი

**სახელმწიფო ტყე მეგობრებს.** ქუთაისის მაზრის სატყეო განყოფილებაში მსახურობს ვინმე კაკაურიძე. ის ძალიან ხელუხვია მეგობრების მიმართ. მისცა ტყე გულითად მეგობარ ყოლოღია ცხადაძეს, რომელსაც სამი სახლი უდგას; მდიდარ გლეხებს: ვალია თუთარაშვილს, ბაგრატა წაქაძეს, ალ—რე კაკაურიძეს და ლავრენტი ცხადაძეს. მე ერთი კვირის შვებულებით ჩავედი სახლში ოჯახის მისაშველებლათ, ვთხოვე კაკაურიძეს მოეცა შეშა. მან უარით გამისტუმრა. მივმართე მაზრაში. დიდი წვალების შემდეგ ავიღე ნებართვა, მაგრამ კაკაურიძემ იმდენათ გამიჭიანურა საქმე, რომ შვებულება გამითავდა. დავტოვე მარტოხელა მამაჩემი შეშის სამუშაოზე.

წითელარმიელი სხვიტელი.

### ახალ-სოფელი (გორ. მ.)

**ისევ დაგვიბრუნდა.** ერთი წლის განმავლობაში ჩვენს თემს თავმჯდომარეობდა ვინმე ნაფარაძე ბითარაშვილი. ქრთამისა და სოფლის შევიწროვებისათვის ის ციხეშიაც იჯდა. გლეხების სიხარულს საზღვარი არ ჰქონია. მაგრამ დახეთ საკვირველებას. ბითარაშვილი კვლავ მოევლინა ჩვენს კუთხეს ტყის უფროს დარაჯათ. საინტერესოა, როგორ მოხდა ეს, რომ ბოროტმოქმედმა ბითარაშვილმა ციხიდან პირდაპირ სამსახურში ამოჰყო თავი?

გლეხიშვილი.

# სოფლის ქრონიკა

— **აჯამეთის ხიდი.** საჭირო თანხის მიღების შემდეგ განახლებული იქნა მუშაობა აჯამეთის ხიდზე.

— **მიწათმოწყობა.** გორის მაზრაში უკვე ჩატარდა მიწათმოწყობა ზედთერების თემის და ქვემო-ბოლის თემის ოთხ სოფელში.

— **წყალსადენი სოფლად.** ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა მომავალ წელს გაიყვანოს წყალსადენი სოფ. საროში.

— **სასოფლო საბჭოების გაუქმება.** დუშ. სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქ. სახ. კომისარიატის წინაშე გაუქმებულ იქნას სოფ. წილკანის და [illegible] სასოფლო საბჭოები.

— **ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა.** აჭარის სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა ბათომის ქარხნის მუშების შუამდგომლობა ქარხნისათვის ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

— სამშაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ცეკას შენობაში მოწვეულია ცეკასთან არსებულ

### კოოპერატიულ კომისიის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. სასოფლო-საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შორის დამოკიდებულება.
2. შინა-წარმოების საორგანიზაციო ბიუროს დებულება.
3. დებულება მეღვინეთა კოოპერაციაზე.
4. წარმოკავშირის მდგომარეობის შესახებ მ | გ. ინსპექციის წარმომადგენლის მოხსენება.
5. მეხილე-მებოსტნეთა საორგანიზაციო ბიუროს გამოყოფა.

კოოპერატიულ კომისიის ყველა წევრთა დასწრება აუცილებელია.

ს. კ. პ. ცეკასთან არსებულ კოოპერატიულ კომისიის მდივანი: მელუა.

---

— სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის გაერთიანებული ბიურო აცხადებს, რომ სამშაბათს, 22 სექტემბერს, ნაშ. 4 საათზე მუშფაკის შენობაში (სამოსწავლო შეს. № 4) შესდგება ზემოხსენებული უჯრედების გაერთიანებული კრება უპარტიო ახალგაზრდობის თანდასწრებით.

მოხსენება იქნება გაკეთებული შემდეგ თემაზე:

„დასავლეთ ევროპის მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობა და ავსტრიის ახალგაზრდობის დელეგაციის ჩამოსვლა".

უჯრედის ბიურო.

---

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აუქმებს საკანდიდატო ბარათს № 8052, რომელიც გაცემულია ამხ. სერგო გიორგის ძეზ გაბალიშვილის სახელზე.

პასუხისმგებელი მდივანი ა კ ბ ო გ ი.

# განცხადებები

კოტე ამბაკოს ძე უნგიაძე მეუღლით ნინო (გოგოლა) გრიგოლის ასულით ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 20 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი მათთვის ტკბილად სახსოვარ დეიდაშვილის

## ყორყუეტა

ესტატეს ასული ანთაძისა

2567 1—1

---

ღრმად დამწუხრებული ნათესავები: ვარლამ და ფატი მგალობლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ მათი დაუვიწყარი ბიძიასი

## სიმონ ივანეს ძე ჯორბენაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავათ, ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, კვირას, 20 ამა სექტემბერს, დღის 12 საათზე.

2554 1—1

---

მეუღლე მარიამ ალექსის ასული, შვილები: ივანე, შალვა, ნიკოლოზი, იოსებ, ოლღა, ანასტასია, ვერა, ნადეჟდა, ლიუბა ბრეგაძეები და რძალი თამარა, სიძეები ალექსანდრე ხაზარაძე და ანანია ანანიაშვილი გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ სექტემბრის 18-ს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, პირველის მეუღლე და დანარჩენთა მამა

## გიორგი მოსეს ძე ბრეგაძე

გამოსვენება მოხდება კვირას, სექტემბრის 20-ს, დილის 11 საათ. მიხეილის საავადმყოფოდან და დაკრძალული იქნება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 2566 1—1

---

## ქსენია ნიკოლოზ ქოიავას ასული
## თოდუა

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება პანაშვიდი სამშაბათს, 22 სექტემბერს, 12 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ჭირისუფალნი. 2363 1—1

---

ოლღა კონსტანტინეს ასული რატიანისა შვილებით ამით აუწყებს თავის ნაცნობ-მეგობრებს, რომ გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე ძვირფასი მეუღლის და უკანასკნელთა მამის

## ალექსანდრე დიმიტრის ძე
## რატიანის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება პანაშვიდი დღეს, 20 სექტემბერს, საღამოს 4 ნახ. საათზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

(ვერაზე) 2568 1—1

---

## გაზეთ „კომუნისტი"-ს
## მთავარი კანტორა-ექსპედიცია აცხადებს

ყველა

**კონტრაგენტებისა და კიოსკების საყურადღებოდ,**

რომ საანგარიშო წლის დასრულების გამო მათ ევალებათ გადმოგზავნონ 5 ოქტომბრამდე ყველა დარჩენილი გაუყიდავი გაზეთები, ჟურნალები და წიგნები, რომელნიც აქვთ მათ მიღებული ჩვენგან ა | წ. სექტემბრის თვის დამლევამდის.

ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, არც ერთი ცალი გაზეთი და წიგნი არ იქნება მიღებული.

5—1 კანტორა.

---

## გაზეთ „კომუნისტი"-ს
## მთავარი კანტორა და ექსპედიცია

ამით აცხადებენ ყველა იმ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებსაც მოტანილი აქვთ ჩვენთან წიგნები და ჟურნალები გასავრცელებლათ, გამოცხადდნენ საანგარიშო წლის დასრულების გამო კანტორაში 15 ოქტომბრამდე ანგარიშების გასასწორებლათ. ვინც აღნიშნულ ვადამდე არ გამოცხადდება, კანტორა მათთან ჩასთვლის ანგარიშს გასწორებულათ და ამის შემდეგ არავითარ პრეტენზიებს არ მიიღებს.

5—1 კანტორა.

---

## ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

აცხადებს, რომ რადგან თხუთმეტი ათასი მანეთი გადადებულია რკინის გზის დამზღვევ სალაროს განკარგულებაში ა | კ. რკინის გზათა მუშა-მოსამსახურეებისათვის სანატორიუმებში ადგილების გასადიდებლად, შემდეგში აღარ მიიღება განცხადებები დახმარების მიცემის შესახებ. ნის. 1746 2—1

---

## „მუზპრედ"-ის
## თბილისის განყოფილება აცხადებს, რომ

თბილისის განყოფილებასთან მოწყობილია სახელოსნო საუკეთესო ხელოსნებით. სწარმოებს როიალების, პიანინოების და სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტების შეკეთება.

## მომართვა გაწმენდით ღირს 3 მანეთი

სხვა ქალაქებიდან მიღებული დაკვეთები სრულდება თავის დროზე.

ნის. 1743 1—1 „მუზპრედ"

---

**ელექტრო მექანიკური სახელოსნო**

ვერის დაღმართი, № 8. ელბაქიძის მოედანი

## ელექტრონის სამუშაოების მიღება

ელექტრონის მანქანების დადგმა და შეკეთება. ელექტრონის ძრავების წარმოება. გალვანოპლასტიური მუშაობა, ნიკელის, ვერცხლის და ლითონების გადამუშავება სხვადასხვა ფერებად. ნიკელის ქირურგიული ინსტრუმენტები. არის ყველა ზომის „შპლინტები".

ნ. № 1712—3—2

---

ამა წლის 24 სექტემბერს, აბანოების კანტორაში (ყოფ. ორბელიანის აბანო) დღის 12 საათზე დანიშნულია

## შეჯიბრება

ტაროს (ტალახის) გაყიდვის უფლების მიღებაზე მთელს აბანოებში.

2—2 ნ. 1740

---

ელექტრონით და სინათლით

## სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

**მიხეილ გედევანიშვილის სახელობის**

ნერვიულ და გულით ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—15

---

## ნიკოლოზ მიწიშვილი

### იბეჭდება:

1. წმინდანიაში — ლექსები, თბილისი (მეორე გამოცემა).
2. შავი ვარსკვლავი — პოემა, სტამბოლი (მეორე გამოცემა).
3. გარდაცვალება — პოემა, პარიზი (პირველად).
4. ცხრიანი — ლექსები, პარიზი (პირველად).

### მზადდება:

1. თებერვალი (რომანი).
2. ქართული რომანტიზმი.
3. ლიტერატურა და პოლიტიკა.

---

## მეგრელების საყურადღებოდ

მეგრელთა კრება, რომელიც დანიშნული იყო ხელოვანთა სასახლეში

შაბათს, სექტემბრის 19, გადადებულია

## ოთხშაბათისათვის, სექტემბრის 23, რუსთაველის თეატრში

საღამოს შვიდ საათზე.

ბილეთები ამ თავით რიგდება

**საექსპედიციო კანტორაში—რუსთაველის პრ. № 12**

რუსთაველის თეატრის პირდაპირ,

კანტორა ღიაა დილის 10 სა-დან საღამოს 6 საათამდე, ყოველდღე,—კვირასაც.

4—2 ნ. 1734 საინიციატივო ბიურო.

---

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წესდების მეხუთე თავის, 25-თე მუხლის თანახმად,

**ამა წლის 4 ოქტომბერს, კვირას, დილის 10 საათზე**

მოწვეულია ამავე საზოგადოების

## ცენტრალური კომიტეტის პლენუმის
## სხდომა

წითელი ჯვრის შენობაში (ლენინის ქ. სახლი № 60) და თხოვნაა პლენუმისა და სარევიზიო კომისიის ყველა წევრთადმი და აგრეთვე მათ კანდიდატებისადმი, რათა აღნიშნულ დროს გამოცხადდნენ სხდომაზე. განსახილველია მნიშვნელოვანი საკითხები.

წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

ნ. 1735 1—1

---

## საჩქაროთ საჭიროა

1. სახერხ ქარხნის ინსტრუქტორის თანამდებობაზე

## გამოცდილი ინჟენერი-მექანიკი

ხე-ტყის ქარხნის გამართვის და ტყის დახერხვის ტეხნიკის სტაჟით.

## 2. გამოცდილი ტეხნიკი-მექანიკი

სახერხ ქარხნის გამგის თანამდებობაზე წნორში, ხე-ტყის ქარხნის და ხერხვის ტეხნიკის სტაჟით.

## 3. ტეხნიკი-მშენებელი

გზის მშენებლობის, ტყის საქმის და ხე-ტყის დამუშავების ტეხნიკის სტაჟით.

პირობების და ხელფასის რაოდენობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება სამსახურის დროს ამ | კავკ. რკინის გზათა სატყეო განყოფილებაში.

მისამართი: ყოფ. ქსენიის ქუჩა № 5 (მეორე სართული).

ნ. 1741 3—1

---

## განათლების სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ შაბათს, 26 სექტემბერს, დღის 12 საათზე განათლების კომისარიატის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 31) შესდგება

## საჯარო ვაჭრობა

ორ ნახმარ ავტომობილის მსუბუქ „მეტალურჟიკ" და ნახევრად საბარგო „ფორდი"-ს

ცნობების მიცემა და ავტომობილების დათვალიერება სწარმოებს ყოველდღე განათლების კომისარიატის კომენდანტთან, ოთახი № 1.

ნ. 1748 1—1

---

სამშაბათისათვის 22 | 9—25 წ. ს. პ. კ. ს. სატარიფო საეკონომიო განყოფილება იწვევს

**სხდომას, ყველა კავშირების ც. გ. სატარიფო საეკონომიო განყოფილებების**

## გამგეებისას

საშუალო ხელფასის საკითხზე მომავალ საბიუჯეტო წლისთვის აღნიშნულ საკითხის ყოველ მხრივ გამოსარკვევათ, წარმოდგენილ უნდა იქნას საჭირო მასალები კავშირის საშუალო სამუშაო ხელფასის, ფასი პირველ ხარისხისთვის წარმოებებში და საერთოდ კავშირში, აგრეთვე წარმოდგენილ უნდა იქნეს კავშირების აზრი იმ მეურნეობის დარგზე სადაც აქვთ წარმოებითი წინ მსვლელობა და სადაც არის შესაძლებელი მოიმატოს სამუშაო ხელფასი კოლექტიურ ხელშეკრულებების გაახლების დროს.

ს. პ. კ. ს. სატ. საეკონომიო განყ. გამგე—მაჩაიძე

ნ. 1731—3—3 მდივნის მაგიერ—ფეოდოროვი.

---

## ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო. აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 23 სექტემბერს 1925 წ. დღის 12 საათზე, სახლში კრწანისის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ალექსი ჯიქიას მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას, შეფასებულს 105 მანეთად, მამანტი ქაჯაიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 5 სექტემბერს, 1925 წ. თარიღით, № 5590 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ქვ. 2558 1—1

---

ექიმი

## გ. მ. ფხალაძე

**კანისა და ვენერიული სნეულებანი**

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეხო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

---

ექიმი

## გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულოზის, სპეცმკურნალობა მალიარიასა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

---

## ვალვერი

**მედიცინის დოქტორი ა. ა. მოსხე**

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკ № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

1795 25—14

---

პროფესორი

## გ. მ. მუხაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58.

13—1

---

ქალთა ექიმი

## ფ. თ. რატიან მუხარელისა

ქალთა და ღვიძლის ავადმყოფობანი [illegible]. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 სათ. ბარიატინსკის ქუჩა № 16 (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

25—20

---

## მასწავლებელთა საყურადღებოდ!

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში მთავრობის მიერ ნებადართული ახალი სახელმძღვანელოები:

სიმ. ოცხელის და პლ. წულუკიძის—არითმეტიკულ ამოცანათა კრებული, ბუნებასა და შრომის ცხოვრებაზე დამყარებული.

წელიწადი პირველი—50 კ., წელ. მეორე—50 კ.

მზადდება წელიწადი მესამე.

საწყობის მისამართი: ქუთაისი, ლიბკნეხტის ქ., დავით ოცხელის წიგნის მაღაზია. 5—3 2472.

---

27 სექტემბერს ლეჩხუმის სამაზრო ცენტრში ქ. ცაგერში გაიხსნება დიდი

## ბაზრობა

რომელიც გაგრძელდება ერთ თვეს.

7—1 ნ. 1725 ბაზრობის კომისია.

---

## წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების

„წერკომს"-ის მიერ თავის საექსპედიციო ქ. [illegible] განყოფილებების გამგეზე, მის თანამშრომლებზე და აგენტებზე დღემდე გაცემული ყოველგვარი მანდატები და მოწმობები ცნობილია გაუქმებულად და წინადადება ეძლევა ყველა დასახელებულ პირთ დააბრუნონ „წერკომს"-ში [illegible].

1—1 ნ. 1742 „წერკომს"-ის სამეურნეო განყოფილება.

---

## მეკასრეთა ამხანაგობა

### ქ. თელავის სადგურთან გაიხსნება

მეკასრეთა (საზონდრო) ამხანაგობის ქარხანა, რასაც ვაცნობებთ ყველა კოოპერატიულ დაწესებულებებს და აგრეთვე კერძო პირებს, რათა მოგვმართონ ყოველგვარ ახალი კასრების შესაკვეთად და ძველების შესაკეთებლად. აქვე ვღებულობთ კასრების ორთქლით გარეცხვას, რასაც ვასრულებთ პირნათლად და ყველასთვის ხელსაყრელ ფასებში.

1—1 2535 ამხ—ბა „კახეთის კასრი"

---

## საბჭოთა კავშირის ლამპების ქარხნების ახალი მიღწევა

საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხარისხის ელექტრონის ლამპებზე „ე. ტ. ც. რ.", რომელიც არ ჩამოუვარდება უცხოეთის საუკეთესო ლამპას,

## 15 სექტემბრიდან დაკლებული იქნება ფასები

შემდეგი რაოდენობით:

10 და 16 სანთლიანი—110 ვოლტიანი, 75—85 კ. მაგიერ—65 კაპეიკი

და 16 სანთ.—220 ვოლტიანი 1 მ. 02 კ. „ —78 კაპ.

ცენტრალური რაიონის ელექტროტეხნიკური ტრესტი „ე. ტ. ც. რ."

ნ. 1721 რუსთაველის პრ. № 19 ტელ. № 1—55 და 6—94. 2—2

---

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს.

## სამთო-ქიმიური კომბინატი
## „სამთოქიმი"

თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 1

1. ბარიტი მადანი და დაფქვილი ყოველგვარი ხარისხის.
2. გლაუბერის მარილი.
3. სურინჯი რკინის მადნის სახით, უმაღლესი ხარისხის.
4. მანგანი რკინის მადნის სახით, უმაღლესი ხარისხის.
5. ცეცხლგამძლე მასალები.
   - ა) აგური ცეცხლგამძლე ყველა ხარისხის.
   - ბ) ცეცხლგამძლე თიხა უმაღლესი ხარისხის.
   - გ) კვარცი და კვარცის ხილა.
6. მარსელის კრამიტი
7. სამშენებლო დრუა აგური.
8. თუჯის მილები.
9. კირი.

ნ. № 1739—0—1

---

## საქართველოს სატყეო მრეწველობის
## ტრესტი

აცხადებს, რომ მის მიერ 1925 წლის 25 სექტემბრის დღის 2 საათისათვის

დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

10,000 ფუთი თივის (დაპრესილ), 6,500 ფუთი ქერის და 1,700 ფუთი ბზის მისაწოდებლად.

საღერბო გადასახად გადახდილ მარკებდაკრულ განცხადებების მიღება დახურულ კონვერტებში დანიშნულ ფასების 3 პროცენტის ჯამის თანდართვით (სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა გამოკლებით), სწარმოებს ტრესტის კომერციულ განყოფილებაში (მაჩაბლის ქ. 1) წარწერით: „საჯარო ვაჭრობისათვის თივაზე". იქვე შეიძლება პირობების გაცნობა

ნ. 1745 2—1

---

## საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის
## სააქციო საზოგადოება
## „სახკინმრეწვი"
## კინო-ფილმების დადგმა და გაქირავება

1925—26 წლის სეზონი

**ახალი გამოცემანი:**

„სავურ-საფლავი" 1 სერიით. რეჟისორი—ი. პერესტიანი, ოპერატორი—დ. დიღმელი

„აზერბეიჯანი" 1 სერიით. რეჟისორი—ი. პერესტიანი, ოპერატორი—დ. დიღმელი.

„მიწის უსარგებლო ბარგი" 1 სერიით. რეჟ.—ი. პერესტიანი, ოპერატორი—დ. დიღმელი.

„მეძილი მიქავა" 1 სერიით. რეჟ.—ა. ბეკ-ნაზაროვი, ოპერატორი—ს. ზაბოზლაევი.

„უაილდ-ვესტის მოჯირითე" („ვინ არის დამნაშავე?") 2 სერ. რეჟ.—ა. წუწუნავა, ოპერ.—გ. ენგელსი.

„დადგა ჟამი" 1 სერ. რეჟ.—ვ. ბარსკი, ოპერ.—ს. ზაბოზლაევი.

„შუქურას საიდუმლო" 1 სერ. რეჟ.—ვ. ბარსკი, ოპერ.—ა. პოლიკევიჩი.

**მზადდება დასადგმად:**

„ხაჯი-მურატ" 2 სერ. რეჟისორი—ი. პერესტიანი.

„მემანქანე დუმჩენკო" 1 სერ. რეჟ.—ი. პერესტიანი.

„მეცხრე ტალღა" 1 სერ. რეჟ.—ვ. ბარსკი.

„სალტანეტ" 1 სერ. რეჟ.—ა. ბეკ-ნაზაროვი.

„ბაში-აჩუკი" 1 სერ. რეჟ.—ა. ბეკ-ნაზაროვი.

„ბელა" 1 სერ. რეჟის.—ა. ბეკ-ნაზაროვი.

გამგეობა—თბილისი, ქარვასლა.

კინო-ფაბრიკა—თბილისი, პლეხანოვის, 158.

წარმომადგენლობა ს.ს.რ.კ.-ში—ქ. მოსკოვი, გლინიშჩევის შესახვ. № 8, ბინა 79.

**სურათები ნაჩვენები იქნება კინო-თეატრებში:**

**„აპოლო". „არფასტო" და „სოლეი".**

ნ. 1744

---

ექიმი

## ალ. გ. მაღალაშვილი

ბავშვთა სნეულებანი.

იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12. 25—4 2153

---

## ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამ. 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

---

ექ. **ნ. პ. ფალიაშვილი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შარდის, ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ჭლექზე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადათ საღ. 5—7

ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10. 2511 1—1

---

ექიმი **ვ. ნ. ჩუპრინინი**

ბავშვთა და შინაგანი სნეულებანი.

ავადმყოფთა მიღება დილის 9 11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: ხერქეზიშვილის ქ. № 87. 13—1

---

ექიმი **გ. ნ. მამაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

25—22

---

დოქტორი ნევროპათოლოგიისა

## სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

---

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ალექსეევის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (წვეთი და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოების ყველა გართულებანი) [illegible] 8—? საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—21

---

ექიმმა **შუხმანმა**

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალები დილის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ)

21—1

---

ექიმი **ა. ხ. ფონ-ირეცკი**

მაჩაბლის პროსპექტი, № 10, [illegible] ყოფ. [illegible]. [illegible] საქმეთა, სიფილისის და ქირურგიული ავადმყოფობათა (სიმსივნეების, [illegible] სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის [illegible] საათიდან 12 საათამდე და [illegible] საათამდე

25—1

---

ექიმი **ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით. საღამოობით 5-დან 7 საათ., დილით 7-დან 8 საათამდე.

მისამართი: ბარონოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ (1 უბანი). 25—1

---

**ვაძლევ გაკვეთილებს**

ფრანგულ და გერმანულ ენებში და აგრეთვე ვიღებ გადასათარგმნათ ინგლისურ ენის. მისამართი: სერგიევის ქუჩა № 3, ბინა 1. ს. ა. ბებუთოვა.

2561 1—1

---

**დაიკარგა** საარიცხვო ბარათი ალექსანდრე სოფრონის ძე კვირკველიას სახელზე. ჩ. გ. 2552 1—1

**დაიკარგა** კავშირის საწევრო წიგნაკი № 2835 და პირადობის მოწმობა (პასპორტი) № 920 ტრიფონ თოდრაძის სახელზე. ჩ. გ. 2558 1—1

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა № 349 იულიტა სიკოს ასულ ბაშელეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2556 1—1

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა № 746 ვარლამი იოსებ ძე ბაშელეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2555 1—1

**დაიკარგა** სახლის ნასყიდობის ქაღალდი იოსებ ესტატეს ძე ლომაძეს სახელზე. ჩ. გ. 2557 1—1

**დაიკარგა** სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 1111 და ს. ა. ლ. კომკავშირის მარტვილის რაიკომისგან მოცემული დროებითი მოწმობა ლაზარე ხუროძეს სახელზე. ჩ. გ. 2565 1—1

**დაიკარგათ** მეტრიკული ამონაწერები № 7081, თამარ, ქეთევან და რუსუდან ხოსიტაშვილების სახელზე. ჩ. გ. 1264 1—1

**დაიკარგა** ლომბარდის ქვითარი № 20820 მარიამ ვასილის ასულ შუაქრიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2559 1—1

**დაიკარგა** კომკავშირის წიგნაკი [illegible]დია ჩიკვატიას სახელზე. ჩ. გ. 2560 1—1

ტირაჟი—21.500

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, სამ. წულუკიძის ქ. № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა